# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი პარასკევი 17 აგვისტო 2001 №155 (1428) ფასი 50 თეთრი

2 სულიკო აქ არის!



დავითაშვილმა დავითაშვილის საქმე იცის

3 შნელ, შნელ!



გერმანელებმა დეკანოსიძე აახქარეს

8 არგენტინა? კი, ტო!



ბრაზილია და... ვნახოთ?!

15 დათვებში კარგი ამბებია



მოდი, ვნახოთ ევროპა!

# ფათიჰ კეთილგანწყობილი კალაძეს არ ემუქრება

## კახა–მილანი: სერია გრძელდება



საქართველოს ნაკრებისა და „მილანის“ მცველმა კახა კალაძემ თავის კლუბთან ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, არადა, „მილანის“ მწვრთნელად თურქი ფათიჰ თერიმის დანიშვნისა და დანიელი მცველის მარტინ ლაურსენის შეძენის შემდეგ ზოგმა ისიც ივარაუდა, კალაძემ შესაძლოა „მილანის“ ძირითადში ადგილი დაკარგოსო...

გუშინ ჩვენებურს მილანში შევეხმიანეთ და ახალ კონტრაქტსა და ამჟამინდელ ვითარებაზე ვკითხეთ...

— „მილანთან“ ახალი კონტრაქტი წინა სეზონის დამთავრებისთანავე გავაფორმე და ვერ გეტყვით, აქამდე ეს უცნობი და გაუხმაურებელი რატომ დარჩა. კლუბის ხელმძღვანელობა და ახალი მწვრთნელიც ჩემი თამაშით კმაყოფილები არიან და ვერ ვიტყვი, რომ ახალ სეზონში ძირითად შემადგენლობაში ჩემი ადგილი ველარ მოიძებნება. თერიმი ჩემდამი კეთილგანწყობილია. მოსამზადებელი პერიოდისას და ამხანაგური მატჩებისას შემადგენლობა ხშირად რომ იცვლება, ბუნებრივია: მწვრთნელი ძირითადისთვის გამოსადეგ ფეხბურთელებს არჩევს. ასე რომ, ხმები, შესაძლოა, კალაძე ძირითად შემადგენლობაში ველარ მოვხვდესო, გადაჭარბებულია — გვითხრა კახამ.

შეგახსენებთ, ჩვენებურმა შარშან სერია A-ში 17-ჯერ ითამაშა და სამი გოლიც გაიტანა. ახალი სეზონი კი იტალიაში 26 აგვისტოს იწყება...

ქობა ინასარიძე

# ყაველაშვილი გამოიკვეთა




## ციურიხის წარმატებაში ქართველი თავდამსხმელი სწორედაც რომ შუაშია! ჯამარაულიც იქვეა

ინტერვიუ მიხეილ ყაველაშვილთან იხილეთ მესამე გვერდზე

# ავჭალაში ჯილა დაბრუნდა

*შთამბეჭდავად დაიწყო მეცამეტე ეროვნული „მერანმა“ – ფრეს ორი დიდი ანგარიშით მოგება მიაყოლა და გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზეა. ბოლოს ავჭალელებმა სტუმრად რუსთავის „გორდას“ ძლიეს 3:0, რაშიც დიდი წვლილი მათმა ფორვარდმა სულიკო დავითაშვილმა დაიდო. „აბრეზა“ თავის მეშვიდე სეზონს ატარებს „მერანში“ და ავჭალელებს ის განსაკუთრებულად უყვართ. წინა სეზონში კი სულიკო დავითაშვილი „ლოკომოტივს“ შეუერთდა, საგაზაფხულო ეტაპიდან „სიონს“, მაგრამ ისევ მშობლიურ „სინათლეს“ და „მერანს“ დაუბრუნდა. „აბრეზა“ „მერანში“ ყოველთვის გამორჩეული იყო; ბევრი გადამწყვეტი გოლი გაუტანია და გუნდის საუკეთესო მეგოლეც გახლავთ.*



სულიკო დავითაშვილი

— ვფიქრობ, „მერანში“ ჩემი დაბრუნება ურიგო არ ყოფილა. საფეხბურთო კარიერა რასაც ჰქვია, ამ გუნდში დავიწყე და „მერანი“ ყოველთვის ძმური, მეგობრული გუნდი იყო. წლეულს გუნდის თამაში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმც შემდეგ ტურებში რა იქნება, ნაღდად არ ვიცი.

**— რატომ, გუნდის ხელმძღვანელობამ კონკრეტული მიზანი არ დაგისახათ?**

— ყველაფერი ფულთან არის დაკავშირებული. რაც უფრო მეტია ფინანსები, მით უფრო დიდი მიზნებისთვის იბრძვი. ამიტომაცაა, „ტორპედო“, „ლოკომოტივი“, „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“ მხოლოდ და მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის რომ იბრძვიან, თორემ ქართულ გუნდების დონე თანაბარია და „მერანსაც“ ძალუძს ლიდერთა შორის ადგილის შენარჩუნება. ისე კი, ალბათ, ექვსეულში მოხვედრა იქნება მთავარი მიზანი.

**— წინა სეზონში „ლოკომოტივში“ გადახვედი, თუმც ახლა ისევ „მერანში“ მოგიწია დაბრუნება. გული არ გწყდება ამაზე?**

— „ლოკომოტივი“ უფრო ამბიციური გუნდია, ბოლო ხანს ხშირად თამაშობს ევროტურნირებზე და ყველა ფეხბურთელს უნდა წინ წავიდეს, მაგრამ „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობას აღარ სურდა ჩემი იქ ყოფნა. მეც ჯერ „სიონში“ გადავედი, ახლა კი „მერანი“ ვარჩიე. თბილისში ვიქნები და რაიონში სიარული აღარ მომიწევს. „ლოკომოტივში“ რევაზ ძოძუაშვილის წასვლის შემდეგ შეიცვალა სიტუაცია. ძოძუაშვილი კაცურად მექცეოდა, ოჯახური პრობლემები მქონდა და დასვენების საშუალება მომცა, გუნდის ხელმძღვანელობამ კი ეს არ გაითვალისწინა. როცა ძოძუაშვილი გაუშვეს, რამდენიმე ფეხბურთელი უკან მიგვაყოლეს.

**— „მერანის“ გულშემატკივრებს კი შენი ამ გუნდში დაბრუნებით ნაღდად არ დასწყდებოდათ გული...**

— რა მოხდება, ცხოვრება გვიჩვენებს — ხვალ თუ ზეგ შეიძლება „მერანი“ „ლოკომოტივის“ დარი გუნდი გახდეს. „მერანიდან“ შარშან იმიტომ წავედი, რომ მინდოდა უფრო ძლიერ გუნდში მომესინჯა ძალა.

**— „გორდასთან“ შეხვედრაში მატჩის გმირად შეგრაცხეს...**

— ყველა იმახის, რომ ჩვენი ასეთი გამარჯვება მოულოდნელი იყო. „მერანმა“ უბრალოდ ნორმალურად ითამაშა, თამაში თერთმეტივე ფეხბურთელს წაგვივიდა, „გორდა“ კი ალბათ ზედმეტად დაჯერებული გამოვიდა მოედანზე — რუსთაველებმა მანამდე ხომ სტუმრად „დინამოს“ ქულა აართვეს, შინ კი „ვიტ ჯორჯიას“ მოუგეს.

**— ყოველთვის მარცხენა გარემარბი იყავი, ახლა კი, ფაქტობრივად, ცენტრფორვარდად გიწევს თამაში — მყუდროდ გრძნობ თავს ამ პოზიციაზე?**

— მართალია, აქამდე სულ ფლანგზე ვთამაშობდი, მაგრამ ახლა გუნდს დასჭირდა და ხშირად ცენტრიდანაც მიწევს, მეტოქეს შევუტიო. ისე კი გარემარბობა მირჩევნია, რადგან ორივე ფეხით ერთნაირად ვერ ვთამაშობ — მე ხომ ცაცია ვარ.

**— „მერანში“ მეშვიდე სეზონს ატარებ და როგორ ფიქრობ, ახლანდელი მათ შორის საუკეთესო იქნება შენთვის?**

— ჯერჯერობით საუკეთესო ალბათ ის იყო, 1996-97 წლების სეზონში უმაღლეს ლიგაში რომ გადმოვედით და მერე ინტერტოტოს საგზური მოვიპოვეთ. კარგად დავიწყე ის სეზონი, პირველ სამ თამაშში ხუთი გოლი გავიტანე, მაგრამ მეორე წრეში ფაქტობრივად არ მითამაშია და ჩემპიონატი ათი გოლით ჩავამთავრე. ახლაც არ ვარ ცუდ ფორმაში, ნორმალურად მომზადებული მეთქმის, მაგრამ მთავარია, მთლიანად გუნდი როგორ ითამაშებს, თორემ მე შევჩენკო არა ვარ, თამაშები მარტომ რომ მოვიგო.

**დავით თავართქილაძე**

# მერანმა ალბიონზე გააჭენა

**მორიგი** საერთაშორისო ტურნირი მოიგო თბილისის „მერანმა“. ამჯერად ქართველებმა ინგლისში იმარჯვეს და ყველას დაანახეს, რომ ფეხბურთის თამაში ჯერ კიდევ შეგვძლებია. „მერანი 91“-ის პრეზიდენტ დავით ფურცელაძის ხელშეწყობით 1984 წელს დაბადებული ბიჭებით დაკომპლექტებული „მერანი“ მოსკოვშია დაბანაკებული. ქართველი ჭაბუკები იქ ვარჯიშობენ და საერთაშორისო ტურნირებსაც ზედიზედ იგებენ.

ბონდო კაკუბავას შეგირდებმა ამჯერად ნისლიან ალბიონზე ისახელეს თავი. ჯგუფში მათ მეტოქეებად „ლივერპული“, „მანჩესტერი“ და „ტოტენჰემ ჰოთსპური“ ჰყავდათ. „მანჩესტერთან“ ქართველებმა ფრედ 1:1 ითამაშეს, ხოლო „ტოტენჰემს“ ზურაბიშვილის, ახალაიასა და მოდებაძის გოლებით 3:1 სძლიეს, რის შედეგადაც ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. ამ ეტაპზე კი „მერანს“ „ნეშვილის“ წინააღმდეგობა უნდა დაეძლია, რაც ქართველებმა იოლად შეძლეს და 3:1 გაიმარჯვეს.

მერე კი იყო ფინალური მატჩი ლივერპულის „ევერტონთან“. ქართველმა ჭაბუკებმა არც ამჯერად შეირცხვინეს თავი და მეტოქე დიდი ანგარიშით 4:1 დაამარცხეს. ჩვენებურთაგან გოლები მოდებაძემ (ორი), გრიგორიევმა და საბაშვილმა გაიტანეს.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი დარსანია გახდა, საუკეთესო ბომბარდირის პრიზი კი ირაკლი მოდებაძეს ერგო.

„მერანმა“ ერთი გუნდური ჯილდოც დაიმსახურა. კერძოდ, ტურნირის ორგანიზატორებმა ქართველთა გუნდი „სამართლიანი თამაშისთვის“ პრიზით დააჯილდოვეს.

სექტემბერში „მერანს“ კიდევ ერთი საერთაშორისო ტურნირი ელის, ამჯერად საფრანგეთის ქალაქ ტულონში.

**კახა შალამბერიძე**

# ქორი კვიპროსს გადაუფრენს



გიორგი ქორიძე

**იყო დრო**, გიორგი ქორიძე ეროვნულ ნაკრების კანდიდატად ითვლებოდა. ეს ფორვარდი ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ხუთი წლის წინ გამოჩნდა — მაშინ იგი თსუ-ს ღირსებას იცავდა. ყველაზე უკეთ კი თავი „ვიტ ჯორჯიაში“ წარმოაჩინა, როცა მეთერთმეტე ეროვნულში ცამეტი გოლი გაიტანა.

წინა სეზონში კი თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა. გუნდის ძირითად შემადგენლობაში კი არა, ხანდახან სათადარიგოებშიც ვერ ხვდებოდა. ვეტერინართა იტალიელ თავკაც ჯანი კარნევალის და ქორიძეს შორის შავმა კატამ გაირბინა. ფეხბურთელი რომ ძირითადში ველარ ხვდებოდა, არა მხოლოდ წმინდა სპორტული მიზეზებით იყო განპირობებული.

ასე იყო თუ ისე, ამ სეზონისთვის გიორგი ქორიძემ ჯერ აზერბაიჯანს მიაშურა, მაგრამ იქაურმა „შაფამ“ მას ერთობ ცუდი პირობები შესთავაზა და გიორგიც სამშობლოში გამობრუნდა. არჩევანი კი ბოლნისის „სიონზე“ შეაჩერა და სადებიუტო მატჩში წყალტუბოს „სამგურალის“ წინააღმდეგ ჩინებულადაც გაისარჯა. თუმც ქვემოქართლელებსაც მალე გამოეთხოვა...

გუშინ გიორგი ქორიძე კვიპროსში გაემგზავრა. იქაურ „ჰაპოელში“ ქართველი ფორვარდი ათ დღეს დაჰყოფს და თუ კვიპროსელებს თავს მოაწონებს, კონტრაქტსაც გააფორმებს. ქორიძე კვლავაც „ვიტ ჯორჯიას“ ეკუთვნის და ტრანსფერის გაჩარხვის შემთხვევაში, ცხადია, ვეტერინარებიც იხეირებენ.

**დავით თავართქილაძე**



მიხეილ მაზიაშვილი

# დინამოს ღვიძლი პრობლემა

## დასაყრდენს მაზიაშვილიც გამოეცალა

**ღმერთი** მაღალი უნდა ახსენოს „დინამომ“, თორემ ნაღდად გათვალულია. ტრავმირებულ ზაზა ზირაქიშვილს, ვახტანგ ოაგორაშვილსა და ჯონი შალამბერიძეს კიდევ ერთი ფეხბურთელი მიემატა, რომელსაც გუნდი კარგა ხნით მოისაკლისებს.

გახსოვთ ალბათ, „ბატესთან“ მიხეილ მაზიაშვილმა რომ ვერ ითამაშა — მას მაღალი სიცხე ჰქონდა, რაც გაციებას დააბრალეს. თუმც ეჭვიც გაჩნდა, ამ პაპანაქება სიცხეში ფეხბურთელი რამ გააცივაო. ჰოდა, მაზიაშვილს გამოკვლევა ჩაუტარეს და დიაგნოზი სავალალო აღმოჩნდა — ჰეპატიტი.

„დინამოს“ ყველაზე მეტად ნახევარდაცვის ცენტრში უჭირს და მაზიაშვილის არყოფნა კიდევ უფრო ართულებს საქმეს. გუნდის თავკაცი გივი ნოდია საყრდენებად, ალბათ, კვლავაც ლევან შავგულიძეს და გიორგი მანწკავას გაამწესებს, შესაძლოა, ალეკო ამისულაშვილი დაცვიდან წინ გადასწიოს, მაგრამ სამივე ეს ფეხბურთელი უფრო ჩამშლელის ტიპის მოთამაშეებს წარმოადგენს.

თუმც 23 აგვისტოსთვის, როცა „დინამო“ ბორისოვში „ბატეს“ ესტუმრება, დიდი შანსია, ჯონი შალამბერიძე მომჯობინდეს და გუნდის საყრდენი პოზიციაც გაამაგროს.

**დავით თავართქილაძე**

**ინგლისი**

მესამე დივიზიონი

II ტური

რაშდინი 0:0 ლინკოლნი

**შვეიცარია**

B ჯგუფი. VIII ტური

კრიენსი 1:0 ლოკარნო

ვინტერთური 2:2 ვადუცი

**ფინეთი**

გადადებული მატჩი

ტამპერე 0:0 ატლანტისი

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

*შვიდი ტური, შვიდი გოლი — აბა, რომელი ქართველი ლეგიონერი დაიტრაბახებს ასეთი შედეგით?*
*მართლაც შთამბეჭდავად დაიწყო ახალი სეზონი „ციურიხის" თავდამსხმელმა* ***მიხეილ ყაველაშვილმა*** *და გუნდი რომ ჯერჯერობით წაუგებლად ლიდერობს შვეიცარიის ჩემპიონატში, ამაში ლომის წილი ჩვენებურს უდევს.*
*მხოლოდ მესამე ტურის მატჩი იყო, მიშამ მოედანი უგოლოდ რომ დატოვა, თორემ ყველა სხვა შეხვედრაში თავისიანებს ან გაამარჯვებინა, ანაც ფრე დაუბევა. მეორე ტურში სულაც ორჯერ გაიტანა. მიშას ასეთ გოლიან თამაშს კი ჩვენში ბევრი არ ელოდა, მას ხომ ნაკრებში ასპროცენტიან მომენტთა გამცუდებლის სახელი აქვს და ორი-სამი მეტრიდან შვიდმეტრიან კარში რომ უზუსტოდ ურტყამდა, ეს ბევრს აღარც უკვირდა.*



# ბრეგის სასწაული: ნაშიმშილარი ყაველაშვილი გოლებით დაპურდა

# ქართველმა თავდამსხმელმა მოედანზე ადგილი იპოვა

— „ციურიხის" ახალი მწვრთნელი ჯორჯ ბრეგი ჩემს ადგილზე, გამოკვეთილ თავდამსხმელად მათამაშებს და აგერ, შედეგიც — გვითხრა მიხეილ ყაველაშვილმა, რომელსაც შვეიცარიაში დავუკავშირდით — გუნდიც შემტევ ფეხბურთს თამაშობს. თავდასხმაში ერთი მეწყვილე მყავს, ჩვენს უკან კი ჯამარაულია, რომელიც ჩინებული პასებით გვამარაგებს. უკვე შვიდჯერ ვითამაშეთ და მწვრთნელს სათამაშო სქემა ჯერ არ შეუცვლია, ის 3-4-1-2 სისტემას ამჯობინებს. წინა სეზონთან შედარებით გუნდი უფრო შეთამაშებულია, ხელმძღვანელობაც თითქმის მთლიანად შეგვეცვალა. ახლა „ციურიხის" მენეჯერიც ის კაცია, განსაკუთრებულად რომ მაფასებს — ერიკ ფოგელი. „გრასჰოპერში" თავის დროზე მე და გიორგი ნემსაძე სწორედ მან მიგვიწვია.

**— თქვი, რომ ბრეგი ჩემს ადგილზე, გამოკვეთილ თავდამსხმელად მათამაშებსო. შარშან როგორ იყო? მაშინაც ხომ ფორვარდად თამაშობდი?**

— კი, მაგრამ წინა სეზონში ჩემს ამპლუას გამოკვეთილი თავდამსხმელი არ ეთქმოდა. სამი ფორვარდით ვთამაშობდით, მე ფლანგიდან ვუტევდი. გამოკვეთილ თავდამსხმელად შუაში მყოფი ითვლებოდა. მაშინ კი, როცა შუაში მე მაყენებდნენ, თითქმის ყველა მატჩში გავიტანე გოლი. თანაც, როგორც ვთქვი, „ციურიხი" ახლა უფრო შეთამაშებულია.

**— ისე გამოდის, ბრეგმა ამპლუა მოგიძებნა.**

— არა, მთლად ასეც არ არის. „გრასჰოპერშიც" კი მათამაშებდნენ ცენტრალურ თავდამსხმელად და უფრო ადრე — „ალანიაში". თუ გახსოვთ, მაშინ, „ალანია" რუსეთის ჩემპიონი გახდა და გუნდის ბომბარდირი მე ვიყავი.

**— განაპირა ნახევარმცველადაც ხომ ხშირად გითამაშია?**

— როგორ არა, ძალიან ხშირად, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი, თავდამსხმელად თამაში მირჩევნია, წინ მეტად სასარგებლო ვარ-მეთქი. ვამბობდი და ამის დამტკიცებასაც ვცდილობდი. შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა სწორედ ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშისას შემიძლია.

**— საქართველოს ნაკრებში, თუ კარგად მახსოვს, ერთადერთხელ, ამას წინათ, იტალიასთან გათამაშეს ამ პოზიციაზე და ორი რეალური მომენტიც გქონდა. რატომ არ გათამაშებდნენ გამოკვეთილ ფორვარდად? არ გითხოვია მწვრთნელთათვის?**

— ნაკრებში საკითხი ასე არასდროს დამდგარა. რასაც მეტყოდნენ და დამავალებდნენ, იმას ვაკეთებდი და იქ ვთამაშობდი. ყიფიანმა და ძოძუაშვილმა ჩემი შესაძლებლობები ძალიან კარგად იცოდნენ, მათ ხელში გავიზარდე. ადრე „დინამოში" სწორედ ისინი მათამაშებდნენ თავდამსხმელად და გოლებიც ძალიან ხშირად გამქონდა.

**— მოკლედ, შენი ადგილი თავდასხმის ცენტრშია?**

— კი, ასეა. ამ ადგილზე თამაშისას უფრო სასარგებლო ვარ.

**— შეგიძლია თქვა, რომ კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებ?**

— ჯერ ამაზე არც ვფიქრობ და ლაპარაკიც ნაადრევია. კარგია, როცა გუნდი ასე კარგად თამაშობს.

**— მაშინ ასე ვთქვათ. ასეთი წარმატებული დასაწყისი თუ გქონია?**

— გოლებს თუ ვგულისხმებთ, არა. ჯერჯერობით ასპროცენტიანი შედეგი მაქვს. ისე კი, ჩემპიონატი „ალანიასაც" ჩინებულად დაუწყია და მე გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ვითვლებოდი. მაშინაც ჩინებულად დავიწყეთ და ასევე გავაგრძელეთ.

**— შვეიცარიის ჩემპიონატის პირველი ეტაპის მესამედი უკვე მიილია. დარწმუნებული ხარ, რომ „ციურიხი" ექვსეულში მოხვდება?**

— დარწმუნებული არა, მაგრამ ეს ძალიან რეალურია. ასე თუ გავაგრძელეთ, საუკეთესო ექვსეულშიც მოვხვდებით და...

**— ჩემპიონობასაც მიუკაკუნებთ?**

— რატომაც არა. ჩემპიონები თუ ვერ გავხდებით, უეფას თასის საგზურის მოპოვება არ უნდა გაგვიჭირდეს. სტაბილური შემადგენლობა უნდა შევინარჩუნოთ და არ მოვდუნდეთ.

**— უწინდელი შემადგენლობის შეცვლა ბრეგს მომავალ ტურშივე მოუწევს. შენ ვერ ითამაშებ. წინა მატჩში რატომ გაგაძევეს?**

— მეტოქეს ხელი მივარტყი და მან ისე გააფორმა, თითქოს მუშტი დამერტყას. მეკარემ ბურთი მოიგერია და მე დასამატებლად წაველი. ამ დროს მცველმა ხელი მკრა, წავიქეცი და რომ ავდექი, რა ხდება-მეთქი, ვკითხე. საპასუხოდ იდაყვი მომარტყა. ეს ველარ მოვითმინე, ვალში არ დავრჩენილვარ, ის კი მოედანზე გაგორდა. მსაჯმა დაუფიქრებლად მიჩვენა წითელი ბარათი.

**— ამას შეიძლება რამდენიმემატჩიაში დისკვალიფიკაცია მოჰყვეს.**

— შაბათს „ლუგანოსთან" თამაშს ისედაც გამოვტოვებ, მერე კი ვნახოთ, სადისციპლინო კომიტეტი რას იტყვის. ყოველ შემთხვევაში, ისეთი არაფერი გამიკეთებია, კიდევ ორი-სამი მატჩით დამასვენონ.

**კობა ინასარიძე**



მიხეილ ყაველაშვილმა (ბურთით) იქნებ საქართველოს ნაკრებშიც ნახოს ადგილი

# ქართველებმა თავრიზი ვერ აიღეს

**კალანდაში** საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრების წარმატებულ თამაშზე გუშინ გაცნობეთ. ახლა კი მათზე ორი წლით უფროსებზეც ვთქვათ.

გეხსომებათ, მაისში ჩვენს ქვეყანას ირანის ახალგაზრდული ნაკრები სტუმრობდა. სპარსებმა საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებთან ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარეს: ჯერ ბოლნისში 1:1 ითამაშეს, შემდეგ კი თბილისში „ეროვნულზე" 4:2 გაიმარჯვეს. სწორედ ამ მატჩების შემდეგ გადაწყდა, რომ ქართველი ცხრამეტწლამდელები 12 აგვისტოს ირანს საპასუხო ვიზიტით საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ეწვეოდნენ.

ტურნირში საქართველოს გარდა თავრიზის გუნდი, ირანისა და აზერბაიჯანის ნაკრებებიც მონაწილეობენ. გუშინწინ გელა გომელაურის ბიჭებმა პირველ მატჩში თავრიზელებს ვერაფერი დააკლეს. შეხვედრის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ — 0:0 დამთავრდა. პენალტებში კი მასპინძლებმა 4:1 დაამარცხეს ჩვენებურები.

ქართველები ირანში კიდევ ერთ მატჩს ჩაატარებენ. მესამე ადგილისთვის ირანი — აზერბაიჯანის შეხვედრაში დამარცხებულს გაეჯიბრებიან.

შეგახსენებთ, რომ ნოემბერში გომელაურის შეგირდებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ელით. მეტოქეებად კი საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებს თავრიზზე გაცილებით ძლიერი ინგლისისა და უნგრეთის ნაკრებები ჰყავს.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს ინგლისი უმასპინძლებს და ჩვენი ნაკრების თამაშიდან გამომდინარე, ჯგუფიდან გასვლის შანსებზე საუბარი ჯერჯერობით უადგილო ჩანს. თუმცა ვნახოთ, ნათქვამია, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. ნოემბრამდე კი არცთუ დიდი დრო დარჩა.

**კახა ზალამბერიძე**



გელა გომელაური

# დეკანოსიძე ფიურტიდან ფიურტში

## ენელ! უთხრეს გერმანელებმა ქართველს

**უკვე** სამი ტური ჩატარდა გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში, მაგრამ „ფიურტის" ქართველი ნახევარმცველი გიორგი დეკანოსიძე ერთხელაც არ გამოჩენილა მოედანზე. თუმც ამას ვინ ჩივის, გიორგი სათადარიგოთა შორისაც კი არ მოიხსენიება.

—„ფიურტის" ძირითადში დამკვიდრება კი არა, ჯერჯერობით მეორე გუნდშიც არ მითამაშია. სეზონის დაწყებისთანავე გარკვეული პრობლემები შემექმნა. მე „ფიურტის" ძირითად შემადგენლობასთან ერთად ვვარჯიშობ. მეორე გუნდის ახალდანიშნულმა მწვრთნელმა კი ამ პოსტზე მოსვლისთანავე პრეტენზიულად განმიცხადა — ან ჩემს გუნდში ივარჯიშებ და ითამაშებ, ან კიდევ ძირითად გუნდში ვარჯიშით დაკმაყოფილდიო. საბოლოოდ ეს პრობლემა მოვაგვარე და შემდეგ ტურში, ალბათ, სარეზერვო გუნდში ვითამაშებ კიდეც. რაც შეეხება „ფიურტის" მთავარ მწვრთნელ უვე ერკენბრეხერს, მისი ვერაფერი გამიგია, ადრე წონის მომატებას მთხოვდა, ახლა კი სისწრაფის ნაკლებობას მიწუნებს. თუმცა ჯერჯერობით გუნდიდან წასვლას არ ვაპირებ. კონტრაქტით ჯერ კიდევ „ფიურტს" ვეკუთვნი და იმედია, მალე თამაშის საშუალებაც მომეცემა — გვითხრა გუშინ სატელეფონო საუბრისას გიორგი დეკანოსიძემ.

**კახა ზალამბერიძე**



გიორგი დეკანოსიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი მეტოქეები



REUTERS

უნგრეთი — გერმანია. ატილა ტოკოლი და ოლივერ ნოივილი (№17)

## უნგრეთს საშველი ჩაუმწარეს

**უნგრეთი 2:5 გერმანია**

0:1 ბიომე (31), 0:2 კელი (44), 0:3 იანკერი (46), 0:4 ბაუმანი (59), 1:4 ტოკოლი (63), 2:4 ჰორვატი (89), 2:5 ბირჰოფი (90)

**უნგრეთი:** კირალი, პეტო, დ. კორსოში, შებოკი, მატიუში, ჰალმაი, ილეში (დარდაი 46), ა. კორსოში (ბრუტკა 46), ლისტეში (ლენდვაი 79), ფ. ჰორვატი, ტოკოლი

მწვრთნელი: ბერტალან ბიჩკეი

**გერმანია:** კანი, რემერი (მეცელდერი 46), ფ. ბაუმანი, ლინკე, ასამოა (ციკლერი 76), კელი, ჰამანი (რიკენი 46), ბიომე (ბოდე 77), დაისლერი (ციგე 85), იანკერი (ბირჰოფი 85), ნოივილი (კლოზე 65)

მწვრთნელი: რუდი ფიოლერი

გაფრთხილება: ლისტეში, ლინკე

მსაჯი: ხუან ანსუატეგი როჩა (ესპანეთი)

28 000 მაყურებელი

**ოთხშაბათ საღამოს** ბუდაპეშტში დიდი ამბები ხდებოდა. უნგრელები თავისი საფეხბურთო კავშირის 100 წლისთავს აღნიშნავდნენ და საპატიო სტუმრებიც არ აკლდათ. მათ შორის ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერიც იყო.

„ეს თარიღი ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან ამ 100 წლის მანძილზე უნგრეთს განსაკუთრებული ადგილი ეკავა მსოფლიო ფეხბურთში" — თქვა იქაური საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა იმრე ბოჟოკიმ.

მეტოქეც სახელოვანი აერჩიათ. გერმანელების სტუმრობა ნებისმიერისთვის საპატიოა. ეგ არის, ქართველებისგან განსხვავებით, რუდი ფიოლერის ბიჭებმა მასპინძლებს ნათლად დაანახეს, რომ მათი ფეხბურთის აღმავლობაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

უნგრელებს დღესაც კარგად ახსოვთ მსოფლიოს ჩემპიონატის 47 წლის წინანდელი, ბერნული ფინალი, როცა ყველასთვის მოულოდნელად გერმანელებთან 2:3 წააგეს. გუშინწინაც პირველი დარტყმის საპატიო უფლება იმ ჩემპიონატის ერთ-ერთ გმირს და ლეგენდას, ფერენც პუშკაშს მიანდეს, მაგრამ რევანში ვერ აიღეს. რევანში კი არა და დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე 0:4 აგებდნენ, თუმცა არც 2:5 უნდა იყოს ნაკლები დამცირება.

უნგრელები უძლიერესი შემადგენლობით თამაშობდნენ, გერმანელებს კი ერთგვარად ექსპერიმენტული გუნდი ჰყავდათ. მაგალითად, ბუნდესნაკრების ფორმა პირველად მოირგო 20 წლის დორტმუნდელმა კრისტოფ მეცელდერმა. ხოლო შალკელმა იორგ ბიომემ და ჩვენებურთა ფრაიბურგელმა თანაგუნდელმა სებასტიან კელმა ფიოლერის ნაკრებში სულ მეორედ ითამაშეს და თითო გოლიც მიითვალეს.

ასევე ახალბედებად შეიძლება მივიჩნიოთ ბრემენელი ფრანკ ბაუმანი (მეოთხე გოლის ავტორი), შალკელი შავი კაცი ჯერალდ ასამოა და კაიზერსლაუტერნელი მიროსლავ კლოზე. აი, ასეთი ბიჭებით დაანგრია გერმანიამ უნგრეთი.

ქართველთა მეტოქეთაგან პირველი საპასუხო დუნაფერელმა ატილა ტოკოლიმ შეაგდო, რომელიც ნაკრებში სულ მეოთხე მატჩს ატარებდა, ხოლო მეორე თელ ავივის მაკაბელმა ფერენც ჰორვატმა მოახერხა.

უნგრელებისთვის ეს ქართველებთან საპირველსექტემბრო თბილისური მატჩის წინ ბოლო შემოწმება იყო.

**სლოვენია 2:2 რუმინეთი**

0:1 ნიკულაე (14), 1:1 აჩიმოვიჩი (55), 1:2 მოლდოვანი (66), 2:2 ზაჰოვიჩი (75)

**სლოვენია:** დაბანოვიჩი (სიმეუნოვიჩი 46), კარიჩი (ტავკარი 70), ბულაიჩი, გალიჩი, კნავსი (ჟუგდალიჩი 46), ნოვაკი, ჩეჰი (ზაჰოვიჩი 46), პავლინი (გაისერი 60), რუდონია (პავლოვიჩი 46), ციმეროტიჩი (ოსტერცი 46), აჩიმოვიჩი

მწვრთნელი: სრეჩკო კატანეცი

**რუმინეთი:** სტელია, კონტრა (მიჰალჩია 66), ლაკუსტა (იენჩი 87), რადოი (პარვუ 60), კოვაჩ, პოპესკუ, კირიტა, დ. მუნტეანუ (ტარარაკე 56), მ. ნიკულაე (მოლდოვანი 46), მუტუ (დუმიტრუ 80), ილიე (როსუ 57)

მწვრთნელი: გავრინ ბალინტი (თანაშემწე)

გაფრთხილება: კარიჩი, მუნტეანუ, კონტრა, პოპესკუ, კირიტა

მსაჯი: კულოვიჩი (ბოსნია)

18 000 მაყურებელი

**ლიუბლიანაში** „ბეჟიგრადის" გადავსებულ, თუმცაღა მხოლოდ 18 ათასიან სტადიონზე, ქართველთა ყოფილი მეტოქე სლოვენია, ახლანდელს, რუმინეთს დაუზავდა.

გეორგე ჰაჯის ხელმძღვანელობით რუმინელებს პირველად უნდა ეთამაშათ, მაგრამ „კარპატელი მარადონასთვის" თირკმელს შეუტევია და სლოვენიაში ეროვნული გუნდი მისმა თანაშემწე გავრინ ბალინტმა დამოძღვრა.

მასპინძლებს ისევ ზლატკო ზაჰოვიჩმა უშველა. დამთავრებამდე თხუთმეტი წუთით ადრე, როცა სლოვენიელები 1:2 აგებდნენ, ამ ზაფხულს „ვალენსიადან" პორტუგალიურ „ბენფიკაში" გადასულმა ფორვარდმა გაათანაბრა. ეს ზაჰოვიჩის 30-ე სანაკრებო გოლი გახლდათ.

პირველ ტაიმში რუმინელები უკეთ თამაშობდნენ და მარიუს ნიკულაეს გოლიც სამართლიანი იყო. მერე სლოვენიელები დალაგდნენ და მილენკო აჩიმოვიჩმა საპასუხო გაიტანა. თუმცა მალევე ვიორელ მოლდოვანი მეკარე სიმეუნოვიჩთან პირისპირ გავიდა და სტუმრები ისევ დააწინაურა. ზაჰოვიჩის გოლზე კი უკვე ვთქვით.

ბალინტს სლოვენიელები ძალიან მოეწონა და ქებაც არ დაუკლია: „კარგი თამაში გამოდგა, თანაც ჩინებული მოწინააღმდეგე გვყავდა. ვფიქრობ, სლოვენიელებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის კარგი შანსი აქვთ".

შეგახსენებთ, რუმინელები იტალიის მერე ჯგუფში მეორე ადგილზე დგანან და ორი შესარჩევი მატჩი აქვთ დარჩენილი — 5 სექტემბერს ბუდაპეშტში უნგრეთთან და 6 ოქტომბერს ბუქარესტში ქართველებთან.

**ლიტვა 2:3 ისრაელი**

0:1 გერშონი (34), 1:1 იანკაუსკასი (42), 2:1 პოშკუსი (55), 2:2 ბანინი (71), 2:3 ნიმნი (86)

**ლიტვა:** სტაუჩე, შკერლა (გლევეცკასი 46), ჟიოკუშტასი, იოკშასი (სტანკევიჩიუსი 46), შკარბალიუსი, ბარასა (დედურა 87), რ. ჟუტაუტასი, მიკალაიუნასი, შემბერასი (მორინასი 67), იანკაუსკასი (ფომენკა 84), პოშკუსი (რაგაუსკასი 79)

მწვრთნელი: ბენიამინას ზელკიავიჩუსი

**ისრაელი:** ავატი, ტალქარი, გერშონი, ბენადო, შელახი, კეისი, ზეიტუნი (აბუქსისი 65), ტალი (ბანინი 46), ბერკოვიჩი (ბენდაიანი 84), ბენაიუნი (კატანი 65), ნიმნი

მწვრთნელი: რიჩარდ მიოლერ-ნილსენი

მსაჯი: რომანს ლაიუკსი (ლატვია)

2 000 მაყურებელი

**კაუნასში**, „დარიუსსა და გირენასზე" ბოლო დროს გაუფერებულმა ლიტვის ნაკრებმა ლამაზი ფეხბურთი ითამაშა, მაგრამ თითქმის ქრონიკულად ქცეულმა პრობლემამ დაცვის ცენტრში ამჯერადაც იჩინა თავი.

თავის მხრივ, არც ებრაელებს შეურცხვენიათ თავი. სტუმრები 34-ე წუთზე დაწინაურდნენ, როცა უმეთვალყურეოდ დარჩენილმა შიმონ გერშონმა 14 მეტრიდან დაბალ კუთხეში გაიტანა. ტაიმის ბოლოს ლიტველებმა გაათანაბრეს. გოლი სამსვლიან კომბინაციას მოჰყვა, ჟუტაუტასისა და მიკალაიუნასის დაწყებული საქმე გიორგი დემეტრაძის სოსიედადელმა თანაგუნდელმა ედგარას იანკაუსკასმა დაამთავრა.

მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებმა კიდევ შეაგდეს. იანკაუსკასმა საჰაერო ბრძოლა მოიგო, მცველების ზურგს უკან რობერტას პოშკუსს დაუგდო და ამანაც შეუჩერებლივ დაარტყა. ისე ჩანდა, ლიტველებს მესამეც უნდა გაეტანათ, მაგრამ მოულოდნელად შეცვლაზე შესულმა სტუმრებმა იყოჩაღეს. იოსი აბუქსისის პასით ტალ ბანინმა გაათანაბრა. დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე კი შეტევაში გართულ ჩრდილოელებს ებრაელებმა მწარედ უჩხვლიტეს — იმავ აბუქსისის გადაცემით ავი ნიმნიმ გამარჯვებისა გაიტანა.

საინტერესოა, რომ მცველმა ამირ შელახმა კაუნასში სარეკორდო, 84-ე მატჩი ჩაატარა ისრაელის ნაკრებში და ერთით გადაუსწრო ებრაელებში დიდად პოპულარულ ნირ კლინგერს.

**სოლომონ გულიკაშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** „ინტერის" არგენტინელი მწვრთნელის ექტორ რაულ კუპერის სურვილი, „სან სიროზე" მადრიდის „რეალის" მცველი ივან კამპო გადაეყვანა, სურვილადვე დარჩა. მილანელები მზად იყვნენ, სამეფო კლუბისთვის 6 მილიონი დოლარი გადაეხადათ, ტრანსფერის თაობაზე ორივე კლუბის წარმომადგენლები თითქმის ყოველდღე აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს, რომლებსაც კამპოც ესწრებოდა. ფეხბურთელი ყოველ შეხვედრაზე კატეგორიულად აცხადებდა, რომ მას „რეალში" დარჩენა სურდა, თუმცა იმასაც ამბობდა, კუპერთან მუშაობაც საინტერესო იქნებაო. როგორც სააგენტოები იუწყებიან, „რეალი" კამპოს გაყიდვას აპირებდა, თუმცა ივან ელგერა რომ დაშავდა, გადაიფიქრა.

**კამერუნის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" მცველ ჯერემი ნჯიტაპს სამეფო კლუბში კარგი სახელი დაუგდია, მას მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკეც ენდობა და წინასასეზონო მატჩებში ხშირად ათამაშებს. ამიტომაც კამერუნელმა „რეალიდან" წასვლა გადაიფიქრა: „ვხვდები, რომ დელ ბოსკეს ვჭირდები. ამბობდნენ, რომ თითქოს კლუბს ვტოვებდი, თუმც ჭორებისთვის ყური არ მიმიქცევია, ჩემს საქმეს ვაკეთებდი. იმედი მაქვს, ახალ სეზონში „რეალის" ძირითადში რეგულარულად ვითამაშებ" — თქვა ჯერემიმ.**

**გერმანელ** ნახევარმცველ ლარს რიკენით ბარსელონის „ესპანიოლი" სერიოზულადაა დაინტერესებული. დორტმუნდის „ბორუსიას" ფეხბურთელი კატალონიელებს შუა ხაზის გასაძლიერებლად სჭირდებათ. მათი თქმით, რიკენი ტექნიკით და მოედნის ჩინებული ხედვით გამოირჩევა. ამასთან, არც ტაქტიკური მომზადება დაეწუნება. „ესპანიოლს" კი სურს, მაგრამ უცნობია დორტმუნდელთა და თავად რიკენის აზრი. მათიას ზამერის გუნდში ლარს რიკენი ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა. „ბორუსიაში" კი პირველად 1997 წელს გამოჩნდა და ალბათ გახსოვთ, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ტურინის „იუვენტუსს" ზღაპრული გოლიც გაუტანა.

**ფრანგული „ლიონის" თავდამსხმელი ტონი ვერელი კორსიკულ „ბასტიაში" გადავიდა. ერთ დროს მრისხანე თავდამსხმელს „ლიონში" ძირითადად სათადარიგოთა სკამზე აყურყუტებდნენ. 28 წლის ვერელით „მონაკო" და ინგლისური „მიდლსბროც" იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ „ბასტიას" მწვრთნელმა რობერ ნუზარემ მარიფათობა გამოიჩინა და ფეხბურთელი კორსიკაში ჩაიყვანა. „მსურს, ისეთ გუნდში ვითამაშო, სადაც მენდობიან და ვჭირდები. „ბასტიას" შარშანაც სურდა ჩემი გადაბირება, მაგრამ რატომღაც ვიუარე, ახლა კი ბედნიერი ვარ" — განაცხადა ვერელმა. „ბასტიამ" ვერელის გარდა კიდევ ოთხი ფეხბურთელი შეიძინა: „ტულუზის" ნახევარმცველი ფაბრის ჟო, ნიკოლა დიუზი, სედრიკ იურა და ფაბიენ ოდარა.**

**იტალიურმა** „მილანმა" კიდევ ერთი ამხანაგური საკონტროლო მატჩი გამართა. ფატიჰ თერიმის ბიჭებმა მოყვარულთა კლუბი „დაირაჯეზე" 20:0 გაანადგურეს. გოლები ხავი მორენომ (6), ფილიპო ინძაგიმ (5), ანდრეი შევჩენკომ (4), კატილინა აბუამეიანგმა (2), მოჰამედ ალიუმ (22) და ხოსე მარი რომერომ გაიტანეს. როგორც „მილანის" თურქმა მწვრთნელმა განაცხადა, ეს შედეგი გუნდის ფსიქოლოგიურ განწყობაზე სასიკეთოდ იმოქმედებს.

**ნიგერიელმა ფორვარდმა ნვანკვო კანუმ ლონდონურ „ფულემში" გადასვლაზე უარი განაცხადა და „არსენალში" დარჩენა გადაწყვიტა. პრემიერლიგის დებიუტანტებმა არსენ ვენგერის გუნდს 10 მილიონი გირვანქა შესთავაზეს, მაგრამ „მეთოფეებმა" თანხა იცოტავეს. თავად კანუმ კი თქვა, რომ ბედნიერია და „არსენალის" არსებულ თავდასხმაში ძლიერი კონკურენციის არ ეშინია. შეგახსენებთ, რომ „არსენალს" კანუს გარდა თავდასხმაში ტიერი ანრი, სილვენ ვილტორდი, დენის ბერხკამპი და „ევერტონიდან" ნაყიდი ფრენსის ჯეფერსი ჰყავს.**

**ესპანური** „ბარსელონას" თავდამსხმელ ალფონსო პერესს მადრიდის „ატლეტიკოს" მწვრთნელი ლუის არაგონესი იწვევს. „ატლეტიკოს" პრიმერადივიზიონში დაბრუნება სწადია, გუნდსაც ამიტომ აძლიერებს. თუ ალფონსო „ატლეტიკოში" გადავიდა, ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად თავდამსხმელების — დიეგო ალონსოს, ფერნანდო ტორესის, ფერნანდო კორეასა და ხუან რამოსის კონკურენციის დაძლევა მოუწევს.

**შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსის" ნორვეგიელი თავდამსხმელის, ტორე ანდრე ფლოს აგენტმა გუნარ მარტინ კიენერმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი „რეინჯერსში" რჩება და ხმები იმის შესახებ, თითქოს „ფულემში" აპირებს გადასვლას, მტკნარი სიცრუეა. „მე ველაპარაკე „რეინჯერსის" ხელმძღვანელობას და თავად ფლოს, ორივე მხარემ კვლავაც გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი. ასე რომ, ტორე ანდრე „ფულემში" არ გადავა" — თქვა კიენერმა.**

**ფრანგულმა** „მონაკომ" ლივერპულის „ევერტონიდან" განელი ნახევარმცველი ალექს ნიარკო გადაიბირა. 27 წლის მოთამაშის სანაცვლოდ ალბიონელებმა ექვსი მილიონი დოლარი მიიღეს. „ლანსის" ყოფილი ფეხბურთელი შარშან აპრილში „არსენალთან" მატჩში დაშავდა. თუმცა რომ მომჯობინდა, უოლტერ სმიტი ძირითადში არ ათამაშებდა. ნიარკომაც საფრანგეთში დაბრუნება განიზრახა და დიდიე დეშამპის გუნდს შეეკედლა.

**ესპანური „ალავესის" არგენტინელმა მცველმა ალდო დესიომ ფეხი მოიტეხა და სულ ცოტა ექვსი თვით მოუწევს დასვენება. დესიომ ტრავმა „ფულემთან" ამხანაგურ მატჩში მიიღო. ეს შეხვედრა უეფას თასის ფინალისტმა რუბენ ნავაროს გოლით 1:0 მოიგო. ალდო დესიო ჯერჯერობით „ალავესის" 25-კაციან განაცხადში არ ირიცხება, თუმცა, როგორც კი ვარჯიშს განაახლებს, მისი განაცხადში შეყვანა პრობლემა არ იქნება.**

**ჰოლანდიელმა** მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა გუშინ განაცხადა, რომ ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედიდან" წასვლის შემდეგ შესაძლოა მისი ადგილი დაიკავოს. „მანჩესტერელებთან პირადად არ მისაუბრია, მაგრამ ვიცი, რომ ერთ-ერთი კანდიდატი მეც ვარ. ჰოლანდიის ნაკრებში 2006 წლამდე ვიმუშავებ, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატის მერეც შემიძლია პოსტის დატოვება" — თქვა ვან გაალმა, რომლის ავტორიტეტი ნისლიან ალბიონზე უფრო ამაღლდა. მოგეხსენებათ, გუშინწინ ჰოლანდიელებმა ლონდონის „უაით ჰართ ლეინზე" ინგლისი 2:0 დაამარცხეს.

**ესტონელი მეკარე მარტ პოომი ტრავმის გამო „დერბი ქაუნთის" პრემიერლიგის საწყის ტურებში დააკლდება. მან ამ მიზეზით წინასასეზონო ამხანაგური მატჩებიც გამოტოვა. მედიკოსები ვერ ამბობენ, თუ როდის შეძლებს პოომი მინდორზე გასვლას.**

**პარაგვაული** „ოლიმპია" ფიფამ ერთი წლით ყველა შეჯიბრიდან მოკვეთა. ასუნსიონურ კლუბს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან უთანხმოება ჰქონია, იურიდიული სტატუსი მომანიჭეთო. ეს კი ფიფასთვის მიუღებელი მოთხოვნა ყოფილა და „ოლიმპიაც" ჯიუტობისთვის დაისაჯა. საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობა ხომ აუკრძალა, გარდა ამისა, პარაგვაული კლუბი ვერც 2001-2002 წლების ლიბერტადორესის თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

**ინგლისურმა „იფსვიჩ თაუნმა" გენუის „სამპდორიადან" 26 წლის გოლკიპერი მატეო სერენი შეიძინა. მეკარემ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, გენუელებმა კი 4.5 მილიონი გირვანქა მიიღეს. მას შემდეგ, რაც „იფსვიჩმა" ინგლისის ნაკრების ნაკრების კარის დარაჯი რიჩარდ რაიტი „არსენალში" გაყიდა, მისი ღირსეული შემცვლელი იპოვა. „სერენი ჩინებული მეკარეა. მოხარული ვართ, რომ რაიტს ღირსეული მემკვიდრე გამოვუძებნეთ" — განაცხადა პრემიერლიგელთა თავკაცმა ჯორჯ ბარლიმ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

## ინგლისი 0:2 ჰოლანდია

0:1 ვან ბომელი (38), 0:2 ვან ნისტელროი (39)
ინგლისი: მარტინი (ჯეიმსი 46; რ. რაიტი 48), გ. ნევილი (ლამპარდი 46), ეშლი კოული (ჯ. მერფი 46), კარაგერი, ბრაუნი (საუთგეიტი 46), კიოუნი (ემიოგუ 50); ბექემი (მილსი 46), სქოულზი (კარიკი 46), ჰარგრივსი (ბარმბი 46), ფაულერი (ოუენი 46), ენდი კოული (სმიტი 70)
ჰოლანდია: ვან დერ სარი (ვატერეუსი 46), რაიციგერი, სტამი (მელხიოტი 46), ვან ბომელი (ლანძაატი 73), ჰოფლანდი, ვან ბრონკჰორსტი, ზენდენი (დავიდსი 46), კოკუ (უდე კამპუისი 80), ოვერმარსი (მაკაი 46), კლუივერტი (ვან ჰოოიდონკი 89), ვან ნისტელროი (ჰასელბაინკი 46)
გაფრთხილება: ნევილი, კარაგერი, კლუივერტი
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

**ზედიზედ** ხუთი მოგებული თამაშის, ანუ სვენ გორან ერიკსონის მისვლის შემდეგ, ინგლისის ნაკრები პირველად დამარცხდა 0:2 შინ, ლონდონის „ტოტენჰემის“ „უაით ჰართ ლეინზე“, ცხადია, გულდასაწყვეტი შედეგია ინგლისელი გულშემატკივრებისთვის, თუმცა მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე მისულ ერიკსონს უხასიათობისა არაფერი ეტყობოდა.

„დიახ, ჩვენ წავაგეთ, მაგრამ ამის გამო ნერვიულობა სისულელეა — თქვა ინგლისელთა 53 წლის შვედმა მწვრთნელმა — ინგლისის ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია და ბევრად უკეთ შეუძლია თამაში, ვიდრე ჰოლანდიასთან აჩვენა. ეს რომ ნამდვილად ასეა, მომდევნო მატჩში დავამტკიცებთ“.

მომდევნო მატჩი კი ინგლისს პირველ სექტემბერს ელის გერმანიასთან და იმ შეხვედრაში გაირკვევა, შეძლებს თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატის მეცხრე შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილისთვის ბრძოლას. აქვე აღვნიშნავთ, რომ იმავე დღეს ჰოლანდიაც არანაკლებ პრინციპულ მატჩს გამართავს დუბლინში ირლანდიელთა წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით ერიკსონმა აღნიშნა: „მსოფლიოს ჩემპიონატზე აუცილებლად ვითამაშებთ, პანიკის არავითარი საფუძველი არ არსებობს“.

შეხვედრაში სახიფათო მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ ბედმა მხოლოდ სტუმრებს გაუღიმა და პირველი ტაიმის მიწურულს მათ ერთწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაუტანეს ნაიჯელ მარტინს. პირველად ეს ეინდჰოვენელმა მარკ ვან ბომელმა მოახერხა, რომელმაც 35 მეტრიდან ყუმბარისებურად გაისროლა, წუთის მერე კი მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა რუუდ ვან ნისტელროიმ მარტინის მოგერიებულს დაამატა. ინგლისელთა მეკარემ ბუდევინ ზენდენის დარტყმული მოიგერია.

ამ ორმა გოლმა მასპინძლები ისე დააბნია, რომ კინაღამ მესამეც გაუშვეს. იმავ ვან ნისტელროიმ უძრავად მდგარ მარტინს ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ ხარიხას გაარტყა.

შესვენების შემდეგ მინდორზე, ფაქტობრივად, სულ სხვა გუნდები გავიდნენ, თუმცა თამაშის ხასიათი ამით დიდად არ შეცვლილა. ოქმს თუ გადავხედავთ, შევნიშნავთ, რომ ინგლისელთა შორის ერთადერთი კაცი, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა, ჯეიმი კარაგერია, ხოლო მეკარე დევიდ ჯეიმსს სულ ორი წუთი დასცალდა თამაში — ის და მარტინ კიოუნი ერთმანეთს შეასკდნენ და ორივე შესაცვლელი შეიქნა.



ინგლისელებს პირველმა მარკ ვან ბომელმა (შუაში) გაუტანა

ინგლისელთაგან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მაიკლ ოუენმა და ენდი კოულმა, ხოლო ჰოლანდიელთაგან უდავოდ საუკეთესო ედვინ ვან დერ სარი იყო. ახლახან „ფულემში“ გადაბარგებულმა მეკარემ რამდენიმე თითქმის აუღებელი ბურთი მოიგერია.

ცალკე სათქმელია ოუენ ჰარგრივსის ამბავი. ერიკსონმა მასზე თქვა: „ჰარგრივსისგან ლიდერობას სულაც არ ველოდი და გაოცებული ვარ. მართალია, ის ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე გავამწესე, მაგრამ სულაც არ ვფიქრობ, რომ მისთვის ეს საუკეთესო პოზიციაა. ისე, მგონი, თავად ოუენმაც არ იცის, სად უკეთ შეუძლია თამაში“. აღვნიშნოთ, რომ ოუენ ჰარგრივსი სხვებზე გვიან გამოცხადდა შეკრებაზე, რადგან ბებიის გარდაცვალების გამო კანადაში იყო წასული.

თავში ვთქვით, რომ ინგლისელთა მწვრთნელი მატჩის შემდეგ საკმაოდ კარგ ხასიათზე ბრძანდებოდა და მისი ამგვარი განწყობა ფეხბურთელებსაც გადაედოთ. დევიდ ბექემმა თამაში ასე შეაფასა: „დღევანდელი მატჩი უბრალოდ ვარჯიში იყო გერმანიასთან შეხვედრის წინ, ამიტომ შედეგს დიდ მნიშვნელობას ნუ მივანიჭებთ. ბოლოს და ბოლოს, ექვსი მატჩიდან ხუთი მოვიგეთ და მხოლოდ ერთში დავმარცხდით, რაც ძალიან კარგი შედეგია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია და ერთად თამაშის გამოცდილებაც გვაკლია. ინგლისში სეზონი ჯერ არ დაწყებულა, შეკრებისთვის კი მხოლოდ სამი დღე გვქონდა“.

თუმცა არა, ინგლისის ნაკრებში ერთი უკმაყოფილო კაცი მაინც არის. ეს მაიკლ ოუენია: „დაცვა არ გვივარგოდა, ბურთსაც ვერ ვაკონტროლებდით. ამ მატჩიდან სახეირო ვერაფერი მივიღეთ“.

**გიორგი დარჯანია**



ზინედინ ზიდანმა სტიგ ტოფტინგი „მოტეხა“

## საფრანგეთი 1:0 დანია

1:0 პირესი (13)
საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, ლებეფი, დესაი, ლიზარაზუ (კანდელა 84), პეტი, ვიეირა (სანიოლი 73), ზიდანი, პირესი (მიკუ 65), ვილტორდი (მარლე 57), ანრი (ტრეზეგე 57)
დანია: სორენსენი, ჰანცე, ლაურსენი, ჰენრიქსენი, ჰელვეგი, ტოფტინგი, გრავესენი (მიკაელსენი 46), გრონკიაერი (ს. ნილსენი 82), სანდი (ნიგაარდი 17), რომედალი, ტომასონი (პ. ნილსენი 46)
გაფრთხილება: გრავესენი
მსაჯი: ჰ. მაკკარი (შოტლანდია)

**დანიელებთან** მატჩში როჟე ლემერმა თერთმეტი ევროპის ჩემპიონი ათამაშა, რომელთაგან ათი იმავდროულად მსოფლიოს ჩემპიონიცაა. მოედანზე იყო ზინედინ ზიდანიც, რომელმაც ჩვეულებრივ დიდი სამუშაო შეასრულა, მაგრამ მატჩის გმირი რობერ პირესი გახდა. მეცამეტე წუთზე მისმა დარტყმულმა დანიელთა ათმატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა.

სტუმართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ბოლო წუთამდე იბრძოლეს, თუმცა ჩინებულად მოთამაშე ფაბიენ ბარტეზს ვერაფერი მოუხერხეს. აღსანიშნავია ისიც, რომ პირესის გოლიდან ოთხ წუთში დანიელები ტრავმირებული ებე სანდის გარეშე დარჩნენ, რომელიც, შეგახსენებთ, გერმანიის ვიცე-ჩემპიონ „შალკეში“ თამაშობს.

თავის მხრივ, ფრანგებმაც რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ პირესი, ემანუელ პეტი და იოან მიკუ იმ ერთი გოლის გარდა ვერაფერს გამორჩნენ.

გოლის ავტორმა, რომელიც რამდენიმე თვის წინ კორეა-იაპონიაში დასრულებულ კონფედერაციათა თასის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს, მატჩის შემდეგ თქვა: „არა მგონია, რომ ნაკრებში შეუცვლელი ვიყო. თუმცა აშკარად ვატყობ, რომ დღითი დღე ვუმატებ და ყოველ მომდევნო მატჩში უკეთ ვთამაშობ. იმედი მაქვს, მომავალშიც ასე გავაგრძელებ და მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც მოვხვდები“.

**გიორგი დარჯანია**

### ლატვია 0:1 უკრაინა
0:1 მელაშჩენკო (17)

### ბოსნია 2:0 მალტა
1:0, 2:0 ბალიჩი (17, 45)

### ჩეხეთი 5:0 სამხრეთ კორეა
1:0 ნედვედი (31), 2:0 ბარანეკი (65), 3:0 ლოკვენცი (74), 4:0, 5:0 ბარანეკი (87, 90პ)

### რუსეთი 0:0 საბერძნეთი

### ფინეთი 4:1 ბელგია
1:0 ფორსელი (2), 2:0 კოლკა (13), 3:0 ლიტმანენი (29პ), 3:1 გოორი (36), 4:1 ტიჰინენი (77)

### ნორვეგია 1:1 თურქეთი
1:0 სოლსკიაერი (75), 1:1 ჰაქან შუქური (78)

### ბულგარეთი 1:0 მაკედონია
1:0 ბალაკოვი (47პ)

### შვედეთი 3:0 სამხრეთ აფრიკა
1:0 ლარსონი (58), 2:0 ოლბოკი (66), 3:0 ა. ანდერსონი (86)

### სლოვაკეთი 3:4 ირანი
0:1, 0:2 ბაგერი (8, 16), 1:2, 2:2 ორავეცი (18, 20), 3:2 ვიტეკი (29), 3:3 ვაჰედინიკბახტი (42), 3:4 ბაგერი (85)

### ისლანდია 1:1 პოლონეთი
0:1 ჰრეიდარსონი (20ს.კ.), 1:1 სიგურდსონი (87)

### ირლანდია 2:2 ხორვატია
1:0 დაფი (21), 2:0 მორისონი (77), 2:1 ვუგრინეცი (80), 2:2 შუკერი (90პ)

### ავსტრია 1:2 შვეიცარია
0:1 ფოგელი (10), 1:1 ა. ჰერცოგი (21), 1:2 ჰ. იაკინი (74)

### პორტუგალია 3:0 მოლდოვა
1:0, 2:0, 3:0 ფიგუ (43პ, 59პ, 90)

### ახალგაზრდულები

### იტალია 1:1 იუგოსლავია



ავსტრია — შვეიცარია. სტუმარი სებასტიან ფურნიე მასპინძელ ივიცა ვასტიჩს დაახტა



# გაიღიმეთ, კაპიტანო
## მარსელ დესაი ჩელსიმ ჩააფიქრა

**ლონდონელი** ძველი ბიჭი დენის უაიზი ამ ზაფხულს „ჩელსიდან“ „ლესტერში“ გადაბარგდა. არადა, იგი „ლურჯების“ კაპიტანი გახლდათ და კლუბშიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. წავიდა უაიზი და დარჩა „ჩელსი“ უკაპიტნოდ.

„ჩელსიში“ ასე იყო, თუ უაიზი მინდორზე არ გახლდათ, მაშინ მის მოვალეობას ჩია იტალიელ ჯანფრანკო ძოლას ანაც ინგლისელ გრემ ლე სოს ანდობდნენ.

კლაუდიო რანიერიმ, ლონდონელთა თავკაცმა კი არც აცია, არც აცხელა და „ჩელსის“ ახალ კაპიტნად 33 წლის ფრანგი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მარსელ დესაი დანიშნა.

„უდიდესი მისია დამეკისრა, ასე თავად რანიერიმ და გულშემატკივრებმა გადაწყვიტეს. დაბნეული და ჩაფიქრებული ვარ. ვფიქრობ, რომ გუნდში წინამძღოლი ინგლისელი უნდა იყოს. მე ინგლისური ენა სათანადოდ არ ვიცი, შეიძლება პრობლემებიც კი შემექმნას“ — თქვა გაოგნებულმა დესაიმ.

თუმცა ფრანგი თანაგუნდელებმა, მწვრთნელმა და ფანებმა დაამშვიდეს, ნუ დარდობ, ყველაფერი რიგზე იქნებაო.

ასეა თუ ისე, მარსელ დესაი კარსმომდგარ პრემიერლიგის ახალ სეზონში ლონდონური „ჩელსის“ კაპიტანი იქნება. იტალიური „რომას“ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს ოცნება კი არ ახდა — დესაის იტალიაში დაბრუნება ხომ მისი დიდი სურვილი იყო.

**გიორგი ბუზაძიძე**

# ევროპული ტრანსფერები

## ინგლისი

**არსენალი:** ნელსონ ვივასი (ინტერი, იტალია), შტეფან მალცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დევიდ ნობლი (უოტფორდი), ალექს მანინგერი (ფიორენტინა, იტალია); **ფრენსის ჯეფერსი (ევერტონი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი), იუნიჩი ინამოტო (გამბა ოსაკა, იაპონია).**

**ასტონ ვილა:** ჯულიან ჯოუჩიმი (ქოვენთრი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი); **ჰასან კაჩლული (საუთჰემპტონი), მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი), ოლოფ მელბერგი (რასინგი, ესპანეთი), პიტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია), დანი გარსია (ბარსელონა, ესპანეთი), ბოშკო ბალაბანი (დინამო (ზაგრები, ხორვატია)**

**ბლექბერნი:** ლი ჰარდი (ოლდემი), მაიკლ ბინგემი (მენსფილდი); **გორდონ გრეერი (კლაიდბანკი, შოტლანდია), კორადო გრაბი (ტერნანა, იტალია), თუგაი ქერიმოღლუ (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალან მაჰონი (სპორტინგი, პორტუგალია), ნათან ბლეიქი (ქოვენთრი), ჯიმი ტრაორე (ლივერპული).**

**ბოლტონი:** მეთიუ გლენონი (ჰალი), ჯონ ოკენი (ბლექპული), რობი ელიოტი (ნიუკასლი), მეტ კლარკი (ფულემი); **ნიკი საუთჰოლი (ჯილინგემი), ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ჰენრიკ პედერსენი (სილკებორგი, დანია), მეტ კლარკი (ბრედფორდი), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია).**

**ჩარლტონი:** ენდი ჰანტი (თამაში მიატოვა); **შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ჯეისონ იუელი (უიმბლდონი), ლუკ იუნგი (ტოტენჰემი), გევინ პიკოკი (ქუინზ პარკ რენჯერსი).**

**ჩელსი:** გუსტავო პოიეტი (ტოტენჰემი), დენის უაიზი (ლესტერი), ბერნარ ლამბური (ბასტია, საფრანგეთი), ნილ ბარეტი (პორტსმუთი), კორტნი პიტი (პორტსმუთი), სტივენ ბროდი (საუთენდი), ჯეი რიჩარდსონი (ექსეტერი), სემ პარკინი (ნორთჰემპტონი), რობერტ უოლესტონი (ნორთჰემპტონი), სტიუარტ რედინგტონი (მენსფილდი), ფრანკ ლებეფი (მარსელი, საფრანგეთი), ჯონ ჰარლი (ფულემი); **უილიამ გალასი (მარსელი, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ვესტ ჰემი), ემანუელ პეტი (ბარსელონა, ესპანეთი), ლეონ ნაითი (ქუინზ პარკი), ბუდევინ ზენდენი (ბარსელონა, ესპანეთი).**

**ევერტონი:** ფრენსის ჯეფერსი (არსენალი), შონ დოჰერტი (ფულემი), მაიკლ ბოლი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია); **ტომაშ რაძინსკი (ანდერლეხტი, ბელგია), ალან სტაბსი (სელტიკი, შოტლანდია), ფილიპ ჯევონსი (გრიმსბი), სტივენ ჰიუზი (უოტფორდი).**

**დერბი ქაუნთი:** რორი დელაპი (საუთჰემპტონი); **რიკარდო მასპერო (ტორინო, იტალია), დანიელე დაინო (მილანი, იტალია), ფაბრიციო რავანელი (ლაციო, იტალია).**

**ფულემი:** საიმონ მორგანი (ბრაიტონი), პოლ პეშისოლიდო (შეფილდ იუნაიტედი); **ლუიშ ბოა მორტე (საუთჰემპტონი), აბდესლალიმ უადუ (ნანსი, საფრანგეთი), მეტ კლარკი (ბოლტონი), შონ დოჰერტი (ევერტონი), ედვინ ვან დერ სარი (იუვენტუსი, იტალია), ჯონ ჰარლი (ჩელსი).**

**იფსვიჩი:** რიჩარდ რაიტი (არსენალი); **პაბლო გონსალეს კუნაგო (სელტა, ესპანეთი), კრის ჰოგი (იორკი), ენდი მარშალი (ნორვიჩი), ტომი მილერი (ჰარტლპული), მატეო სერენი (სამპდორია, იტალია).**

**ლიდსი:** უორენ ფინი (ბორნმუთი), კევინ დიქსონი (ბარნსლი); **რობი კინი (ინტერი, იტალია).**

**ლესტერი:** სტიუარტ კემპბელი (გრიმსბი), ლოური დადფილდი (ჰალი); **დენის უაიზი (ჩელსი), იან უოქერი (ტოტენჰემი).**

**ლივერპული:** იან არმსტრონგი (პორტვეილი), ჯიმი ტრაორე (ბლექბერნი), კრისტიან ციგე (ტოტენჰემი); **იონ არნე რიისე (მონაკო, საფრანგეთი), მილან ბაროში (ბანიკი, ჩეხეთი).**

**მიდლსბრო:** ნაილ მედისონი (დარლინგტონი), კრისტიან კარამბუ (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); **შილარდ ნემეტი (ინტერი, სლოვაკეთი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), ფრანსუა გრენე (ბორდო, საფრანგეთი), ჯონათან გრინინგი (მანჩესტერ იუნაიტედი), მარკ უილსონი (მანჩესტერ იუნაიტედი).**

**მანჩესტერ იუნაიტედი:** როდრი ჯოუნსი (როტერჰემი), ეშლი დოდი (პორტვეილი), ჯოშ უოქერი (შრიუსბერი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), მარკ უაიტმენი (ბარი), ჯონათან გრინინგი (მიდლსბრო), მარკ უილსონი (მიდლსბრო); **რუუდ ვან ნისტელროი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო, იტალია), როი კეროლი (უიგანი).**

**ნიუკასლი:** დეს ჰამილტონი (კარდიფ სიტი, უელსი), სტივენ გლასი (უოტფორდი); **რობი ელიოტი (ბოლტონი), კრეიგ ბელამი (ქოვენთრი), ლორან რობერი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი).**

**საუთჰემპტონი:** ფილ უორნერი (კემბრიჯი), ლუიშ ბოა მორტე (ფულემი), ჰასან კაჩლული (ასტონ ვილა), დინ რიჩარდსი (ტოტენჰემი); **რორი დელაპი (დერბი ქაუნთი), ანდრეს სვენსონი (ელფსბორგი, შვედეთი), ჯაჩინტო ელა იენი (ესპანიოლი, ესპანეთი).**

**სანდერლენდი:** კარსტენ ფრედგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), მილტონ ნუნიეში (ნასიონალი, ურუგვაი); **ნიკოლას მედინა (არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა), ბაკი მერჩიმკი (ჰაარლემი, ჰოლანდია), ლილიან ლასლანდი (ბორდო, საფრანგეთი), დავიდ ბელიონი (კანი, საფრანგეთი).**

**ტოტენჰემი:** ნაილ ფინი (პიტერბრო), რამონ ვეგა (სელტიკი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (არსენალი), ლუკ იუნგი (ჩარლტონი); **ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), გუსტავო პოიეტი (ჩელსი), შონ ჯალალი (ჰასტინგსი), გორან ბუნიევჩევიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კრისტიან ციგე (ლივერპული), კეისი კელერი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი), დინ რიჩარდსი (საუთჰემპტონი).**

**ვესტ ჰემი:** მარკ კელერი (სტრასბური, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), სტიუარტ პირსი (მანჩესტერ სიტი), ტომი უილიამსი (პიტერბრო), სტივ ანგესი (კემბრიჯი), ამოს ფოიევა (ბორნმუთი); **სებასტიან შემელი (მეცი, საფრანგეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ანდრეს დალესანდრო (სან ლორენსო, არგენტინა).**

## ესპანეთი

**ალავესი:** ხავი მორენო (მილანი, იტალია), კოზმინ კონტრა (მილანი, იტალია), ივან ტომიჩი (რომა, იტალია), ივან ასკოიტია (რაიო ვალეკანო), დიაგო განანი (სალამანკა); **ბოგდან მარა (დინამო, რუმინეთი), ალესანდრო (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), ხოსე ემილიო ამავისკა (რასინგი), ჩომინ ნაგორე (ნუმანსია), ალბერტო სერანო (ესპანიოლი), კარლოს ლორენსი (ატლეტიკო), რუბენ ნავარო (ნუმანსია), ფაბრიციო კოლოჩინი, გაბრიელე ალდეგანი (ორივე მილანი, იტალია).**

**ბეტისი:** **მინხო (რაიო ვალეკანო), ვაშინგტონ ტაისი (რასინგი), ვიქტორ იკპება (დორტმუნდი, გერმანია).**

**ბილბაო:** იმანოლ ეჩებერია (რაიო ვალეკანო); **აიტორ ოკიო (ოსასუნა), ხუან კარლოს სივორი (კორდობა), სესარი (სევილია), ლუის პრიეტო (ეიბარი), ურაკა (ესტრემადურა), დიეგო კარანკა (ესტრემადურა), ხორხე პერესი (ესტრემადურა).**

**ბარსელონა:** ივან დე ლა პენია (ლაციო, იტალია), ემანუელ პეტი (ჩელსი, ინგლისი), სიმაო საბროსა (ბენფიკა, პორტუგალია), დანი გარსია (ასტონ ვილა, ინგლისი), ბუდევინ ზენდენი (ჩელსი, ინგლისი); **ჯოვანი (კრუზეირო, ბრაზილია), ფაბიო როჩემბაკი (პორტუ ალეგრი, ბრაზილია), ფილიპ კრისტენვალი (მონაკო, საფრანგეთი), პატრიკ ანდერსონი (ბაიერნი, გერმანია), რობერტო ბონანო (რივერ პლეიტი, არგენტინა), ხავიერ სავიოლა (რივერ პლეიტი, არგენტინა).**

**სელტა:** პაბლო კუნაგო (იფსვიჩი, ინგლისი), ხუან ხაიო (უნიონ სანტა ფე, არგენტინა), გორან ჯოროვიჩი (დეპორტივო); **ოლაისი (პონტევედრა, ბრაზილია), ივან კავიედესი (ვალიადოლიდი), ჯაკობო კამპოსი (კომპოსტელა), ხუან მენა (ხერესი), პაბლო კონტრერასი (რასინგი), ფლორიან მორისი (მარსელი, საფრანგეთი), იერეი ორტეგა (ლას პალმასი), ზვონიმირ ბობანი (მილანი, იტალია)**

**დეპორტივო:** ჟაკ სონგო (მეცი, საფრანგეთი), ტურუ ფლორესი (სპორტინგი, პორტუგალია), სალაჰედინ ბასირი (ლილი საფრანგეთი), პეტერ კოუბა (იაბლონეცი, ჩეხეთი), სებასტიან აბრეუ (ნასიონალი, ურუგვაი); **ექტორ ბერენგელი (სევილია), ხაიმე (რასინგი), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ოსასუნა), ჩანგუი (ელჩე), გაბრიელ შურერი (ლას პალმასი), აბრეუ (სან ლორენსო, არგენტინა), დავიდ პრი (ნუმანსია), მანელი (ნუმანსია), ივან პერესი (ნუმანსია), ენრიკე (ფეროლი), აირა (ფეროლი), გორან ჯოროვიჩი (სელტა), სერხიო გონსალესი (ესპანიოლი).**

**ესპანიოლი:** კრისტობალი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), დიეგო დე ლუკასი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), ალბერტო სერანო (ალავესი), კოსტელ გალკა (ვილიარეალი), ხორდი ლარდინი (ატლეტიკო), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია), ჯაჩინტო ელა იენი (საუთჰემპტონი, ინგლისი), სერხიო გონსალესი (დეპორტივო); **ალექს ფერნანდესი (ოსასუნა), დავიდ აგანსო (რეალი), ფრანი (ლეიდა), მანელი (სპორტინგი), ხუან ფრანსისკო პალენსია (კრუს ასული, მექსიკა), კატალინ მუნტიანუ (ატლეტიკო).**

**ლას პალმასი:** ამადორი (ერკულესი), გაბრიელ შურერი (დეპორტივო), მარიო ტურდო (რენი, საფრანგეთი), ანტონიო გიარე (ვილიარეალი), იერეი ორტეგა (სელტა); **ფაბიან ტევენე (სევილია), ნეირა (უნიონ ესპანიოლა, ჩილე), სოკორო (ელჩე), კუესადა (უელვა), ვიქტორი (უნივერსიდადი), ალბერტო (უნივერსიდადი), ვეგა (გრანადა), ალექსი (ტენერიფე).**

**მალაგა:** მარტინ რივასი (ინტერი, იტალია), ფრანსისკო რუფეტე (ვალენსია), გონსალო დე ლოს სანტოსი (ვალენსია); **ბოშკო ლეკო (ჰაიდუკი, ხორვატია), დუდა (კადისი), ავულე კუაე არიკი (ორივე ჰართს ოფ ოკი, განა), გარსია ხერარდო (ვალენსია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), კარლუშ ლიტუში (ბოავიშტა, პორტუგალია), მარსელო რომერო (ენეაროლი, ურუგვაი).**

**მალიორკა:** ხოსე კარერასი (ატლეტიკო), არმანდო ალავესი (ატლეტიკო), იოვან სტანკოვიჩი (ატლეტიკო), ხერმან ბურგოსი (ატლეტიკო); **ფათიჰ აკიელი (გალათასარაი, თურქეთი), სამუელ ეტოო (რეალი), ხოსემი, ჯოკაი (ორივე ლეიდა), ვისენტე (სპორტინგი).**

**ოსასუნა:** კუკო სიგანდა (თამაში მიატოვა), ალექს ფერნანდესი (ესპანიოლი), ალფონსო ვერა (სევილია), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ყველა დეპორტივო), ანხელი (სევილია), აიტორ ოკიო (ბილბაო), ლორენსი (ატლეტიკო), გარსია ხერარდო (ვალენსია); **ჯონ ალოიზი (ქოვენთრი, ინგლისი), პუნიალი, მორალესი (ორივე ლეგანესი), ვილია (ფეროლი), მოა (ლევანტე), ალმუნია (საბადელი), ხერარდო დამიან რივერო (ალმაგრო, არგენტინა), რაფაელ ოლარა (უნივერსიდადი, ჩილე), დანიელ გასტონ მონტენეგრო (მარსელი, საფრანგეთი).**

**რაიო ვალეკანო:** გუსტავო ბარტელტი (რომა), სერხიო მარტინეს ბალესტეროსი (ვილიარეალი), მინხო (ბეტისი), კეისი კელერი (ტოტენჰემი, ინგლისი); **ივან ასკოიტია (ალავესი), იმანოლ ეჩებერია (ბილბაო), ზოლტან გრანოვი (უიპეშტი, უნგრეთი), მიჩელ II (სევილია), რივერა (ფეროლი), ჩიჩი პერაგონი (ლევანტე), ერიკ რუა (ტრუა, საფრანგეთი).**

**რეალი:** მანუელ სანჩისი (თამაში მიატოვა), დავიდ აგანსო (ესპანიოლი), სამუელ ეტოო (მალიორკა), ესტებან კამბიასო (რივერ პლეიტი, არგენტინა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (ბენფიკა, პორტუგალია), ტოტე (ვალიადოლიდი); **როდრიგო ფაბრი (სპორტინგი, პორტუგალია), ედვინ კონგო (ტულუზი, საფრანგეთი), ესტებან კამბიასო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (სოსიედადი), ხულიო ალვარესი (რასინგი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია).**

**სოსიედადი:** ესტებან ფუენტესი (თამაში მიატოვა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (რეალი); **ბიორნ ტორე კვარმე (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), ხოსე ბარკერო (ეიბარი), ალდეონდო (კორდობა), იკერ ალვარესი (ბეასანი), იგორ ცვიტანოვიჩი (დინამო, ხორვატია), ბიორნ ტორე კვარმე (სენტ ეტიენი, საფრანგეთი).**

**სევილია:** ექტორ ბერენგელი (დეპორტივო), ფაბიან ტევენე (ლას პალმასი), სესარი (ბილბაო); **ალფონსო ვერა (ოსასუნა), ანხელი (ოსასუნა), მარიანო რამონ ტოედტლი (სალამანკა).**

**ტენერიფე:** მისტა, კურო ტორესი (ორივე ვალენსია), ლუის გარსია (ვალიადოლიდი), ალექსი (ლას პალმასი); **ხუან ესნაიდერი (იუვენტუსი, იტალია).**

**ვალენსია:** ზლატკო ზაჰოვიჩი (ბენფიკა, პორტუგალია), დიდიე დეშამპი (მონაკო, საფრანგეთი, მწვრთნელი), გარსია ხერარდო (მალაგა), გაისკა მენდიეტა (ლაციო, იტალია), ჯონათან ლოპესი (ნუმანსია), იოაკიმ ბიორკლუნდი (ვენეცია, იტალია); **კარლოს მარჩენა (ბენფიკა, პორტუგალია), მისტა (ტენერიფე), კურო ტორესი (ტენერიფე), ხერარდო (ოსასუნა), ლივერო პარი, დენის სერბანი, ხავი ნავარო (ყველა ელჩე), რუბენ ნავარო, კურო მონტოია (ორივე ნუმანსია), ხისკო (უელვა), ფრანსისკო რუფეტე (მალაგა), გარსია ხერარდო (ოსასუნა), გონსალო დე ლოს სანტოსი (მალაგა), სალვა ბალესტა (ატლეტიკო).**

**ვალიადოლიდი:** ალბერტო, რაული, ხოსე ანტონიო გარსია კალვო (ყველა ატლეტიკო), იან ჰაინცე (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), კვატემოკ ბლანკო (ნეკაქსა, მექსიკა); **გასპარი, მარიო (ორივე ატლეტიკო), ლუის გარსია (ტენერიფე), ტოტე (რეალი).**

**ვილიარეალი:** **ორიოლ ლოსანო (ლეიდა), კოსტელ გალკა (ესპანიოლი), კიკე მარტინი (სალამანკა), ხავი ვენტა (ფეროლი), ანტონიო გიარე (ლას პალმასი), სერხიო მარტინეს ბალესტეროსი (რაიო ვალეკანო).**

**სარაგოსა:** სერგეი გურენკო (რომა, იტალია), ხუან ესნაიდერი (იუვენტუსი, იტალია); **ესკერდინია (პორტუ, პორტუგალია), გორან დრულიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), სლობოდან კომლიენოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ლუჩანო გალეტი (ესტუდიანტესი, არგენტინა).**

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი**

# ამხანაგური მატჩი


REUTERS ფოტოარქივიდან

ემრე ასიჩი (№5) და ვინჩენცო მონტელა

**რომა 1:1 გალათასარაი**

0:1 სუათი (45), 1:1 ბატისტუტა (86)

რომა: ანტონიოლი, სიმილია (ალდაირი 50), ძაგო, ძებინა, ფუზერი (ბალბო 60), ასუნსაო (როსი 46), ტოტი (დელვეკიო 70), ტომაზი, ლიმა, ბატისტუტა, მონტელა (კასანო 46)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გალათასარაი: მონდრაგონი, ემრე ასიჩი, ვუდათი, კამონე, პერესი (ფარუკი 46), აიჰანი (ემრაჰი 82), ბიულენთ აკინი, სუათი (უფუკი 87), ჯიტორია, ჟარდელი (სერქანი 46), სერგენი (საბრი 87)

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

გაფრთხილება: ბალბო

მსაჯი: ლუც ფროილიხი (გერმანია)

18 000 მაყურებელი

**იტალიის** ჩემპიონმა „რომამ" სეზონისწინა ბოლო ამხანაგური შეხვედრა გამართა. ამჯერად მისი მეტოქე „გალათასარაი" იყო. „გალამ", მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ჩემპიონატი დაწყებულია, მაინც გამონახა დრო (ასეთ მეტოქეზე უარს ვინ იტყოდა), რომაელებთან გასაჯიბრებელად. მატჩი არც სტამბოლში გამართულა და არც რომში. გუნდები ერთმანეთს ბერლინის „დინამოს" სტადიონზე დაეჯახნენ. თურქებს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ. მათ შორის დღესდღეობით ყველაზე იმედისმომცემი უმით არანიც, რომელსაც ტრავმა აწუხებს. ბერლინში ლაღი თამაში გაჩაღდა. საინტერესოა, რომ „გალას" შემადგენლობაში ისევ გამოჩნდა მსოფლიომოვლილი მარიო ჟარდელი. სწორედ მისი პასით გაიტანა პირველი ტაიმის ბოლო წუთზე სუათმა — ბურთი ერთი შეხებით გადაგზავნა ანტონიოლის კარში. სეზონისწინა ბოლო შეხვედრაში „რომა" წაგებას გაბრიელ ომარ ბატისტუტამ გადაარჩინა. თურქებმა რომ იფიქრეს, იტალიის ჩემპიონს მოვუგეთო, ზუსტად მაშინ შეინავარდა საჯარიმოს მარცხენა კუთხესთან არგენტინელმა და 86-ე წუთზე გაათანაბრა. ამის შემდეგ უკვე სანახაობა იყო. მეტოქეებმა მოურიდებლად ერთმანეთის შეტევები დაატკბეს და მსაჯმა დამთავრებისა დაუსტვინა.

თურქებს, რომლებმაც თავისი ქვეყნის ჩემპიონატის პირველ ტურში 40-გრადუსიან სიცხეში ითამაშეს, გერმანიაში ჩასულებს წვიმიანი ამინდი დახვდათ. თუმცა მატჩის დაწყებისას ტემპერატურა 36 გრადუსზე ავიდა და ფეხბურთელებს გვარიანი ოფლის ღვრა მოუხდათ. საინტერესო კიდევ ის იყო, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში გოლების ავტორების ორთაბრძოლის დროს სუათმა ბურთი წინ გაიგდო, რომელიღაც რომაელმა კი მას პანლურის მსგავსი მიაყოლა და წააქცია. წამომდგარი თურქი შეცდომით ბატისტუტას მიეჭრა, მაგრამ ისინი მსაჯებმა და თანაგუნდელებმა გააშველეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იტალია

**ატალანტა:** ივან პელიცოლი (რომა), მასიმო დონატი (მილანი), კრისტიან ძენონი (მილანი), დომენიკო მორფეო (ფიორენტინა), სტეფანო გალო (ტერნანა), მარკო ნაპი (ტერნანა), ნიკოლა ვენტოლა (ინტერი), ნილ სივილია (რომა), მაურიციო განცი (თამაში მიატოვა), სტეფანო ლორენცი (კიევო); **ლუკა საუდატი (მილანი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ჯანი კომანდინი (მილანი), ლუიჯი სალა (მილანი), მასიმო ტაიბი (რეჯინა), ალესანდრო რინალდი (რომა), ფაბიანო (ბაია, ბრაზილია), კორადო კოლომბო (ინტერი), პიეტრო ფოლიო (ვენეცია), უსმან დაბო (მონაკო, საფრანგეთი), ანტონიო კალდერონი (მონცა), ლუკა ძინი (პისტოიეზე), დავიდე ნატალი (მონცა).**

**ბოლონია:** ფრანსისკო ლიმა (რომა), ჯონათან ბინოტო (ინტერი), ენცო მარესკა (იუვენტუსი), მარკო როკატი (ნაპოლი), სტეფანო ბია (სენტ ეტიენი, საფრანგეთი); **ფაბიო მაჩელარი (ინტერი), ანტონიო ბელუჩი (ნაპოლი), სტეფანო გორეტი (პერუჯა), პიერპაოლო ძაკარდო (სპეცია), ნიკოლა კოპოლა (ნაპოლი), მატეო ბრიგი (იუვენტუსი), მარკო როკატი (დანდი, შოტლანდია), ფაბიო პეკია (ნაპოლი).**

**ბრეშა:** მასიმილიანო კაპუტო (ლივინგსტონი, შოტლანდია), სტეფანო ბიზოლი (პისტოიეზე), ფილიპო გალი (თამაში მიატოვა), ანტონიო მარინო (თამაში მიატოვა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ანდრეა პირლო (ინტერი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), დარიო უბნერი (პიაჩენცა); ანტონიო პიზანო (ასკოლი), აურელიო (კოზენცა); **მელვინ ბრაუნი (დერტონა, ავსტრალია), ფრანკო კარაჩიოლო (პრო ვერჩელი), ხორხე სალგადო (დეპორტივო უაჩიპატო, მექსიკა), ნიკოლა გრანდე (ფროზინონე), კარლო მერო (ტერნანა), დავორ იავორჩიჩი (კროტონე), ჯუზეპე ტინონზინი (კომონო), მარკო ბრონოლი (სან ანჯელო), დარიო დაინელი (ლეჩე), მარკუს შოპი (შტურმი, ავსტრია), ლუკა ტონი (ვიჩენცა), ფედერიკო ჯუნტი (მილანი).**

**კიევო:** სტეფანო კარბონე (პისტოიეზე), კრისტიანო გარძონი (პავია), ჯუზეპე მარკონი (ტერნანა), დავიდე ფრანჩესკინი (რეჯინა), პიეტრო მარკონი (ტერნანა), გაუჩო ბალდი (პესკარა), კარლო ფრეცოლინი (ლეჩე), ნიკოლა ჩიოპრიზი (ლოდიჯანი); **მარკო ძანკეტა (რეჯინა), სტეფანო მარაცინა (რეჯინა), კრისტიანო ლუპატელი (რომა), პიერო რეგროტალიე (მოდენა), კრისტიანო კავალი (კარარეზე), ანჯელო ბრუნო (ნაპოლი), ფრანკო როსი (ფაზანო), სიმონე პეროტა (იუვენტუსი), ალენ დელონი (ბაია, ბრაზილია), სტეფანო ლორენცი (ატალანტა).**

**ფიორენტინა:** მაურო ბრესანი (ვენეცია), სალიუ ლასისი (პარმა), დანიელე ბონორა (პისტოიეზე), მანუელ რუი კოშტა (მილანი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი), ენცო ტავანო (ემპოლი); ლუიჯი აგოსტინი (ტერნანა), ენცო ტავანო (რონდინელა), პრედრაგ მიატოვიჩი (თავისუფალი აგენტი); **რობერტო კასანო (ვოგერა), ეზეკელ გონსალესი (როსარიო სენტრალი, არგენტინა), არის ვაკუფცისი (რავენა), დომენიკო მორფეო (ატალანტა), ლუიჯი ბენინი (ტერნანა), რობერტო ბარონიო (ლაციო), ალექს მანინგერი (არსენალი, ინგლისი).**

**ინტერი:** ფაბიო მაჩელარი (ბოლონია), ჯანლუკა ლიძორი (ტერნანა), კორადო კოლომბო (ატალანტა), სტეფანო ფისორე (ტორინო), ადრიან მუტუ (ვერონა), სებასტიან ფრეი (პარმა), ანდრეა პირლო (მილანი), მატეო ფერარი (პარმა), მარკო ფერანტე (ტორინო), ბრუნო ჩირილო (ლეჩე), კრისტიან ბროკი (მილანი), ჯანლუკა ფრეცა (რომა), მარკო ბალოტა (მოდენა), მარკო კანეირა (ბენფიკა, პორტუგალია), ვამპეტა (ფლამენგო, ბრაზილია); **კორადო კოლომბო (ტორინო), ემრე ბელოზოღლუ (გალათასარაი, თურქეთი), სტეფანო ფისორე (ლეჩე), სალვატორე ფრეზი (ნაპოლი), სტეფანო ლომბარდი (პერუჯა), კრისტიან მენეზესი (ნასიონალი, ურუგვაი), ოკან ბურუქი (გალათასარაი, თურქეთი), სიქსტო პერალტა (ტორინო), მარტინ რივასი (მალაგა, ესპანეთი), ანსელმო რობიატი (პერუჯა), ნიკოლა ვენტოლა (ატალანტა), ნელსონ ვივასი (არსენალი, ინგლისი), ალბერტო ფონტანა (ნაპოლი), კრისტიანო ძანეტი (რომა), ჯონათან ბინოტო (ბოლონია), მოჰამედ კალონი (ვიჩენცა), მარკო მატერაცი (პერუჯა), დიეგო კანეირა (რეჯინა), სერჟიუ კონსეისაუ (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა), ნიკოლა ფრაუ (რომა), გრიგორის გეორგატოსი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ანდრეს გულიელმინპიეტრო (მილანი), ადრიანო (ფლამენგო, ბრაზილია).**

**იუვენტუსი:** რაფაელე ამეტრანო (ნაპოლი), მატეო ბრიგი (ბოლონია), ფილიპო ინძაგი (მილანი), სიმონე პეროტა (კიევო), ჯონათან ბაკინი (პარმა), მარკო ძანკი (პერუჯა), ფაბიო პეკია (ნაპოლი), ზინედინ ზიდანი (რეალი, ესპანეთი), ხუან ესნაიდერი (ტენერიფე, ესპანეთი), ედვინ ვან დერ სარი (ფულემი, ინგლისი), ფაბრიციო რავანელი (დერბი ქაუნთი, ინგლისი); **ლილიან ტურამი (პარმა), მარკო ძანკი (ვიჩენცა), რაფაელე ამეტრანო (კროტონე), ჯონათან ბაკინი (ბრეშა), ენცო მარესკა (ბოლონია), ფაბიო პეკია (ნაპოლი), სიმონე პეროტა (ბარი), ნიკოლა ამორუზო (ნაპოლი), პაოლო სკული (კროტონე), მასიმილიანო ვიერი (ანკონა), კრისტიან ძენონი (მილანი), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), პაველ ნედვედი (ლაციო), ფაბიო ლივერანი (პერუჯა), დავიდე ბაიოკო (პერუჯა), იაროსლავ სედივეცი (პლზენი, ჩეხეთი), ხუან ესნაიდერი (სარაგოსა, ესპანეთი), ისმაილ ზეიტულაევი (ანგრენი, უზბეკეთი).**

**ლაციო:** სტეფანო დომიცი (მილანი), ხუან სებასტიან ვერონი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პაველ ნედვედი (იუვენტუსი), ემანუელე პეზარეზი (ბენფიკა, პორტუგალია), ფაბრიციო რავანელი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), რობერტო ბარონიო (ფიორენტინა); **სეზარ როდრიგესი (სან კაეტანო, ბრაზილია), სტეფანო ფიორე (უდინეზე), ჯულიანო ჯანიკედა (უდინეზე), ანდრეა კომაცი (მილანი), ივან დე ლა პენია (ბარსელონა, ესპანეთი), მატიას ალმეიდა (პარმა), გაისკა მენდიეტა (ვალენსია, ესპანეთი).**

**ლეჩე:** დარიო დაინელი (ბრეშა), სტეფანო ფისორე (ინტერი), დიეგო ლოტი (აველინო), ანტონიო კონვერნსანო (დი სანგრო), ფილიპო მანიტა (მესინა), ედუსეი (კოზენცა), ნიკოლა ვაზარი (სამპდორია), კრისტიანო ლუკარელი (ტორინო), დარიო ვიალი (ვენეცია); **დიურიკ ვინკლაარი (ჰერენვენი, ჰოლანდია), ანსელმო ბილოტი (რავენა), კარლო ფრეცოლინი (კიევო), ბრუნო ჩირილო (ინტერი), ფილიპ ბილი (ლევალუა, საფრანგეთი).**

**მილანი:** ნასიმენტუ ლეონარდო (სან პაულუ, ბრაზილია), ლუიჯი სალა (ატალანტა), ჯანი კომანდინი (ატალანტა), ლუკა საუდატი (ატალანტა), პიერლუიჯი ორლანდინი (ატალანტა), მასიმო მაკარონე (ემპოლი), ანდრეა რაბიტო (მოდენა), სტეფანო დომიცი (მოდენა), ანდრეა კომაცი (ლაციო), მირკო სადოტი (პესკარა), კარლო ტეოდორანი (ვერონა), კრისტიან ძენონი (იუვენტუსი), მარკო ტოპიჩი (კოტბუსი, გერმანია), მატია გრაფიედი (ნაპოლი), ფედერიკო ჯუნტი (ბრეშა), ზვონიმირ ბობანი (სელტა, ესპანეთი), იბრაჰიმ ბა (მარსელი, საფრანგეთი), ანდრეს გულიელმინპიეტრო (ინტერი), დანიელე დაინო (დერბი ქაუნთი, ინგლისი), ფაბრიციო კოლოჩინი, გაბრიელე ალდეგანი (ორივე ალავესი, ესპანეთი), სირილ დომორო (მონაკო, საფრანგეთი), ხოსე ანტონიო შამოტი, გაბრიელ პაბლო გარსია, ნელსონ დიდა, დრაგენ ბრნჩიჩი (?); **კოზმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), ხავი მორენო (ალავესი, ესპანეთი), მასიმო დონატი (ატალანტა), კრისტიან ძენონი (ატალანტა), ფაბრიციო კოლოჩინი (სან ლორენსო, არგენტინა), სირილ დომორო (ბასტია, საფრანგეთი), ნიკოლა კორენტი (სიენა), დრაგენ ბრნჩიჩი (ვიჩენცა), ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი), მანუელ რუი კოშტა (ფიორენტინა), ანდრეა პირლო (ინტერი), მასიმო მაკარონე (ემპოლი), სტეფანო დომიცი (ლაციო), მატია გრაფიედი (ჩეზენა), ლუკა დე მერბი (სალერნიტანა), გაბრიელე ალდეგანი (მონცა), მოჰამედ ალიუ (მონცა), კრისტიან ბროკი (ინტერი), მარტინ ლაურსენი (პარმა).**

**პარმა:** ლილიან ტურამი (იუვენტუსი), ანდრეა დიმპორძანო (უდინეზე), მატეო გუარდალბენი (პიაჩენცა), ადაილტონი (ვერონა), ანტონ სერიჩი (ვერონა), დიეგო ფუზერი (რომა), სალიუ ლასისი (რომა), რაფაელე ლონგო (რომა), ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მარსიო ამოროზო (დორტმუნდი, გერმანია), სერჟიუ კონსეისაუ (ინტერი), მატიას ალმეიდა (ლაციო), ნიკოლა მორა (პიაჩენცა), პაოლო პოჯი (პიაჩენცა), პაოლო კანავარო (ვერონა), ხონიერ მონტანო (ვერონა), ალექს დე სოუზა (კრუზეირო, ბრაზილია), მარტინ ლაურსენი (მილანი); **ემილიანო ბონაცოლი (ვერონა), პაოლო პოჯი (რომა), მარტინ ლაურსენი (ვერონა), ჯოვანი გრიეკო (ჯენოა), სალიუ ლასისი (ფიორენტინა), ჯამპიერო მაინი (ვენეცია), ნიკოლა მორა (ტორინო), ჯუზეპე კარდონე (ვიჩენცა), მაურო მილანეზე (პერუჯა), სერგეი გურენკო (რომა), ამადეო მანგონე (რომა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), სებასტიან ფრეი (ინტერი), ჰიდეტოში ნაკატა (რომა), მატეო ფერარი (ინტერი), მარკო მარკიონი (ემპოლი), კლაუდიო ტაფარელი (გალათასარაი, თურქეთი), მარტინ ჯეტუ (მონაკო, საფრანგეთი).**

**პერუჯა:** მარკო მატერაცი (ინტერი), ლუკა საუდატი (მილანი), მიროსლავ ზაკეი (ემპოლი), სტეფანო გორეტი (ბოლონია), სტეფანო ლომბარდი (ინტერი), ანსელმო რობიატი (ინტერი), მარკო რივალტა (ვიჩენცა), მაურო მილანეზე (პარმა), ფაბიო ლივერანი (იუვენტუსი), დავიდე ბაიოკო (იუვენტუსი), ფაბიან გინაზუ (გვადალახარა, მექსიკა), ალესანდრო პიერი (უდინეზე); **ჯონ მაური (სტანდარდი, ბელგია), შაბონე სპანი (კონექტი, ტრინიდადი და ტობაგო), სტეფანო გროსო (კიეტი), ჟაკემინი (სტანდარდი, ბელგია), ჟან გალერი (ანდერლეხტი, ბელგია), ანტონიო კინალი (ვენტელა), რობერტო დი ფრანჩესკო (ინდიპენდიენტე, არგენტინა), ანტონიო ფუზანი (ბრეშელო), მარკო ძანკი (იუვენტუსი), ანდრეა სონჩინი (ვიჯევანო), სეად მუსლიმოვიჩი (უდინეზე), სალვატორე მატრეკანო (ნოტინგემ ფორესტი, ინგლისი), ალი შემერეხი (ესტეჯლალი, ირანი).**

**პიაჩენცა:** ფლავიო რომა (მონაკო, საფრანგეთი), პაოლო კრისტალინი (ვიჩენცა), ნიკოლა არტიკო (პესკარა), დავიდე ზიტოლო (პიზა), ფაბიო მატეასი (ვერონა); **პალმიერი (სალერნიტანა), ფაბიო მატეასი (ბრეშელო), ეუსებიო დი ფრანჩესკო (რომა), მატეო გუარდალბენი (პარმა), ანტონიო ნიკოლეტი (რეჯანა), ჯუზეპე კრისტანე (რავენა), პაოლო ორლანდონი (რეჯინა), პაოლო პოჯი (პარმა), ნიკოლა მორა (ტორინო), დარო უბნერი (ბრეშა), ფრანჩელინო და სილვა მატუზალემი (ნაპოლი), ამაური (ნაპოლი).**

**რომა:** ეუსებიო დი ფრანჩესკო (პიაჩენცა), ალესანდრო რინალდი (ატალანტა), კრისტიანო ძანეტი (ინტერი), პაოლო პოჯი (პარმა), ვინჩენცო დაგოსტინო (ბარი), კრისტიანო ლუპატელი (კიევო), ამადეო მანგონე (პარმა), სერგეი გურენკო (პარმა), რაფაელე ლონგო (პალერმო), ჰიდეტოში ნაკატა (რომა), ნიკოლა ფრაუ (ინტერი); **ფრანსისკო ლიმა (ბოლონია), ივან პელიცოლი (ატალანტა), ანტონიო კასანო (ბარი), ნილ სივილია (ატალანტა), ივან ტომიჩი (ალავესი, ესპანეთი), პაოლო პოჯი (ბარი), დიეგო ფუზერი (პარმა), სერგეი გურენკო (სარაგოსა, ესპანეთი), სალიუ ლასისი (პარმა), რაფაელე ლონგო (პარმა), დავიდე ფრეცა (სავოია), ჯანლუკა ფრეცა (ინტერი), სებასტიან სეხარი (ნიუელ ოლდ ბოიზი, არგენტინა).**

**ტორინო:** ჯიბრილ დიავარა (ბოლტონი, ინგლისი), კორადო კოლომბო (ინტერი), სიქსტო პერალტა (ინტერი), ნიკოლა მორა (პარმა), ედუარდო არტისტიკო (კროტონე), რიკარდო მასპერო (დერბი ქაუნთი, ინგლისი), კრისტიან შვოკი (ვიჩენცა); **პიერლუიჯი პაოლეტი (აკილა), ანტონიო ბალძარეტი (ვარეზე), ფრანკო (პენიაროლი, ურუგვაი), ეუჯენიო სორენტინო (ვარეზე), სტეფანო ფისორე (ინტერი), მარკო ტირიბოკი (სიენა), ფაბიენ ასტა (ნაპოლი), კრისტიანო ლუკარელი (ლეჩე), დანიელე კომოტო (ვიჩენცა), ფაბიო პეკია (იუვენტუსი), მარკო ფერანტე (ინტერი), სტეფანო ტურკეტი (ანკონა).**

**უდინეზე:** სტეფანო ფიორე (ლაციო), ჯულიანო ჯანიკედა (ლაციო), მორტენ ბისგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), სეად მუსლიმოვიჩი (პერუჯა), მასიმო მარჯოტა (ტერნანა), მაურო ესპოზიტო (სალერნიტანა); **ანდრეა დიმპორძანო (პარმა), ნიკოლა ელი (სალერნიტანა), მარტინ კროლდრუპი (აკადემისკი, დანია), ფაბიან მარტინესი (ტოლუკა, მექსიკა), დიკ მეერდინკი (გრააფსხაპი, ჰოლანდია), მაურისიო პინედა (ნაპოლი), ანტონიო სკარლატო (რავენა), ხუან პავონი (ატლეტიკო მორეილა, კოლუმბია), ნიკოლა ბედინი (სამპდორია), სიაბონგა ნომვეტე (კაიზერ ჩიფსი, სამხრეთ აფრიკა), ალესანდრო პიერი (პერუჯა), დიმიტრიოს ნალიცისი (პაოკ, საბერძნეთი), სამუელ კაბალიერო (?, ჰონდურასი), მარკოს პაულუ (კრუზეირო, ბრაზილია), დავიდ დი მიკელე (სალერნიტანა).**

**ვენეცია:** ჯამპიერო მაინი (პარმა), ანტონიო მაზიოლი (ლუმეცანე), მარკო ლუპი (თამაში მიატოვა), პიეტრო ფოლიო (ატალანტა), სტეფანო პედონე (კომო), ანჯელო ტოფანინი (პადოვა), კლაუს იბერტსბერგერი (ტიროლი, ავსტრია), იოაკიმ ბიორკლუნდი (ვალენსია, ესპანეთი); **მაურო ბრესანი (ფიორენტინა), ხუან მანუელ კარერი (ალიანსე, პერუ), მირკო ცვიტანოვიჩი (ვერონა), სტეფან ბუდანი (ბელინცონა), ჯუზეპე ჯიოკინი (სავოია), ჯიმი ალჟერინო (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), სამუელ დე ფრანჩესკი (სალერნიტანა), პაოლო კულო (ასკოლი), მეტ ბიანკი (პისტოიეზე), დანიელ ანდერსონი (ბარი), დარიო ვიალი (ლეჩე), სტეფანო ბელე (აკილა).**

**ვერონა:** მარტინ ლაურსენი (პარმა), ემილიანო ბონაცოლი (პარმა), სტეფანო სგრინა (ვიჩენცა), ემანუელე ფერარეზე (ჩიტადელა), მირკო ცვიტანოვიჩი (ვენეცია); **ანტონიო დილიზო (კალიარი), ადაილტონი (პარმა), ადრიან მუტუ (ინტერი), ჯოვანი ალიეტი (პისტოიეზე), კარლო ტეოდორანი (მილანი), ფაბიო მატეასი (ვერონა), ჯანლუკა კოსუ (ლუმეცანე), ანტონიო პიოვანელი (ჩიტადელა), ლუიჯი ფილიპინი (ნიცა, საფრანგეთი), ანტონ სერიჩი (პარმა), პაოლო კანავარო (პარმა), ხონიერ მონტანო (პარმა).**

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი.**

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## სამხრეთ ამერიკა



ბრაზილია — პარაგვაი. სტუმრებს პირველად მარსელინიო პარაიბამ უთავაზა

# არგენტინამ კიტოდან ტოკიო დაინახა
# ჩილავერტის იმედს მიწამ პირი უყო

### XIV ტური
### ეკვადორი 0:2 არგენტინა

0:1 ვერონი (19), 0:2 კრესპო (31 პ)
ეკვადორი: ჯ. იბარა, დე ლა კრუზი, ი. ურტადო, ესპინოზა, გუერონი, გუაგუა (ფერნანდესი 50), ბურბანო (ხ. აგინაგა 46), ვ. სანჩესი (ა. აგინაგა 46), კალა, კავიედესი, ა. დელგადო
არგენტინა: ბურგოსი, ვივასი, რ. აიალა, სამუელი, ხ. ძანეტი, სიმეონე (ალმეიდა 67), სორინი, კილი გონსალესი (კლაუდიო ლოპესი 85), ვერონი, აიმარი (ორტეგა 60), კრესპო
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)
45 000 მაყურებელი

### ბრაზილია 2:0 პარაგვაი

1:0 მარსელინიო პარაიბა (4), 2:0 რივალდო (70)
ბრაზილია: მარკოსი, როკე ჟუნიორი, რობერტო კარლოსი, კრისი, ჟუანი, ბელეტი, ედუარდო კოშტა, ტინგა, მარსელინიო პარაიბა (დენილსონი 63), რივალდო (ვამპეტა 85), ედილსონი (ლეონარდო 67)
პარაგვაი: ჩილავერტი, არსე, სარაბია, კასერესი, მორელი, პარედესი, სტრუვაი (კამპოსი 70), აკუნია, გავილანი, კარდოზო, სანტა კრუსი (ფერეირა 60)
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
60 000 მაყურებელი

### კოლუმბია — პერუ
წუხელ გვიან გაიმართა



ეკვადორი — არგენტინა. ხუან სებასტიან ვერონმა დაარტყა და... გაიტანა

**მსოფლიოს** ჩემპიონატის სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში გამართულმა ორმა მატჩმა წარსულში, იმ დროში დაგვაბრუნა, როცა კონტინენტს ორი აღიარებული ლიდერი, უცილობლად დიდი გუნდები ჰყავდა. არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებებმა დამაჯერებლად იმარჯვეს. არგენტინელთაგან ეს არავის გაჰკვირვებია, აი, ბოლო დროს გვარიანად შეჭირვებულმა ტეტრაკამპეონებმა კი ქომაგი სასიამოვნოდ გააოცეს.

არგენტინის ნაკრები კიტოში ეკვადორის ეროვნულ გუნდს სტუმრობდა. ამ მაღალმთიან ქვეყნის მკვიდრთ საკუთარ კედლებში კორეა-იაპონიის ჩემპიონატის შესარჩევებში აქამდე არ წაეგოთ, მაგრამ არგენტინელებმა შინ დაუმარცხებელ ეკვადორელებს პირწმინდად მოუგეს — ხუან სებასტიან ვერონისა და ერნან კრესპოს გოლებით იმარჯვეს. „ოლდ ტრეფორდზე" ახლახან გადაბარგებულმა ვერონმა ანგარიში თამაშის დასაწყისშივე გახსნა. მეკარე ჯოვანი იბარა ოცდახუთი მეტრიდან მისმა ყუმბარისებურმა დარტყმულმა სახტად დატოვა.

მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. ეკვადორელები მეტოქის საჯარიმოს ხშირი სტუმრებიც იყვნენ და არგენტინელთა მეკარესაც არცთუ იშვიათად უხდებოდა ოსტატობის ჩვენება. აღსანიშნავია ივან კავიედესის ლამაზი გარღვევა, თავდამსხმელი ფინტებით თავგზააბნეულ ორ მცველს გასცდა და დაარტყა, მაგრამ ბურთი არგენტინელთა კარს ზემოდან გადაევლო.

მატჩის მეორე გოლი თერთმეტმეტრიანიდან გავიდა. ეკვადორელმა კლებერ კალამ კარის ხაზზე ბურთი მეკარესავით გააჩერა და მსაჯს ხელით თამაშისთვის წითელი ბარათი დასტყუა, ერნან კრესპოს კი პენალტით ანგარიშის გაზრდა არ გასჭირვებია.

არგენტინის ნაკრებმა კიტოში მოგებით კორეა-იაპონიის საგზური დროზე ადრე, შესარჩევი ეტაპის დამთავრებამდე ოთხი თამაშით ადრე გაინაღდა. ეკვადორის ნაკრებს ოთხეულში მოხვედრის დიდი შანსი აქვს, რადგან წაგების მიუხედავად, მესამე ადგილზე დარჩა და მდევარ ბრაზილიელებს, რომლებმაც თავის მხრივ პარაგვაელებს სძლიეს, ერთი ქულითღა უსწრებენ.

ბრაზილია — პარაგვაის დაპირისპირება ძალიან უშელავათო გახლდათ. მატჩის შედეგს ორივე გუნდისთვის, განსაკუთრებით მასპინძლებისთვის, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მედია პორტუ ალეგრის „ოლიმპიკოზე" დიდ ჯახსა და ომსაც წინასწარმეტყველებდა. თუ ომზე ვსაუბრობთ, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ პარაგვაელთა მწვრთნელმა სერხიო მარქარიანმა და კაპიტანმა ხოსე ლუის ჩილავერტმა წარსული გაიხსენეს. უცნაურობითა და მძაფრი პატრიოტიზმით ცნობილმა პარაგვაელმა მეკარემ ბრაზილიელთაგან მეცხრამეტე საუკუნეში მიტაცებული პარაგვაული მიწების დაბრუნებაც კი მოითხოვა. თუმცა შემდეგ დაშოშმინდა და წინდაუხედავად თქვა, ბრაზილიის ნაკრებს იოლად მოვუგებთო. მშობლიური მიწების დაბრუნების არ იყოს, ესეც ოცნებად დაურჩა ჩილავერტს. ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდმა, როგორც იქნა, დაწყობილი, გააზრებული ფეხბურთი ითამაშა. ტეტრაკამპეონებს სწრაფმა გოლმა ფრთები შეასხა. თამაში სულ რამდენიმე წუთის დაწყებული გახლდათ, როდესაც მცველმა ბელეტიმ მარჯვნიდან ზუსტად ჩააწოდა, ბურთს ბერლინის „ჰერტას" თავდამსხმელი მარსელინიო პარაიბა მარჯვედ დაუხვდა და შესანიშნავი თავურით მეტოქის კარში გადაგზავნა.

სწრაფი გოლის შემდეგ მოედანზე ბრაზილიელები ბატონობდნენ. თუმცა სერხიო მარქარიანის შეგირდთა კონტრშეტევებიც ერთობ სახიფათო იყო. ერთ-ერთი მწვავე შეტევის დროს პარაგვაელები პენალტსაც კი იმსახურებდნენ, მაგრამ რივალდოს ხელით თამაში მატჩის გერმანელმა არბიტრმა, ჰელმუტ კრუგმა ბრაზილიელთა სასიხარულოდ ვერ შენიშნა. პარაგვაელთა დაცვა კი უშეცდომოდ ირჯებოდა. დაცვამ და კარის დარაჯის მოხერხებულობამ მუდამ კარზე დაგეშილ რივალდოს და მარსელინიოს მრავალი ხელსაყრელი მომენტი გაუცუდა. ხოსე ლუის ჩილავერტი ზოგჯერ სასწაულებსაც კი ახდენდა.

რივალდომ, მიუხედავად ყველაფრისა, თავისი მაინც შეაგდო. გოლი დენილსონის თავბრუდამხვევ დრიბლინგსა და რივალდოსთვის მიწოდებულ ჩინებულ პასს მოჰყვა. დენილსონისგან მონუსხული მცველებისგან თავისუფალ ბარსელონელს გატანა არ გასჭირვებია. რივალდოს მეკარისგან შორეულ კუთხეში გაგზავნილ თავურს დიდმა ხოსემაც ვერაფერი მოუხერხა.

გადარჩა სკოლარი დიდ სირცხვილს. პორტო ალეგრიში ბრაზილიელებმა იმარჯვეს და მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის შანსიც უფრო რეალური გახადეს. ტეტრაკამპეონებმა პარაგვაის ძლიერი გუნდი დაამარცხეს, საკმაოდ კარგადაც ითამაშეს, მაგრამ ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ბრაზილიის ნაკრებს საუკეთესო ფორმამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია.

### ზიორზი მამარდუშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 14 | 11 | 2 | 1 | 35:11 | 35 |
| პარაგვაი | 14 | 8 | 2 | 4 | 21:13 | 26 |
| ეკვადორი | 14 | 8 | 1 | 5 | 17:18 | 25 |
| ბრაზილია | 14 | 7 | 3 | 4 | 24:12 | 24 |
| ურუგვაი | 14 | 6 | 3 | 5 | 14:10 | 21 |
| კოლუმბია | 13 | 5 | 4 | 4 | 12:12 | 19 |
| ბოლივია | 14 | 3 | 5 | 6 | 15:21 | 14 |
| პერუ | 13 | 3 | 3 | 7 | 12:17 | 12 |
| ჩილე | 14 | 3 | 2 | 9 | 14:20 | 11 |
| ვენესუელა | 14 | 2 | 1 | 11 | 10:40 | 7 |

### მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მონაწილენი

იაპონია
სამხრეთ კორეა
საფრანგეთი
კამერუნი
სამხრეთ აფრიკა
ტუნისი
სენეგალი
ნიგერია
არგენტინა

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## ევროპა

ეროვნული ბიბლიოთეკა



იუგოსლავია — ფარერები. მასპინძელი ივან ტომიჩი (№4) და სტუმარი ჰულიან იონსონი

### I ჯგუფი. VII ტური
### იუგოსლავია 2:0 ფარერები

1:0 მიხაილოვიჩი (23), 2:0 ჯუკიჩი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 10:3 | 17 |
| სლოვენია | 7 | 3 | 4 | 0 | 11:7 | 13 |
| იუგოსლავია | 7 | 3 | 3 | 1 | 13:4 | 12 |
| შვეიცარია | 7 | 3 | 2 | 2 | 14:6 | 11 |
| ფარერები | 7 | 1 | 1 | 5 | 5:17 | 4 |
| ლუქსემბურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 2:18 | 0 |

**ძალიან** დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს სტუმრებმა მასპინძლებს. თუ ამ გუნდების პირველ შეხვედრაში ექვსი ბურთი გავიდა და ექვსივე ფარერელთა კარში, ამჯერად ბელგრადში 84-ე წუთამდე ანგარიში 1:0 იყო. მასპინძლების გამარჯვებაში ეჭვი, აბა, ვის შეეპარებოდა, მაგრამ თუ ასე გაუჭირდებოდათ, არავის ეგონა. პირველად სტუმართა კარში ბურთი ლაციოელმა სინიშა მიხაილოვიჩმა ააფრთხიალა. აქედან მოყოლებული ფარერელთა მეკარე იაკუპ მიკელსენი სასწაულებს სჩადიოდა. თამაშის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე კი ვალენსიელმა მიროსლავ ჯუკიჩმა ანგარიში შედარებით სოლიდური გახადა. ამ გამარჯვებით იუგოსლავიელებმა ოდნავ გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა. მომდევნო შეხვედრა კი მათ ერთ-ერთ უშუალო კონკურენტთან, შვეიცარიელებთან 1 სექტემბერს ელით.

### II ჯგუფი. VIII ტური
### ესტონეთი 2:2 კვიპროსი

0:1 კონსტანტინუ (39 პ), 1:1 ზელინსკი (61), 1:2 კონსტანტინუ (67), 2:2 ნოვიკოვი (90)

**ერთ დროს** ვლადიმერ გუცაევის ხელმძღვანელობით ჩვენგან ძლეული ესტონელები კვიპროსს მასპინძლობდნენ. სატურნირო ცხრილში ეს გუნდები შვიდ-შვიდი ქულით მეხუთე-მეექვსე ადგილებს ძმურად იყოფდნენ. ამ შეხვედრის შემდეგაც ძმურად დაშორდნენ ერთმანეთს. ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩები მეტოქეებს უგოლოდ დაესრულებინათ, ამჯერად კი ერთმანეთს ორ-ორი გაუტანეს. ჯერ სტუმრებმა გამოიჩინეს თავი, როცა 39-ე წუთზე მიხალის კონსტანტინუმ თერთმეტმეტრიანი დარტყმა ზუსტად შეასრულა. მეორე ნახევარში ესტონელთა მცველმა მარეკ ლემსალუმ შეტევაში ჩართვა გოლით დააგვირგვინა და ანგარიში გაათანაბრა. კვიპროსელმა კონსტანტინუმ მაინც არ მოისვენა, 67-ეზე თავისიანები ისევ დააწინაურა. შეხვედრა, ალბათ, ასეც დასრულდებოდა, რომ არა მასპინძელთა ნახევარმცველის ევგენი ნოვიკოვის დაახლოებით 20 მეტრიდან გასროლილი. ეტყობა, სტუმართა მეკარე არბიტრისგან მატჩის დასრულებას ელოდებოდა და ყურადღება მოადუნა, რადგან გოლი ანდრეას პეტრიდისის კარში 90-ე წუთზე გავიდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 8 | 5 | 3 | 0 | 18:5 | 18 |
| პორტუგალია | 7 | 4 | 3 | 0 | 18:5 | 15 |
| ჰოლანდია | 7 | 4 | 2 | 1 | 21:8 | 14 |
| ესტონეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:16 | 8 |
| კვიპროსი | 8 | 2 | 2 | 4 | 12:24 | 8 |
| ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 4:25 | 0 |



მამუკა კაციტაძე

# სტუ-ჯეოსელმა ზანგები ექვსეულისთვის შემოინახა

*წინა სეზონის ვერცხლის პრიზიორ „სტუ-ჯეოსელში" დიდი ცვლილებებია. შარშანდელი შემადგენლობიდან უკლებლივ ყველა მოთამაშეს დაუმთავრდა კონტრაქტი და გუნდის ხელმძღვანელობამ მხოლოდ შვიდ მათგანს გაუგრძელა ხელშეკრულება. რაც შეეხება შევსებას, სტუდენტებმა ჯერ მხოლოდ სამი კალათბურთელი დაიმატეს და საუკეთესო ექვსეულის გამოვლენამდე ასე აპირებენ მისვლას. ეროვნულ ჩემპიონატს დაუბრუნდა გიორგი გაგნიძე, რომელმაც შარშანდელი სეზონი მოსკოვის „სპარტაკში" გაატარა. მას მეთერთმეტე ეროვნულიდან ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდში ვიხილავთ.*

*გუშინ „სტუ-ჯეოსელის" პრეზიდენტს, მამუკა კაციტაძეს შევხვდით და გუნდში მომხდარ ცვლილებებზე და მომავალ გეგმებზე გავესაუბრეთ.*

**— ვიცი, გუნდში ბევრი ცვლილებაა.**

— „სტუ-ჯეოსელი" ბევრმა კალათბურთელმა კი დატოვა, მაგრამ ამ ეტაპზე უკვე გვყავს მოთამაშეები, რომლებიც მომავალ სეზონში კლუბის ძირითად ბირთვს შექმნიან. მართალია, ჯერ ყველასთან კონტრაქტი არ გაგვიფორმებია, რადგან ზოგი მათგანი ქალაქგარეთაა გასული, მაგრამ ტელეფონით ყველას ვუკავშირდებით და მოლაპარაკებულნი ვართ თანამშრომლობაზე. უკვე ათ კალათბურთელს მოვუ-რიგდით და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ეროვნული ჩემპიონატის პირველ ეტაპზე აღარავის დავიმატებთ. გუნდის ხელმძღვანელობისა და მწვრთნელების შეთანხმებით, ერთ პოზიციაზე ორი მოთამაშე ავიყვანეთ.

**— ვინ არიან ეს ათნი?**

— გუნდში დარჩნენ ირაკლი ხოშტარია, გიორგი მარხვაშვილი, ვახტანგ მინაშვილი, ალეკო დავითულიანი, ვასილ ოთიურიძე, გიორგი ლოსაბერიძე და გიორგი მდივანი. ახალ სეზონში მამუკა აბრამიძე, გიორგი გაგნიძე და ვალერი კილაძე შემოგვემატებიან.

**— შავკანიანთა ჩამოყვანა გადაიფიქრეთ?**

— არა. საქმე ის გახლავთ, რომ იმ შავკანიან მოთამაშეს, რომელიც გვაინტერესებს, ტრავმა აწუხებს. მან ჯერ არ ისურვა თბილისში ჩამოსვლა, რადგან არ უნდა, რომ ჩვენს გუნდს ასეთ მდგომარეობაში შეუერთდეს და ერთგვარ ტვირთად დააწვეს. იგი ჯერჯერობით რუსეთში დარჩება და მკურნალობის კურსს იქ გაივლის. ჩვენ მასთან კავშირს არ გავწყვეტთ და რეაბილიტაციის გავლის შემდეგ მის მეგობარ შავკანიან გამთამაშებელთან ერთად ჩამოვიყვანთ.

**— მაინც როდის აპირებთ მათ დამატებას?**

— კალათბურთის ფედერაციიდან შევიტყვეთ, რომ რეგულარული ჩემპიონატი დაახლოებით იმავე ფორმატისა იქნება, როგორიც წინა იყო. ანუ ჩატარდება ორი დიდი წრე და შემდეგ დაიწყება ექვსეული. იმ შემადგენლობით კი, რომელიც დღეს გვყავს, ექვსეულში გაღწევა არ უნდა გაგვიჭირდეს. ასე რომ, არ ვჩქარობთ და მათ, ალბათ, ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ დავიმატებთ, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ეს მანამდეც მოხდეს.

**— ლაპარაკობდნენ ზვიად ბაბიაშვილის „სტუ-ჯეოსელში" გადმოსვლის თაობაზეც—**

— ჩვენ გვქონდა მასთან მოლაპარაკება, საქმეს ისეთი პირიც უჩანდა, რომ ბაბიაშვილს ჩვენს გუნდში უნდა ეთამაშა, მაგრამ ბოლოს მან განგვიცხადა, რომ „აზოტის" ხელმძღვანელობას ესაუბრა და ღღესდღეობით რუსთავის გუნდში დარჩენა ისურვა.

**— სეზონისთვის სამზადისს როდოსლა იწყებთ?**

— 20 აგვისტოს ჩვენი გუნდი შეიკრიბება სრული, იმ ათი კაცის შემადგენლობით, რომელიც ზემოთ დავასახელე, ირაკლი ხოშტარიას გარდა, რადგან იგი ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული. პირველ სექტემბრამდე თბილისში მოვემზადებით და შემდეგ ათდღიან შეკრებას გავივლით.

**— საზღვარგარეთ ხომ არა?**

— ამჯერად არა. ჩემპიონატის დასაწყისისთვის საქართველოში მოვემზადებით, უცხოურ ტურნეს კი სავარაუდოდ ზამთარში, შესვენების დროს მოვაწყობთ.

**— გუნდს იგივე ტანდემი გაწვრთნის?**

— დიახ. მთავარი მწვრთნელი ისევ ნუგზარ ჭეიშვილი იქნება, ხოლო მისი თანაშემწე — ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი.

**— შავკანიანთა გარდა კიდევ ვინმეს ხომ არ დაადგით თვალი?**

— ჯერჯერობით ეს აუცილებელი არ არის. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ამ ათი კაცით საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა თითქმის გარანტირებული გვაქვს და მანამდე, ჩემპიონატის პირველ ეტაპზე გამოჩნდება, თუ რა აკლია ჩვენს გუნდს, რომელი რგოლის გაძლიერება სჭირდება. თუ აუცილებლობის წინაშე დავდექით, ამას სეზონის მსვლელობისას, ექვსეულის ტურნირის დაწყებამდე გავაკეთებთ.

**— კი მაგრამ, იმ დროისთვის ყველა კალათბურთელი თავის გუნდში იქნება დაკავებული.**

— მართალია, ამიტომ თუ გუნდის გაძლიერება გახდება საჭირო, ლეგიონერს ჩამოვიყვანთ. მარტო იმ ორ შავკანიან მოთამაშეზე კი არ ვართ დამოკიდებული. „სტუ-ჯეოსელს" შესწევს უნარი, რომ დასახული მიზნის მისაღწევად ყველაფერი გააკეთოს, საამისოდ კი არც უცხოელთა მოწვევას მოერიდება.

**— რას უმიზნებთ?**

— ერთს გეტყვით — მიღწეულზე შეჩერებას არ ვაპირებთ.

**ირაკლი ბერტაია**

## მინესოტა ტიმბერვულვზი

დაარსდა 1988 წელს, ნბა-შია 1989 წლიდან
ნბა-ს ჩემპიონი არ ყოფილა
დარბაზი: ტარჯეტ სენთერი, ტევადობა 19006

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამათ სულ შიათ

**„მაშ,** „მინესოტა ტიმბერვულვზი"? შესანიშნავია, კევინ გარნეტთან ერთად ვითამაშებ. მე და კევინი საჩემპიონო გუნდის ბირთვს შევქმნით, როგორც 80-იანი წლებისთვის ეს „მეჯიქ" ჯონსონმა და ქარიმ აბდულ-ჯაბარმა გააკეთეს" — როდესაც „მინესოტას" გენერალურმა მენეჯერმა კევინ მაკჰეილმა 1996 წლის დრაფტში ნიჭიერ გამთამაშებელ სტივენ მარბერის დაადო ხელი, ეს უკანასკნელი მეშვიდე ცაზე ფრინავდა. ამ ყმაწვილს არასდროს აკლდა ამბიცია, მაგრამ სწორედ ამან შეუშალა ხელი დანაქადის ასრულებაში.



კევინ მაკჰეილს გული მინესოტისთვის უძგერს

ჩემპიონობა ვის არ სწყურია და ბუნებრივია, არც მარბერია გამონაკლისი, მაგრამ მან დაფნის გვირგვინზე წინ ისევ და ისევ პატივმოყვარეობა დააყენა. როდესაც დარწმუნდა, რომ გარნეტის გვერდით „მგლების" ერთპიროვნული ლიდერი ვერ იქნებოდა, მარბერიმ სხვა გუნდში გაცვლა მოითხოვა და თავისას მიაღწია. „ახალგაზრდა კალათბურთელებს სისხლი უდუღთ და ბევრ მათგანს მოსდის მსგავსი შეცდომა. სამწუხაროა, რომ სტივენი გვტოვებს, იმის გამო, რომ მატჩში საშუალოდ ოცი ქულის ნაცვლად 25-ის გაკეთება უნდა და წელიწადში ათის მაგივრად 12-მილიონიან ხელფასს ითხოვს. სტივს ახალ გუნდში წარმატებას ვუსურვებ, მაგრამ ვეჭვობ, ამას მარტომ მიაღწიოს" — ასე პირდაპირ და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გამოეხმაურა მაკჰეილი 1999 წელს მარბერის „ნიუ ჯერსიში" გადასვლას. მრავლისმნახველი მაკჰეილის სიტყვები გამართლა. „მინესოტაში" მარბერის ნაცვლად რიგიანი გამთამაშებელი ტერელ ბრენდონი კი მოვიდა, მაგრამ „მგლების" წინსვლა მაინც შეფერხდა. რაც შეეხება თავად მარბერის, მან თავისას მიაღწია, „ნიუ ჯერსის" ლიდერი გახდა, მაგრამ ამით ვერაფერი მოიგო, მისი ახალი გუნდი პლეი ოფშიც კი ვერ ხვდებოდა. მარბერი მოგვიანებით მიხვდა, რომ შეცდა, მაგრამ გვიანღა იყო.

„მინესოტა ტიმბერვულვზი" ახალი კლუბია. იგი 1988 წელს „მაიამის", „შარლოტსა" და „ორლანდოსთან" ერთად დაარსდა და ერთი წლის შემდეგ ნბა-შიც შეაბიჯა. უნიკალურობისა რა მოგახსენოთ და ეს გუნდი ერთ რამეში მაინც ერთადერთია. თუ არ ჩავთვლით „ვანკუვერ გრიზლიზს" (დღეს „მემფის გრიზლიზი"), რომელიც არსებობის მანძილზე პლეი ოფში არ მოხვედრილა, ნბა-ს დანარჩენ 28 გუნდს შორის მხოლოდ „მგლებს" არ მოუგიათ პლეი ოფის სერია. 1997 წლიდან ისინი მუდმივად იქ არიან, მაგრამ გამარჯვება ყოველთვის მათ მეტოქეთა წილხვედრია. დიდ გამარჯვებებს დანატრებული დამშეული „მგლები" კბილებს აკაწკაწებენ, მაგრამ თუ საკბილო თვითონ არ მოიგდეს ხელში, ვინ ჩაუვარდებათ ხახაში? „აი, მარბერი რომ გვყავდეს"— ოცნებობენ მინესოტელები, მაგრამ გარნეტ-მარბერის არშემდგარი უძლეველი დუეტი წარსულის ამბავია.

და მაინც, „მინესოტას" ჰყავს კევინ გარნეტი, რაც თითქმის ავტომატურად პლეი ოფში ადგილის დაბევებას ნიშნავს. ეს კი გაცილებით უკეთესია, ვიდრე პლეი ოფში ვერმოხვედრა. იყო დრო, „მგლებს" ესეც სანატრელი ჰქონდათ.

ქალაქმა მინეაპოლისმა (მინესოტა შტატის სახელია) კარგად მიიღო „მგლები" და სრულიად დიდი კალათბურთი, რომლის ნახვასაც სამი ათეული წელი ნატრობდა. ძველ ქომაგებს კარგად ახსოვდათ, რომ მათი ჯილა „მინეაპოლის ლეიკერსი" (დღეს „ლოს ანჯელეს ლეიკერსი") ერთ დროს ნბა-ს აზანზარებდა და 1949-54 წლებში ხუთჯერ იჩემპიონა. „მგლები" ასეთ დახვედრას ვერს წარმოიდგენდნენ, 16-ათასიანი ძველი დარბაზი „მეტროდოუმი" „მგლების" „ცოცხლად" ნახვის მსურველებს ვერ იტევდა და ხშირად დარბაზში ორჯერ მეტი გულშემატკივარი იმყოფებოდა, ვიდრე იქ დასაჯდომი სკამი იყო. პირველ, 1989-90 წლების სეზონში „ტიმბერვულვზის" შინა[...]მაშებს მილიონზე მეტი, საშუალ[...] მატჩზე კი 26 ათასზე მეტი ქომაგი დაესწრო. ნბა-ს მანამდე მსგავსი არაფერი ენახა. და არვის აინტერესებდა ის, რომ „მგლები" ყოველი ათიდან შვიდ-რვა ბრძოლას აგებდნენ. თუმც ეს მხოლოდ პირველ წლებში იყო, მერე კი ხალხს თანდათან მობეზრდა ახალ კერპთა ფაფხურის ცქერა, მაყურებელმა იკლო და საქმე იქამდეც კი მივიდა, „მგლებს" სხვა ბუნაგის მოძებნა დასჭირდათ. ისინი ნბა-ს კომისარი დევიდ შტერნის ავტორიტეტმა იხსნა და დიდი კალათბურთი მინეაპოლისში დარჩა.

პირველ წლებში „მინესოტა" ვარსკვლავთა სიმცირეს განიცდიდა, გუნდი მგლის ხროვაზე უფრო ცხვრების ფარას ჰგავდა. 1992 წელს თითქოს გამოჩნდა მათი ყოჩი, მაგრამ... ამ წლის დრაფტში „მინესოტამ" აირჩია სტუდენტური ჩემპიონატის საუკეთესო ვარსკვლავი და ბარსელონას ოლიმპიადის ჩემპიონი, პირველი და ნამდვილი „დრიმ თიმის" წევრი კრისტიან ლეიტნერი. ამ ბიჭში დიდი ნიჭი ჩანდა, რომელიც აგრემც ვერ გაიფურჩქნა. იგი სამი სეზონი იყო „ტიმბერვულვზის" ლიდერი, მაგრამ მის ხელში გუნდს არ მოუგია თამაშების თუნდაც 30 პროცენტი, რომ აღარაფერი ვთქვათ პლეი ოფში მოხვედრაზე. „მინესოტა" პირველი შვიდი სეზონის განმავლობაში წვალობდა და ნატრობდა პლეი ოფს. საბოლოოდ მაინც გავიდა იქ, ოღონდ არა ლეიტნერის ოფლით. 1995 წელს იგი ტომ გულიოტაში გაცვალეს.

ის, რაც ვერ შეძლო საკმაოდ პრესტიჟული სტუდენტური ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშემ, მოახერხა სკოლის მოსწავლემ. კევინ გარნეტს არასდროს უსწავლია და უთამაშია უნივერსიტეტში, იგი პირდაპირ სკოლის მერხიდან, 18 წლისა მოხვდა ნბა-ს ბობოქარ სამყაროში. 1995 წლის დრაფტში მეხუთე ნომრად სწორედ ეს პირტიტველა ბიჭი და არა რომელიმე სხვა ირჩია „მინესოტას" ახლადდანიშნულმა გენერალურმა მენეჯერმა, 80-იანი წლების ლეგენდარული „ბოსტონის" ვარსკვლავმა და ლარი ბერდის მარჯვენა ხელმა კევინ მაკჰეილმა. იმისთვის, რომ ნბა-ს მორგებოდა, გარნეტს ერთი სეზონი ეყო. 1997 წლიდან იგი მუდმივადაა „ოლ სტარში" და დღეს ლიგის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშეა.

დღეს გარნეტი „მინესოტაში" რომაა, ეს, ცხადია, ამ შტატის სამაგალითო შვილის, მაკჰეილის დამსახურებაა და საერთოდ, „მგლები" სწორედ მას უნდა უმადლოდნენ ზედიზედ ხუთ პლეი ოფს. გარნეტამდე მაკჰეილმა აღმოაჩინა მანამდე უცნობი მწვრთნელი ფლიპ სანდერსი და გუნდიც მას ჩააბარა, დღეს სანდერსი კოლეგათა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია. ასევე მაკჰეილის არჩეულია სტივენ მარბერი, რომელმაც, მისდა სამწუხაროდ, უღალატა „მინესოტას".

1997 წლიდან „მგლებისთვის" პლეი ოფის კარი მუდამ ღიაა. ისინიც მთლიანობაში ბედს არ დაემდურებოდნენ, რომ არა ერთი-ორი სერიოზული უსიამოვნება. 2000 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა „ვულვზის" სასტარტო ხუთეულის წევრი მალიქ სილი. იმავე წელს კლუბსა და მის მოთამაშეს, ჯო სმიტს უკანონო კონტრაქტი აღმოუჩინეს, რასაც ნბა არავის პატიობს არც „მინესოტას" შეარჩინა. მრისხანე დევიდ შტერნმა არ დაინდო ისინი, ვინც ერთხელ იხსნა და „მგლებს" ტყავი გააძრო: ჯო სმიტი, კარგი კალათბურთელი, იძულებული გახდა, ერთი წელი სხვა გუნდში გაეტარებინა. რამდენიმე კვირის წინ ის კვლავ დაუბრუნდა თავისიანებს და კევინ გარნეტთან, ტერელ ბრენდონთან, ვალი შჩერბიაკსა და სხვებთან ერთად ინადირებს საკბილოზე — „მგლები" ხომ ჯერაც მშივრები არიან.



მგლების ხროვის წინამძღოლი კევინ გარნეტი

**ირაკლი ფირუზაშვილი**

# ღვთაებრივი სამყაროს ცეცხლი

***რომის პაპი იოანე პავლე II ახალგაზრდობაში ფეხბურთით იყო გატაცებული და მეკარეობდა. ახლა, 81 წლის პაპი ფიზიკური ვარჯიშისთვის საკმაოდ მოფამფალებულია, მაგრამ სპორტისადმი კვლავაც დიდ ინტერესს იჩენს. იგი ხშირად ღებულობს სპორტის ვარსკვლავებს და მათი მიღწევებით და გეგმებით ინტერესდება. ეს ყოველივე ათლეტთათვის უდიდესი პატივია.***

***— ეს დღე ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია — თქვა სახელგანთქმულმა იტალიელმა ფეხბურთელმა, გაბუდისტებულმა კათოლიკე რობერტო ბაჯომ, როცა იოანე პავლე II წინაშე წარდგა.***

**ეს** მოხდა შარშან, როცა კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდა წელიწადი სპორტული ზეიმითაც აღნიშნა. იუბილე მესით დაიწყო და ფეხბურთმა დააგვირგვინა. ბოლოს იტალიელი და ამ ქვეყანაში მოთამაშე უცხოელი ფეხბურთის ვარსკვლავები რომის პაპის წინაშე წარდგნენ. რომის პაპი ამ ზეიმის მთავარ არენაზე, მარადიული ქალაქის ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნაზე, საგანგებოდ მოწყობილ ლოჟაში დაბრძანებულიყო, მისი ტახტრევანის ქვემოთ ოლიმპიური ცეცხლი გიზგიზებდა, ზემოთ, ზურგსუკან, ვეება ჯვარი აღემართათ.

რომის ამ სარბიელმა 1960 წლის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა. მაშინ ვატიკანი ყოველმხრივ ცდილობდა სტადიონის თავზე, ოლიმპიური დროშის გვერდზე ჯვარცმის აღმართვას. თამაშებამდე ერთი დღით ადრე ვატიკანმა წმინდა პეტრეს მოედანზე შეყარა „რომში ჩასული მთელი მსოფლიო".

— წმინდა ეკლესია ისევე ეხვევა და გულში იკრავს ოლიმპიელებს, როგორც ამ მოედანს ეს კოლონადა — თქვა მაშინ რომის პაპმა იოანე XXIII.

* * *

**სპორტი** და რელიგია ოდითგანვე მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან გადაჯაჭვულნი. ანტიკური ოლიმპიური თამაშების წარმომავლობასთან დაკავშირებით რამდენიმე მითი არსებობს და ყველა მათგანი ოლიმპიელ ღმერთებს და ნახევრადღმერთებს უკავშირდება. არსებობს ასეთი ტერმინიც „ოლიმპიური რელიგია", რასაც უწოდებენ ბერძნული პოლისების — ქალაქ-სახელმწიფოების ოფიციალურ რელიგიას მათი პოლიტიკური, სულიერი და კულტურული აყვავების პერიოდში.

ანტიკური მითოლოგიის თანახმად, ბერძენთა ღმერთები ოლიმპოს მთაზე, თავიანთ სავანეში ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ. ოლიმპიელთა უზენაესი ღვთაება იყო ზევსი — ღმერთთა და კაცთა მამა. ერთ-ერთი მითის მიხედვით, ოლიმპიური თამაშების წარმოშობა სწორედ ოლიმპიელი ზევსის სახელს უკავშირდება. ელინთა უზენაეს ღვთაებას კრონოსზე გამარჯვების აღსანიშნავად დაუწესებია ათლეტური თამაშები.

„სიტყვაში ათლეტიკა და ათლეტი იგულისხმებოდა რაღაც იდუმალი და ღვთაებრივი — ამბობს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში წარმოთქმულ სიტყვაში მსოფლიოს პატრიარქი, მისი უწმინდესობა ბართოლომეო, როცა იგი ხუთიოდე წლის წინათ ამ ორგანიზაციას ეწვია შვეიცარიის მიტროპოლიტ დამასკინოსთან და მის უმაღლესობა მიტროპოლიტ ქსისოსთიმე ეფესელთან ერთად. — ათლეტში იგულისხმებოდა პატივისცემის გამოხატულება ღვთაებრივი წესრიგისა და ჰარმონიისადმი, რაც კაცობრიობის იდეალია — „KALAS KAGATLOS" — კარგი და მშვენიერი.

როგორც ფიზიკურ ვარჯიშს, ოლიმპიურ თამაშებს ჰქონდა ღვთაებრივი მნიშვნელობა. ისინი ტარდებოდა ღვთაებრივი მფარველობით. თამაშები იმართებოდა ღმერთებისადმი მსხვერპლშეწირვით. ადამიანი, რომელიც ჩაიდენდა მკვლელობას, ამით შეურაცხჰყოფდა ტაძრებს. მას, ვინც ამგვარ დანაშაულს ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე, მისი მსვლელობის ან მის მერე ჩაიდენდა სამშვიდობო თვეს, უკრძალავდნენ არათუ ასპარეზობას, არამედ საერთოდ ოლიმპიიდან აძევებდნენ.

ოლიმპიური თამაშების მსაჯები ანუ ჰელანოდიკები მონაწილეობდნენ განმწმენდ რიტუალებში, რათა მოვალეობანი აბსოლუტურად სრულყოფილად და სამართლიანად შეესრულებინათ. განწმენდის შემდეგ ჰელანოდიკები ბერძენთა წარმოსახვაში იყვნენ მიუკერძოებელნი, სამართლიანი მსაჯები.

ძალზე დიდმნიშვნელოვანია ისიც, რომ ოლიმპიური თამაშები იყო და ახლაც უნდა იყოს სულგრძელი, კეთილშობილური ადამიანების ასპარეზობა, სადაც იწრთობა მათი სხეული და სული.

მართლმადიდებლური ეკლესიის თეოლოგიური ტრადიციის მიხედვით ჩვენ გვაინტერესებს ღვთაებრივი, ჩაუქრობელი ცეცხლიც, რომელიც ადამიანთა შორის მეგობრობის განმტკიცებისა და მათი სიკეთისკენ გარდაქმნის სტიმულატორად გვესახება. ეს არის ოლიმპიური ცეცხლი, რომელიც სამყაროს ცეცხლად აღიქმება".



რობერტო ბაჯო
იოანე პავლე II-ს ხელზე ემთხვია



რომის ოლიმპიურ სტადიონზე იოანე პავლე II მიესალმება იტალიელ და უცხოელ ფეხბურთელებს

* * *

**როცა** სპორტისა და რელიგიის ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, უნდა გავიხსენოთ კათოლიკური თამაშებიც, რომელიც 50-60-იან წლებში ტარდებოდა. მანამდე დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიებმა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული ავტორიტეტის წყალობით კვლავ მოიკრიბეს ძალა. პოლიტიკური გარდაქმნის ფონზე 1948 წელს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო კათოლიკურმა კავშირმა თავისი მოღვაწეობა ლათინურ ამერიკაშიც განავრცო.

კათოლიკური თამაშების სერიას, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიურ დემონსტრაციებთან, საფუძველი დაედო 1956 წელს გრაცში. მის კვალდაკვალ კათოლიკური თამაშები ჩატარდა კიოლნში (1957), პარიზში (1958), მადრიდში (1960), ანტვერპენში (1961).

მომდევნო პერიოდში სპორტში რამდენადმე მნიშვნელოვანი შეჯიბრებები ძირითადად სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში ტარდებოდა. სიმძიმის ცენტრის ასეთი გადანაცვლება განაპირობა იმან, რომ დასავლეთ ევროპის ქრისტიან დემოკრატთა პოზიციები შეირყა, ხოლო რელიგიისადმი სპორტსმენთა ინტერესი შესუსტდა.

* * *

**და** მაინც, იყო დრო, როცა ქრისტიანობა ცეცხლითა და მახვილით იბრძოდა სპორტის წინააღმდეგ. ათლეტებს სდევნიდნენ სახელმწიფოთა მმართველებიც და ნებისმიერი სპორტული პაექრობა საზოგადოებაშიც ცუდ ტონად ითვლებოდა. დროის ცვალებადობასთან ერთად ათლეტებს ხან განადიდებდნენ, ძეგლებს უდგამდნენ და სტადიონებს უშენებდნენ, ხან მკაცრად სდევნიდნენ და სარბიელს უნგრევდნენ. ამ მხრივ თავი ყველაზე მეტად გამოიჩინა იმპერატორმა თეოდოს I, რომელიც ძალდატანებით ნერგავდა და ავრცელებდა ქრისტიანობას. მან ღვთისმსახურ ამბრუაზის რჩევით 393 წელს სპეციალური დეკრეტით აკრძალა მრავალსაუკუნოვანი ზეიმები და ანტიკური ოლიმპიური თამაშები, რომლებიც წარმართობის გადმონაშთად მიიჩნია. ერთ „მშვენიერ" დღეს სალონიკის ცირკში 6 ათასი გაურჩეველი მოქალაქე ცემით დასაჯა. მან, როგორც გამონაკლისი, დატოვა მხოლოდ ის ზეიმები, რომლებიც იმპერატორის დაბადების დღეს ტარდებოდა და მის ტახტზე აღზევებას ეძღვნებოდა. მერე გამოჩნდა თეოდოს II, რომლის ბრძანებითაც 426 წელს მიწასთან გაასწორეს დიდებული ოლიმპა, მისი ტაძრები და სპორტული სარბიელები.

ანტიკურ ხანაში თუ იდეალურ ადამიანად მრავალმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება მიაჩნდათ, შუასაუკუნეებში ამგვარი შეხედულება სრულიად საპირისპირო აღმოჩნდა.

„თუ ვისაუბრებთ ფიზიკური თვალსაზრისით საერთოდ იდეალურ ადამიანზე, რომელიც ქრისტიანობის შუასაუკუნეების პერიოდს განეკუთვნება, მაშინ ამოსავალი წერტილი უნდა იყოს კაცობრიობის მოდგმის გადასარჩენად გაწამებული ჯვარცმული ქრისტეს სხეულის იდეალი — წერს უნგრელი ლასლო კუნი თავის „საყოველთაო ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორიაში" — ეს იყო არა ფიზიკური სიძლიერის, არა ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის ძალის სიმბოლო, რომლის წინაშეც ქედს იხრიდნენ, არამედ იმქვეყნიური არსების გროტესკული სიძლიერე. ამგვარად, შუასაუკუნეების სამყაროს ადამიანის იდეალი გახდა ასკეტი მონაზვნის წმინდა სახე, რომელიც სულის გადასარჩენად ტანჯვას ირეკლავდა".

უცნაურია, დრო-ჟამმა არა მხოლოდ ადამიანის იდეალზე შეცვალა შეხედულება, არამედ, ასკეტიზმის გაგებაზეც. ეს ბერძნული სიტყვა თავდაპირველად ფიზიკურ ვარჯიშს ნიშნავდა, ხოლო „ასკეტი" — შეჯიბრებაში გამარჯვებულს. ქრისტიანობის შუასაუკუნეებში „ასკეტი" უკვე ნიშნავდა ადამიანს, რომელმაც სხეული თვითგვემას მისცა და მხოლოდ სულს აწრთობდა. წმინდა ასკეტის ფიგურა, რომელმაც უარყო ფიზიკური კულტურა, ყველა სოციალური ფენის საერთო იდეალი გახდა.

თუმცა, იმხანად იყო სხვა იდეალიც, რომელიც რაინდობას უკავშირდებოდა. რაინდში აფასებდნენ საბრძოლო სულისკვეთებასაც, ფიზიკურ ძალასაც და იმასაც, რომ იგი ამ თვისებებს ახმარდა ეკლესიასა და ღვთისმსახურებას.

ამასთან, შუასაუკუნეების ეკლესია ცდილობდა თავის მეთვალყურეობასა და გავლენაში მოექცია რაინდები, რისთვისაც იძულებული იყო სპორტისადმი სიმკაცრე შეერბილებინა და ტურნირებსაც შეგუებოდა. მერე, როცა ეკლესია და რაინდობა ერთმანეთს დაშორდნენ, ღვთისმსახურებმა კვლავ ალმაცერად დაუწყეს ცქერა ფიზიკურ კულტურას, რაშიც ისინი თავისუფალი აზრის განვითარების საშიშროებას ხედავდნენ.

ასე იყო თუ ისე, შუასაუკუნეებში ქრისტიანული ეკლესია ზურგს აქცევდა ფიზიკურ კულტურას და იმქვეყნიურ ბედნიერებას ქადაგებდა. თუმცა, ფიზიკური კულტურისადმი დამოკიდებულება განსხვავებული ჰქონდათ კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს. ეს უკანასკნელი ნაკლებად თანაუგრძნობდა ასკეტიზმს, თუმცა, კათოლიკური ეკლესიაც, რომელმაც თავის სამწყსოში მოიქცია ან ცდილობდა გაექრისტიანებინა ესა თუ ის ხალხი, იძულებული იყო ანგარიში გაეწია მათი ტრადიციებისთვის, რაც ტურნირებსაც გულისხმობდა. ასეთები იყო, მაგალითად, გერმანელთა ტურნირები, ნორმანთა ორთაბრძოლები, ირლანდიური თამაშები, რომლებიც 632-დან 1169 წლამდე იმართებოდა და არცერთი მათგანი ანათემისთვის არ გადაუციათ.

ქრისტიანობა სპორტულ პაექრობებს და ფიზიკურ ვარჯიშს არც საქართველოში სდევნიდა, დასავლეთში კი კათოლიკურმა ეკლესიამ სპორტთან შემრიგებლური პირველი სერიოზული ნაბიჯი აწ უკვე გასული საუკუნის 20-იან წლების დასაწყისში გადადგა. მაშინ ვატიკანში თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღმორძინებელ ბარონ პიერ დე კუბერტენთან კარდინალი გაგზავნა. თურმე ვატიკანი ფრიად უკმაყოფილო დარჩენილა იმით, რომ ფრანგი ბარონი ოლიმპიურ მოძრაობაზე წაკითხულ თავის ლექციებში ხშირად საუბრობდა იმაზეც, რომ ეკლესიამ ფიზიკური კულტურა და სპორტი დაასამარაო. მაშინ კარდინალმა კუბერტენს სთხოვა, რომ მსგავსი ლექციებისგან თავი შეეკავებინა და ისიც უთხრა, კათოლიკური ეკლესია თვალს ადევნებს თქვენს წამოწყებას, მიესალმება მას და მზადაა ხელი გაუწოდოსო. კარდინალმა გაიხსენა და დაიმოწმა პარიზში პასტორ ვილფრიდ მონოს ქადაგებაც სპორტის თაობაზე. კარდინალის სიტყვების გულწრფელობა, როგორც უკვე ვნახეთ, დრომ დაადასტურა.

**ავთანდილ ბურასაშვილი**



ეს უკვე ტრადიციაა — ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებს ოლიმპიური თამაშებისკენ გზას ულოცავს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II



ახალციხელი ეპისკოპოსი მეუფე ნიკოლოზი მთამსვლელებთან ერთად არაერთხელ ასულა გერგეტის ყინვარის თავზე, 4000 მეტრის სიმაღლეზე

# ევროპა გვიყურებს

**დღეს** დაიწყება საერთაშორისო შეჯიბრი საავტომობილო რალიში — „შევრონ-რალი საქართველო 2001“. ღონისძიება ოფიციალურად შესულია საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) კალენდარში. ამავდროულად, გაიმართება „ჯეოსელი-კავკასიის თასი“. რალი სამ დღეს გასტანს და მასში ცხრამეტი ეკიპაჟი მიიღებს მონაწილეობას. ქართველთა გარდა ტურნირში უცხოელებიც იასპარეზებენ. ოთხი ეკიპაჟით რუსეთი არის წარმოდგენლი, ერთით ბულგარეთი.

გუშინ ღონისძიების უშუალო ორგანიზატორმა, საქართველოს საავტომობილო ფედერაციამ თბილისის მერიაში პრესკონფერენცია გამართა. ფედერაციას გენერალური მდივანი შალვა ობგაიძე და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თემურ ბაკურაძე წარმოადგენდნენ. მედიის ცნობისმოყვარეობა შალვა ობგაიძემ დააკმაყოფილა.

— მოგეხსენებათ, ჩვენ ვართ არასამთავრობო ორგანიზაცია და ჩვენი ბიუჯეტი ძალიან მწირია. ამიტომ ესოდენ დიდი ღონისძიების ჩატარება და ორგანიზება ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ჩვენი არასამთავროობისა, მხარში დაგვიდგნენ სამთავრობო უწყებანი და პრობლემებიც გადავჭერით. შინაგან საქმეთა, უშიშროების, თავდაცვის, ტრანსპორტის, საავტომობილო გზების, კავშირგაბმულობის სამინისტროებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს. ქალაქის მერიამაც ყველა ღონე იხმარა. ასე რომ, ორგანიზაციული საკითხები მაღალ დონეზე მოვაგვარეთ.

— საპრიზო ფონდი საკმაოდ სოლიდურია. რა თქმა უნდა, ეს სავალდებულო არ არის, მაგრამ როდესაც პირველად ტარდება ასეთი დონის შეჯიბრი, ესეც ერთ-ერთი სტიმულია პილოტებისათვის.




ბადრი კეთილაძის ფოტო

შალვა ობგაიძე და თემურ ბაკურაძე

— შეჯიბრს დაესწრება FIA-ს ოფიციალური წარმომადგენელი. ყველა ნორმის დაცვის შემთხვევაში ღონისძიება მომავალი წლიდან FIA-ს ევროპის ჩემპიონატის ეტაპების ოფიციალურ კალენდარში შევა. ჩვენი მიზანიც ეს არის. ჯერ მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის ეტაპის მასპინძლობის კანდიდატად ვითვლებით.

— 19 აგვისტოს გამოქვეყნდება წინასწარი შედეგები. წინასწარი იმიტომ, რომ თუ ვინმეს პრეტენზია ექნება, შეიძლება მსაჯთა კოლეგიაში გაასაჩივროს. ამის შემდეგ უკვე საბოლოო შედეგები გამოცხადდება. მთავარი კომისარი თვითონ FIA-მ დაგვინიშნა. ეს იქნება ჩვენი მეზობელი, სომხეთის საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი.

— პილოტი ინდივიდუალურად არის დაზღვეული. ხოლო ორგანიზატორი დაზღვეულია, როგორც მესამე პირი. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ თუ რაიმე უსიამოვნო შემთხვევა მოხდა, ჩვენი მსაჯები და მომსახურე პერსონალიც დაზღვეულნი არიან.

— წინასწარ ძნელია პროგნოზების გაკეთება. რა თქმა უნდა, რუს და ბულგარელ ეკიპაჟებს ძალიან ძლიერი მანქანები ჰყავთ. მაგრამ გარწმუნებთ, რომ ქართველებიც არანაკლებ არიან მომზადებულნი, ისევე, როგორც მათი მანქანები. ძალიან ძლიერი პილოტია რუსი სერგეი უსპენსკი, [illegible]ლიც რუსეთის ცხრაგზის ჩემპიო[illegible] რბოლაში მიიღებს მონაწილეობას ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი ვიქტორ თოდაძეც. იგი მოქმედი მრბოლია, მისი მანქანა ქართული ეკიპაჟების ფლაგმანია. ვიქტორ თოდაძე, „სუბარუ იმპრეზათი“ იასპარეზებს.

— იმედი გვაქვს, რომ სტარტზე ძმები იაშვილების ეკიპაჟიც დადგება. ბოლო რბოლის დროს მათი მანქანა „ოპელ კალიბრა-A“ ამოტრიალდა, თუმც სერიოზული არაფერია და დავით და ზაზა იაშვილები შეჯიბრში მონაწილეობას მიიღებენ.

— მაყურებლის ინტერესებიც გათვალისწინებულია. შერჩეულია ისეთი ადგილები, საიდანაც მათ შეეძლებათ დაინახონ რბოლის ყველაზე ეფექტური მომენტები და მანქანის შესაძლებლობები. წრიული რბოლისას მაყურებლებს ვურჩევთ, გადაადგილდნენ. ჩქაროსნული ეტაპისას კი მათთვის გამოყოფილი გზის იმ მონაკვეთზე მოთავსდნენ, სადაც, ჩვენი აზრით, ყველაზე საინტერესო მოვლენები განვითარდება.

— ჩვენს წამოწყებას თვით პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გამოეხმაურა, ტრადიციული ორშაბათის რადიოინტერვიუში. მან მუშაობა შეგვიქო და აღნიშნა, რომ მსგავსი ღონისძიებები აამაღლებს საქართველოს პრესტიჟს მთელ მსოფლიოში.

**ბაჩო სვანიძე**


# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**

**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74**

**მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით**

# სარბიელი

# სპორტული ლატარია კროკო

### გერმანია. ბუნდესლიგა. IV ტური

18 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ბაიერნი-ზტ.პაული | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 002 | ბაიერნი-ზტ.პაული 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 18.30 | 003 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.30 | 004 | ნიურბერგი-შტუტგარტი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 18.30 | 005 | ვერდერი-მიუნხენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.30 | 006 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.30 | 007 | შალკე-ლევერკუზენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.30 | 008 | ჰანზა-დორტმუნდი | 3,3 | 3,2 | 2,0 |

19 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 009 | ჰერტა-კოტბუსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.30 | 010 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. IV ტური

17 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 011 | შვაინფურტი-არმინია | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.00 | 012 | როიტლინგენი-ფიურტი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 22.00 | 013 | ობერჰაუზენი-უნტერჰახინგი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

18 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 014 | ბაბელსბერგი-უნიონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 015 | ზაარბრიუკენი-აინტრახტი | 2,6 | 3,1 | 2,4 |

19 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 016 | ალენი-ალემანია | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.00 | 017 | ჰანოვერი-ბოხუმი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 018 | მაინცი-კარლსრუე | 1,95 | 3,1 | 3,4 |

20 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 019 | ვალდჰოფი-დუისბურგი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). IV ტური

17 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 021 | ლიუბერკი-მიუნსტერი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

18 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 022 | ლევერკუზენი(მ.)-დიუსელდ. | 2.1 | 3,1 | 3,2 |
| 17.00 | 023 | დრეზდენი-ფორტუნა | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 17.00 | 024 | მაგდებურგი-ბრაუნშვაიგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.00 | 025 | ფერლი-აუე | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 17.00 | 026 | ესენი-ვატენშაიდი | 1,9 | 3,1 | 3,5 |
| 17.00 | 027 | ქემნიცი-პადერბორნი | 1,55 | 3,5 | 5,0 |
| 17.00 | 028 | ოსნაბრიუკი-კილი | 1,5 | 3,6 | 5,6 |

19 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 029 | ურდინგენი-ვერდერი(მ.) | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| | 030 | ურდინგენი-ვერდერი(მ.) 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### გერმანია. რეგიონალლიგა. (სამხრეთი). IV ტური

17 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 031 | ერფურტი-ანსბახი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.00 | 032 | ჰოფენჰაიმი-ბურგჰაუზენი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

18 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 033 | რეგენსბურგი-შტუტგარტი(მ.) | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 18.00 | 034 | ოფენბახი-ელვერსბერგი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 18.00 | 035 | კიკერსი-აალენი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 18.30 | 036 | კაიზერსლ(მ.)-დარმშტადი | 2,8 | 3,1 | 2,3 |

19 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 037 | ბაიერნი(მ.)-ვეჰენი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.00 | 038 | ზიგენი-მანჰაიმი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 21.00 | 039 | ფულდა-ტრირი | 2,7 | 3,2 | 2,3 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. I ტური

18 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 040 | ჩარლტონი-ევერტონი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 041 | დერბი-ბლექბერნი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 042 | ლიდსი-საუთჰემპტონი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 043 | ლიდსი-საუთჰემპტონი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 044 | ლესტერი-ბოლტონი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 045 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 046 | ლივერპული-ვესტ ჰემი 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,4 |
| 19.00 | 047 | მიდლსბრო-არსენალი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 19.00 | 048 | სანდერლენდი-იფსვიჩი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 19.00 | 049 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 2,1 | 3,1 | 3,2 |

19 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 050 | ჩელსი-ნიუკასლი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 051 | მანჩესტერი-ფულემი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 052 | მანჩესტერი-ფულემი 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,4 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. II ტური

20 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 053 | ევერტონი-ტოტენჰემი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

### ინგლისი I დივიზიონი. II ტური

18 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 054 | ბარნსლი-ნოტინგემი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 055 | ბარნლი-უიმბლდონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 056 | ქრიუ-უენსდი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 057 | კრ.პალასი-სტოკპორტი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 058 | ნორვიჩი-სიტი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 059 | პორტსმუთი-ბრედფორდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 060 | პრესტონი-უოლსოლი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 061 | შეფილდი-ჯილინგემი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 062 | უოტფორდი-როტერჰემი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 19.00 | 063 | ვესტ ბრომვიჩი-გრიმსბი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

19 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 064 | ბირმინგემი-მილუოლი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.15 | 065 | ქოვენთრი-ვულვერჰემპტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### ინგლისი. II დივიზიონი. II ტური

18 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 066 | ბორნმუთი-ბლეკპული | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 067 | ბრენტფორდი-პორტ ვეილი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 068 | ბრაიტონი-უიგანი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 069 | ბრისტოლი-სუინდონი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 070 | ბერი-ქუინზ პარკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 071 | კოლჩესტერი-ტრანმერი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 072 | ნოტსი-კემბრიჯი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 073 | ოლდემი-ჩესტერფილდი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 074 | პიტერბრო-კარდიფი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 075 | რედინგი-ჰადერსფილდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 076 | სტოკი-ნორთჰემპტონი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 077 | უიკომბი-რექსემი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

### ინგლისი. III დივიზიონი. II ტური

18 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 079 | დარლინგტონი-კიდერმინსტ. | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 080 | ჰალიფაქსი-ექსეტერი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 19.00 | 081 | ჰალი-პლიმუთი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 19.00 | 082 | ლეიტონი-კარლაილი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 19.00 | 083 | ლუტონი-ჩელტენემი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 084 | მენსფილდი-საუთენდი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 085 | როჩდეილი-მაკლსფილდი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 086 | სკანთორპი-როვერსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 087 | შრიუსბერი-ჰარტლპული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 088 | სუონსი-ოქსფორდი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 19.00 | 089 | ტორკი-იორკი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. IV ტური

18 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 090 | ლილი-მონპელიე | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.00 | 091 | სოშო-ლორიანი | 1.65 | 3,1 | 5,3 |
| 23.00 | 092 | რენი-ბორდო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 093 | ნანტი-ბასტია | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 23.00 | 094 | მეცი-ლანსი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 095 | მარსელი-ტრუა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 096 | ლიონი-გენგამი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 097 | ოსერი-სედანი | 1,75 | 2,9 | 4,7 |

19 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 098 | მონაკო-პსჟ | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. IV ტური

17 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 099 | გრენობლი-სტ. ეტიენი | 2,6 | 2,8 | 2,6 |

18 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 100 | სტრასბური-ლავალი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 23.00 | 101 | ნიორი-ისტრი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.00 | 102 | ნიმი-ლე ავრი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 103 | ნანსი-გენიონი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 104 | ლე მანი-ვასკეალი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 105 | კრეტეი-აიაჩო | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 106 | შატორუ-ამიენი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 107 | კაენი-მარტიგი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 23.00 | 108 | ბოვე-ნიცა | 2,0 | 2,9 | 3,6 |

### პორტუგალია. I ლიგა. II ტური

18 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.15 | 109 | ბელენენსეში-სპორტინგი | 3,5 | 3,1 | 1,95 |
| 01.00 | 110 | ჟილ ვისენტე-ბრაგა | 2,4 | 3,0 | 2,7 |

19 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 111 | ბეირა მარი-მარიტიმუ | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.00 | 112 | ლეირია-სანტა კლარა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 113 | სეტუბალი-ვარზიმი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.00 | 114 | ალვერკა-ფერეირა | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.00 | 115 | ბენფიკა-სალგეიროში | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 116 | ბენფიკა-სალგეიროში 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 01.00 | 117 | პორტუ-ბოავიშტა | 2,0 | 3,0 | 3,5 |

20 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 118 | ფარენსე-გიმარაეში | 1,85 | 3,1 | 3,8 |

### პორტუგალია. II ლიგა. II ტური

19 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 119 | მარკუ-ამადორა | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 20.00 | 120 | ნავალი-მორეირენსე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.00 | 121 | პენაფიელი-ნასიონალი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 20.00 | 122 | ოვარენსე-აკადემიკა | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.00 | 123 | ოლივეირენსე-ავეში | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 124 | პორტიმონენსე-შავეში | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.00 | 125 | ლეცა-რიუ ავე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 126 | კამპომაიორენსე-ესპინიუ | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 22.00 | 127 | მაია-ლამაში | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. I ტური

17 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 128 | ტვენტე-ვალვაიკი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

18 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 129 | გრონინგენი-პსვ | 5,0 | 3,6 | 1,55 |
| 22.00 | 130 | ბრედა-უტრეხტი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 22.30 | 131 | დენ ბოსხი-ჰერენვენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 132 | გრააფსხაპი-ალკმაარი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

19 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 133 | ტილბურგი-ნაიმეგენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 17.30 | 134 | აიაქსი-როდა | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 17.30 | 135 | ფეინოორდი-სპარტა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 136 | ფეინოორდი-სპარტა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 17.30 | 137 | სიტარდი-ვიტესი | 3,2 | 3,3 | 2,0 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. I ტური

17 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 138 | ეინდჰოვენი-ჰელმონდი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 22.30 | 139 | ვენლო-ვეენდამი | 2,2 | 3,3 | 2,8 |
| 22.30 | 140 | მაასტრიხტი-ზვოლე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 141 | კამბური-ჰაარლემი | 1,5 | 3,8 | 5,3 |

18 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 142 | ჰერაკლესი-ოსი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.30 | 143 | იგლსი-როზენდალი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.30 | 144 | ტელსტარი-ექსელსიორი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

19 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 145 | ვოლენდამი-ემენი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 17.30 | 146 | დორდრეხტი-დენ ჰააგი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

### ბელგია. I დივიზიონი. II ტური

17 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 147 | მუსკრონი-გენტი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

18 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 148 | ლუვიე-ანდერლეხტი | 6,0 | 3,8 | 1,45 |
| 23.00 | 149 | სტანდარდი-ბეერსხოტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 150 | მოლენბეკი-შარლერუა | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.00 | 151 | სტ. ტრუიდენი-ლომელი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.00 | 152 | ვესტერლო-აალსტი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 23.00 | 153 | ბევერენი-ლიერსი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.00 | 154 | ანტვერპენი-გენკი | 2,3 | 3,2 | 2,7 |

19 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 155 | ლოკერენი-ბრიუგე | 3,3 | 3,3 | 1,95 |

### ჩეხეთი. IV ტური

17 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 156 | სლავია-ბანიკი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

19 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.15 | 157 | ჟიჟკოვი-ბოჰემიანსი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.30 | 158 | ჰ.კრალოვე-ლიბერეცი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 19.30 | 159 | პრჟიბრამი-ბლშანი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.30 | 160 | სიგმა-სინოტი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 161 | სიგმა-სინოტი 0:1 | 2,0 | 3,3 | 2,2 |
| 19.30 | 162 | იაბლონეცი-ტეპლიცე | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.00 | 163 | დრნოვიცე-ბრნო | 1,9 | 3,0 | 3,8 |

**20 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 164 | ოპავა-სპარტა | 6,5 | 4,0 | 1,4 |

**პოლონეთი. A ჯგუფი. V ტური**

**17 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 165 | ვისლა-ოდრა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 166 | ვისლა-ოდრა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 167 | ზაგლებე-პოლონია | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.00 | 168 | კატოვიცე-ოსტროვეცი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 20.30 | 169 | ვიძევი-გურნიკი | 1,7 | 3,3 | 4,2 |

**პოლონეთი B ჯგუფი. V ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 170 | ამიცა-სტომილი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 171 | ამიცა-სტომილი 0:1 | 2,0 | 3,3 | 2,2 |
| 20.30 | 172 | ლეგია-რადომსკო | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 173 | ლეგია-რადომსკო 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 20.30 | 174 | გროცლინი-რუხი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.30 | 175 | პოგონი-შლიონსკი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**თურქეთი. II ტური**

**17 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 176 | ბურსა-ბეშიქთაში | 3,6 | 3,2 | 1,85 |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 177 | დიარბაქირი-გიოზთეფე | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 21.00 | 178 | ქოჯაელი-ანთალია | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 21.00 | 179 | სამსუნი-გენჩლერბირლიგი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 21.00 | 180 | გალათასარაი-დენიზლი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 181 | გალათასარაი-დენიზლი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 182 | ისთანბული-ფენერბაჰჩე | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 19.00 | 183 | იოზგათი-რიზე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 21.00 | 184 | ანკარაგიუჯიუ-მალათია | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 185 | ტრაბზონი-გაზიანთეფი | 1,95 | 3,1 | 3,5 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა. IV ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 186 | აბერდინი-მოზერუელი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 187 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 188 | ჰართსი-დანდი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 189 | კილმარნოკი-სტ. ჯონსტონი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 190 | ლივინგსტონი-სელტიკი | 6,0 | 3,8 | 1,45 |
| 21.35 | 191 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 192 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**შოტლანდია. I დივიზიონი. III ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 193 | ერდრი-ეარი | 2,8 | 3,3 | 2,2 |
| 19.00 | 194 | კლაიდი-არბროთი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 19.00 | 195 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 196 | პარტიკი-ინვერნესი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 19.00 | 197 | როსი-რეითი | 2,1 | 3,3 | 3,0 |

**შოტლანდია. II დივიზიონი. III ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 198 | ბერიკი-კლაიდბენკი | 2,5 | 3,4 | 2,3 |
| 19.00 | 199 | ფორფარი-სტენჰაუზმური | 1,75 | 3,4 | 3,6 |
| 19.00 | 200 | ჰამილტონი-კოუდენბითი | 1,85 | 3,3 | 3,5 |
| 19.00 | 201 | მორტონი-ქუინი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 19.00 | 202 | სტრანრარი-ალოა | 2,5 | 3,2 | 2,4 |

**შოტლანდია. III დივიზიონი. III ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 203 | დამბარტონი-ქუინზ პარკი | 1,7 | 3,5 | 3,8 |
| 19.00 | 204 | ისტ ფაიფი-ისტ სტირლინგი | 1,75 | 3,4 | 3,6 |
| 19.00 | 205 | ელგინი-ალბიონი | 2,4 | 3,4 | 2,4 |
| 19.00 | 206 | მონტროუზი-პიტერჰედი | 1,85 | 3,4 | 3,4 |
| 19.00 | 207 | სტირლინგი-ბრეჩინი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

**ავსტრია. VIII ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 208 | რაპიდი-ტიროლი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 21.30 | 209 | ბრეგენცი-ზალცბურგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 210 | კერნტენი-აუსტრია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 211 | რიდი-ადმირა | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 212 | რიდი-ადმირა 0:1 | 1,9 | 3,5 | 2,3 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 19.30 | 213 | შტურმი-გრაცერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. VIII ტური**

**17 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 214 | იანგ ბოისი-ქსამაქსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 20.15 | 215 | აარაუ-ბაზელი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.30 | 216 | გრასჰოპერი-ლოზანა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 217 | გრასჰოპერი-ლოზანა 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 22.30 | 218 | ლუგანო-ციურიხი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 22.30 | 219 | ლუცერნი-სტ. გალენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. IX ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 226 | ვილი-ბელინცონა | 1,8 | 3,2 | 3,5 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 19.15 | 227 | კონკორდია-ვინტერთური | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.15 | 228 | დელემონი-თუნი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.15 | 229 | კარუჟი-კრინსი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.15 | 230 | ლოკარნო-ბადენი | 2,6 | 3,2 | 2,3 |
| 19.15 | 231 | ივერდონი-ვადუცი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

**დანია. V ტური**

**17 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 232 | კოპენჰაგენი-აკადემისკი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 233 | მიდტიულანდი-ლიუნგბიუ | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 234 | ვიბორგი-ვაილე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.00 | 235 | ორჰუსი-ოდენსე | 2,3 | 3,3 | 2,6 |
| 20.05 | 236 | ბრიონდბიუ-სილკებორგი | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| | | **20 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 237 | ოლბორგი-ესბიერგი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**რუსეთი. XXII ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 238 | დინამო-ჩერნომორეცი | 1,45 | 3,4 | 5,6 |
| 16.00 | 239 | ფაკელი-სპარტაკი | 4,4 | 3,3 | 1,6 |
| 16.00 | 240 | სატურნი-როტორი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 16.00 | 241 | ალანია-ლოკომოტივი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 16.00 | 242 | ტორპედო-ზენიტი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 16.00 | 243 | კრილია-სოკოლი | 1,75 | 3,0 | 4,2 |
| 16.00 | 244 | ანჟი-ცსკა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 16.00 | 245 | ზილ-როსტელმაში | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**შვედეთი. XVIII ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 246 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 20.00 | 247 | ჰელსინგბორგი-ჰეკენი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.00 | 248 | ელფსბორგი-აიკ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **20 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 249 | იურგორდენი-ნორჩიოპინგი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 22.00 | 250 | სუნდსვალი-იორებრო | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 22.00 | 251 | გიოტებორგი-ტრელებორგი | 1,4 | 4,0 | 6,5 |

**ნორვეგია. XIX ტური**

**18 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 252 | რუსენბორგი-ბრინი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 253 | | რუსენბორგი-ბრინი 0:1 | 1,35 | 3,8 | 4,0 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 21.00 | 254 | ბოდიო გლ.-ლილესტრიომი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 21.00 | 255 | ბრანი-ოდ გრენლანდი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 21.00 | 256 | მოლდე-სტრიომსგოდსეტი | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 21.00 | 257 | მოსი-ტრომსიო | 2,0 | 2,9 | 3,2 |
| 21.00 | 258 | სტაბეკი-ლინი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| | 259 | სტაბეკი-ლინი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 21.00 | 260 | ვიკინგი-სოგნდალი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| | 261 | ვიკინგი-სოგნდალი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |

**ფინეთი**

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 263 | ჰიკ-ინტერი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 20.30 | 264 | ლაჰტი-ჯაზი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.30 | 265 | როვანიემი-კუოპიო | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.30 | 266 | ტამპერე-მიუპა | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **20 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 267 | ატლანტისი-ჰაკა | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**ინგლისი. ლიგის თასი. I ეტაპი**

**20 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 268 | დარლინგტონი-შეფილდი | | | |
| 23.45 | 269 | ჰარლტპული-ნოტინგემი | | | |

**იტალია. სუპერთასი**

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 270 | რომა-ფიორენტინა | 1,5 | 3,5 | 5,3 |

**იტალია. თასი. I ეტაპი**

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 271 | ჯენოა-ტრევიზო | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.30 | 272 | არეცო-ბარი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.30 | 273 | კომო-კოზენცა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.30 | 274 | ვენეცია-ასკოლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.30 | 275 | სიენა-პალერმო | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 23.30 | 276 | ლივორნო-ნაპოლი | 3,2 | 2,9 | 2,0 |
| 23.30 | 277 | კალიარი-მოდენა | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.30 | 278 | ლუმეცანე-რეჯინა | 3,2 | 2,9 | 2,0 |
| 23.30 | 279 | ჩიტადელა-მონცა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 23.30 | 280 | აველინო-სამპდორია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 23.30 | 281 | მესინა-კროტონე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 23.30 | 282 | ვიჩენცა-პესკარა | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| 23.30 | 283 | ტერნანა-პისტოეზე | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.30 | 284 | კიევო-პრატო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.30 | 285 | კატანია-ემპოლი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 23.30 | 286 | ანკონა-სალერნიტანა | 1,3 | 2,9 | 4,2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ესპანეთი. სუპერთასი. I მატჩი**

**19 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 287 | სარაგოსა-რეალი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

**ტურში გატანილი გოლები**

**18 აგვისტო**

18.30 701 გერმანია (მე-4)
24 და ნაკლები – 1,9; 26 და მეტი – 1,9

**18 აგვისტო**

19.00 702 ინგლისი (1-ლი)
25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

**18 აგვისტო**

20.15 703 საფრანგეთი (მე-4)
22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9

**18 აგვისტო**

22.15 704 პორტუგალია (მე-2)
22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9

**17 აგვისტო**

23.00 705 ჰოლანდია (1-ლი)
25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

**17 აგვისტო**

23.00 706 ბელგია (მე-2)
26 და ნაკლები – 1,9; 28 და მეტი – 1,9

**17 აგვისტო**

19.30 707 ჩეხეთი (მე-4)
19 და ნაკლები – 1,9; 21 და მეტი – 1,9

**17 აგვისტო**

19.00 708 პოლონეთი (მე-5)
19 და ნაკლები – 1,9; 21 და მეტი – 1,9

**17 აგვისტო**

22.00 709 თურქეთი (მე-2)
23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9

**18 აგვისტო**

16.00 710 რუსეთი (22-ე)
18 და ნაკლები – 1,9; 20 და მეტი – 1,9

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი;
სტალინის ქუჩა№30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113,
ფიროსმანის ქუჩა №7ა
ძოწულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106
მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39
გურჯაანში — დავით გურამიშვილის ქუჩა №28

1 აგვისტოდან კროკო ხუთშაბათობითაც მუშაობს. დასვენების დღე მხოლოდ ორშაბათი იქნება. სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ტორონტოდან



არანტა სანჩეს-ვიკარიო და მარტინა ნავრატილოვა ტორონტოში წყვილად იგებენ

# რიოსი დაწყნარებულა

**ვაშინგტონი. „ოქროს სერია“ ჰარდი. საპრიზო 800 ათასი $**

ვაშინგტონში წარმატებით გამოჩნდა ტრავმების კოლექციონერი მარსელო რიოსი. მეორე წრეში რიოსმა ამერიკელ მაიკლ ჯოისს 6:2, 6:2 მოუგო და წლეულს, ფაქტობრივად, პირველად გაიხსენა, რომ ტურნირებზე პირველის გარდა სხვა ეტაპებიც არსებობს.

1998 წლის მარტში რიოსი პლანეტის პირველ ჩოგბურთელად ირიცხებოდა, თამაშობდა დიდებულად, ულრენდა ჟურნალისტებს, მოკლედ, თავის ქეიფზე იყო, მაგრამ ნელ-ნელა კრიზისის ზარმა ჩამოჰკრა და მას ტრავმები ესტუმრა. რომელი ორგანო გინდათ, რიოსი არ შეეწუხებინა — ბარძაყი, ზურგი, თეძო თუ საზარდული. მხოლოდ ახალ საუკუნეში მოირჩინა ჩილელმა ეს ყველაფერი და წლის დასაწყისში დოჰას ტურნირი მოიგო ყატარში, მაგრამ მერე პირველივე წრიდან გავარდნათა სერია დაიწყო და კარგა ხანს არ დაამთავრა.

შარშან რიოსი დაქორწინდა, 26 ივნისს ბავშვი შეეძინა. იტყობინებიან, რომ ამ ორ ურთიერთდაკავშირებულ მოვლენას უჟმური ჩოგბურთელის ხასიათი შესამჩნევად გამოუკეთებია და ამას თავადაც არ უარყოფს.

„ახლა უფრო დავმშვიდდი — აღნიშნავს რიოსი — ცხოვრებამ ბედნიერება მომიტანა და იმიტომ“.

რიოსის ოჯახი ტურნირზე კი იყო, მაგრამ, საერთოდ, ჩილელი არ აპირებს, მომავალში თავისი გოგო ჩოგბურთზე ატაროს, რადგან მისი ჩოგბურთელობის გაგონებაც არ სურს.

ეს თემა ამოვწურეთ, ხოლო საინტერესო ვაშინგტონში კიდევ ის იყო, რომ ანდრე აგასიმ უეინ ბლექს 6:3, 6:4 მოუგო. გარეგნულად ყოვლად ბანალური ამ ამბის სარჩული ის გახლავთ, რომ ბოლო ორ ტურნირზე, მონრეალის და ცინცინატის „მასტერსებზე“, აგასი თავს არ ჰგავდა და ორივეგან პირველივე შეხვედრები წააგო ივან ლუბიჩიჩთან და გასტონ გაუდიოსთან.

აგასი კმაყოფილი იყო, რომ ცუდი ტრადიცია დაარღვია. „აქაური კორტები ერთობ მომეწონა“ — შენიშნა მან და უნდა აღვნიშნოთ, რომ ვაშინგტონში იგი პირველ პრიზს ხუთჯერ დაეპატრონა.

**მეორე წრე:** **ტომი ჰაასი** (გერმანია, 3) — ტომას ზიბი (ჩეხეთი) 6:3, 6:2; **გილერმო კანასი** (არგენტინა, 11) — სესილ მემითი (აშშ) 3:6, 6:1, 6:1; **ჟერომ გოლმარი** (საფრანგეთი) — მაილ ბრაიანი (აშშ) 7:5, 6:2; **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — ნიკოლას კიფერი (გერმანია, 8) 3:6, 6:3, 6:2; **ფერნანდო ვისენტე** (ესპანეთი, 15) — პეტერ ვესელსი (გერმანია) 4:6, 6:4, 7:6 (7:4); **ანდრე აგასი** (აშშ, 1) — უეინ ბლექი (ზიმბაბვე) 6:3, 6:4; **გრეგ რუზედსკი** (დიდი ბრიტანეთი, 12) — ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:2); **სხენგ შალკენი** (ჰოლანდია, 10) — ნიკოლაი დავიდენკო 6:3, 6:4; **რამონ დელგადო** (პარაგვაი) — ჯაკობო დიასი (ესპანეთი) 7:5, 4:6, 6:3; **ენდი როდიკი** (აშშ, 9) — პარადორნ შრიჩაპანი (ტაილანდი) 7:6 (7:2), 6:3; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — ალექს კიმი (აშშ) 6:0, 6:1; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — ანტონი დიუპუა (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 5:7, 6:2; **ჟან მაიკლ გემბილი** (აშშ) — ფელიქს მანტილია (ესპანეთი) 6:3, 6:1; **მარსელო რიოსი** (ჩილე) — მაიკლ ჯოისი (აშშ) 6:2, 6:2

**ინდიანაპოლისი. „ოქროს სერია“ ჰარდი. საპრიზო 800 ათასი $**

ვლადიმირ ვოლჩკოვი შარშანდელი უიმბლდონიდან გვახსოვს, წესიერი ჩოგანი და ფეხსაცმელი რომ არ ჰქონდა და ტიტულიან ბიჭებს კი მოუგო. ამჯერადაც ბელარუსს ბევრი არ უკლდა მორიგ სენსაციამდე, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა.

ვოლჩკოვი ეთამაშებოდა წლის გმირ გორან ივანიშევიჩს და პირველი სეტი 6:4 მოუგო. მეორე და მესამე სეტებმა ტაი-ბრეიკები მოითხოვა. ორივეგან ხორვატმა იმარჯვა და ვოლჩკოვი ღირსეულად დაემშვიდობა ტურნირს, სადაც აგრეთვე არაფერი ესაქმება მონრეალის „მასტერსის“ მომგებ ანდრეი პაველს. იმ ერთმა გამარჯვებამ რუმინელი, ეტყობა, მეცხრე ცაზეააფრინა, საიდანაც ახლა ძირს ენარცხება. მონრეალის შემდეგ ეს უკვე მესამედ ვერ გადის პაველი მერვედფინალში.

უფრო ნაყოფიერად ირჯება ლეიტონ ჰიუტი. მიჯნური კიმ კლაისტერსი მას ტრიბუნიდან უჭვრეტს, ამიტომ ჰიუტი ვეფხვივით იბრძოდა და მეორე წრეში ამერიკელი ტეილორ დენტი შეჭამა. მხოლოდ მეორე სეტის მიწურულს გაეჩხირა მას ყელში მეტოქე, როცა მხოლოდ ტაი-ბრეიკზე იმარჯვა.

**მეორე წრე:** **გუსტავო კუერტენი** (ბრაზილია, 1) — ნოამ ოკუნი (ისრაელი) 6:4, 6:3; **ტიმ ჰენმანი** (დიდი ბრიტანეთი, 6) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:2, 6:3; **გორან ივანიშევიჩი** (ხორვატია, 10) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 4:6, 7:6(7:4), 7:6 (7:1); **ტომი რობრედო** (ესპანეთი, 16) — მაიკლ რასელი (აშშ) 6:3, 7:5; **პატრიკ რაფტერი** (ავსტრალია, 5) — მიხალ ტაბარა (ჩეხეთი) 6:2, 6:0; **ივან ლუბიჩიჩი** (ხორვატია) — კრის ვუდრაფი (აშშ) 6:3, 7:6 (17:15); **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია, 3) — ტეილორ დენტი (აშშ) 6:2, 7:6 (7:3); **არნო კლემანი** (საფრანგეთი, 7) — რობი ჯინეფრი (აშშ) 6:3, 6:4; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი, 9) — ქსავიე მალისე (ბელგია) 3:6, 6:1, 6:4; **კრისტიან პლესი** (დანია) — ანდრეი პაველი (რუმინეთი, 11) 7:6 (8:6), 3:6, 6:3; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო, 13) 6:1, 6:4; **იუნეს ელ აინაუი** (მაროკო) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი, 14) 3:6, 7:6 (7:3), 6:3; **მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) — კევინ კიმი (აშშ) 4:6, 6:2, 7:5

**ტორონტო „კანადის ღია პირველობა“ ჰარდი. საპრიზო 1,2 მილიონი $**

ქალთა ფრონტიდან ამაღელვებელი არაფერი ისმის: ფავორიტები დაუბრკოლებლად მოძრაობენ და მათგან სერენა უილიამსს მეორე წრეში აღსანიშნავი მეტოქე ჰყავდა — ხორვატი ივა მაიოლი, რომელმაც 4 წლის წინ „როლან გაროსი“ მოიგო და მერე კი ჩოგბურთს ტიტულებზე მეტად თითქოს სიამოვნებისთვის თამაშობს. უმცროს უილიამსს პირველ სეტში გაუჭირდა, მეორე კი აშკარა უპირატესობით მოიგო. გაიმარჯვა ლესბოსელმა ამელი მორესმომაც, რომელმაც ელენა ლიხოვცევას პირველ სეტში არც ერთი და მეორეშიც სულ 3 გეიმი დაანება.

ტორონტოს ტურნირი ხუთგზის მოიგო მონიკა სელეშმა. ამჯერად მისი პირველი მეტოქე ამერიკელი მარისა ირვინი იყო და ადვილად მოერია.

**მეორე წრე:** **დაჯა ბედანოვა** (ჩეხეთი) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 8) 6:4, 7:6 (7:4); **ამელი მორესმო** (საფრანგეთი, 3) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:0, 6:3; **სერენა უილიამსი** (აშშ, 4) — ივა მაიოლი (ხორვატია) 7:6 (7:2), 6:1; **მონიკა სელეში** (აშშ) — მარისა ირვინი (აშშ) 6:3, 6:2; **ამანდა კუტცერი** (სამხრეთ აფრიკა) — რიტა გრანდე (იტალია) 6:2, 6:3; **მეგან შონესი** (აშშ) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:0, 6:4; **ელენა დოკიჩი** (იუგოსლავია, 10) — მაგუი სერნა (ესპანეთი) 6:1, 6:4; **სანდრინ ტესტიუ** (საფრანგეთი, 11) — მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 6:4, 6:1; **ანკე ჰუბერი** (გერმანია, 14) — ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია) 7:6 (7:3), 6:1; **ბარბარა შეტი** (ავსტრია, 15) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:3, 6:2; **ემი ფრეზერი** (აშშ) — ჩანდა რუბინი (აშშ, 16) 6:4, 3:6, 1:0 (ტრავმა); **ვინე პრაკუსია** (ინდონეზია) — მეილენ ტიუ (აშშ) 7:6 (7:2), 4:6, 6:3; **ჯენიფერ ჰოპკინსი** (აშშ) — მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) 4:6, 6:3, 7:5

**დავით გულუა**

REUTERS ვაშინგტონიდან



ანდრე აგასის შტეფი გრაფი მუდამ ქომაგობს



ერიკ ლინდროსი

# ექვსჯერ ტვინშერყეულ ლინდროსზე მაინც დიდი რიგია

**ძნელი** დასაჯერებელია, მაგრამ, როგორც ჩანს, ერიკ ლინდროსის გაუთავებელი საკონტრაქტო დავა მალე დასრულდება. როგორც „THE NEW YORK DAILY NEWS“ იუწყება, თითქმის მზადაა შეთანხმება „ნიუ იორკ რეინჯერსთან“, რომლის თანახმადაც ფილადელფია ვარსკვლავის ნაცვლად სოლიდურ კომპენსაციას მიიღებს. ნიუიორკელები სამ საიმედო ჰოკეისტს — ფორვარდებს, იან ჰლავაჩს და პაველ ბრენდლს და მცველ კიმ იონსონს იძლევიან. ის, რომ ფილადელფიელთა გენერალურმა მენეჯერმა ბობი კლარკმა მუქარა არ აასრულა და ლინდროსი ახალგაზრდა მოთამაშეებში არ გაცვალა, კარგის ნიშანია — ეტყობა, მხარეები შერიგდნენ. მათ თურმე კონტრაქტთან დაკავშირებული ყველა საკითხი მოაგვარეს და ლინდროსის მამის და აგენტის, კარლის თანხმობასღა ელიან.

შეგახსენებთ, რომ 2000 წლის 30 მაისს ლინდროსმა ნიუჯერსელ სკოტ სტივენსთან შეჯახების შედეგად მძიმე ტვინის შერყევა მიიღო და მას შემდეგ არც ერთი მატჩი არ გაუმართავს. ამ ხნის განმავლობაში მისი შეძენა რამდენიმე გუნდმა მოიწადინა, ყველაზე მეტად — ტორონტომ, მაგრამ ყველა გარიგება ჩაიშალა.

თუ ამჯერად ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდება, ფილადელფია, ცხადია, უფრო იხეირებს. ჰლავაჩი და იონსონი რეინჯერსში თანდათან წამყვან პოზიციებს იკავებდნენ, ხოლო 1999 წლის დრაფტის მეოთხე ნომერს, პაველ ბრენდლს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ლინდროსი კი, საკითხავია, მეექვსე ტვინის შერყევის შემდეგ შეძლებს ძველებურად თამაშს? თუმცა ამ ბოლო ხანს რეინჯერსი ისე შეეჩვია ფულის უყაირათოდ ფლანგვას, ამ შეცდომასაც იოლად შეეგუება.

# პინგვინებმა ჯიბე გაისქელეს
## ბატონ მოსამართლეს ბატონი ფულიანები, ბოდიში და, ფეხებზე ჰკიდია

**ყოველწლიურად**, აგვისტოს პირველ ნახევარში ნჰლ-ის მთავარ მოვლენად ჰოკეისტებსა და კლუბებს შორის გამართული სასამართლო გარჩევები იქცევა-ხოლმე. ჩვენს ქვეყანაში სიტყვები „სასამართლო“ და „გარჩევა“ ყოველთვის რაღაც სკანდალურს და ძალზე უსიამოვნოს უკავშირდება, მაგრამ ცივილიზებულ ქვეყნებში ეს სადავო საკითხების მოგვარების ჩვეულებრივი ფორმაა. ამიტომ ამ ამბებზე იქნებ არც გაგვემახვილებინა ყურადღება, წლეულს სასამართლოსთვის საკმაოდ ბევრ ცნობილ ჰოკეისტს რომ არ მიემართა.

არბიტრაჟის გადაწყვეტილებამ ყველაზე მეტად ბოსტონის ერთ-ერთი ლიდერი ბილ გერინი გაახარა. 2001 წლის „ოლ სტარის“ საუკეთესო მოთამაშე შარშანდელი 3,5 მილიონი დოლარის ნაცვლად 6 მილიონს ითხოვდა, მაშინ, როდესაც კლუბი მხოლოდ 4,5 მილიონზე იყო ყაბულს. საბოლოო განაჩენი ასეთია — გერინს მიეცეს 5,1 მილიონი დოლარი. ეს თანხა მეორეა ნჰლ-ის ისტორიაში, შარშან ფილადელფიელმა ჯონ ლეკლერმა არბიტრაჟის დახმარებით 7 მილიონი მოიხვეჭა.

ბოსტონზე გაცილებით მძიმე მდგომარეობაში იყო პიტსბურგი. ლამის ყველა წამყვან მოთამაშეს გუნდთან კონტრაქტი დამთავრებული ჰქონდა და ხელფასის საგრძნობლად გაზრდას მოითხოვდა. საქმე სასამართლომდე მივიდა და ბოლო ორ დღეში ერთბაშად სამმა „პინგვინმა“ მოისმინა არბიტრაჟის საბოლოო ვერდიქტი. ყველაზე მეტად ალექსეი კოვალიოვი გამდიდრდა, რომელიც ბოლო სეზონის 2,3 მილიონის მაგივრად ორწლიანი და 8,9-მილიონიანი კონტრაქტით დასაჩუქრდა.

ლამის ორჯერ გაიზარდა მარტინ სტრაკას ჯამაგირი (2 მილიონიდან — 2 წელიწადში 7,2 მილიონამდე), ხოლო რობერტ ლანგის გასამრჯელო თითქმის გასამმაგდა (1,025 მილიონის ნაცვლად 2,9). გასარჩევი პიტსბურგის მცველ დარიუს კასპარაიტისის საქმეღა დარჩა.

სასამართლომ დანარჩენ შემთხვევებშიც მოთამაშეთა მხარე დაიჭირა. გამოვყოფთ კიდევ ორს. ნიუჯერსელმა ბობი ჰოლიკმა ლამის ერთი მილიონი შეიმატა და გაისად 3,5 მილიონს მიიღებს, ბუფალოს ლიდერი მიროსლავ შატანი კი წინა სეზონის 2,5 მილიონის მაგივრად ორი წლის განმავლობაში 6,8 მილიონს ჩაიჯიბავს.

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბათუმელ დათვებს შინაური პანტა ეცოტავათ

## ისინი ჰაინეკენით პირის გასველებასაც აპირებენ

**ამბიციები** მოსძალებიათ ბათუმელ „დათვებს“. ის, რომ კლუბი აღმავლობის გზას ადგას და ბზის თასის უპირველესი ფავორიტია, ცხადია, ზღვისპირელთა უფროსობის დიდი დამსახურებაცაა. მაგრამ მარტო შინაურ ჩემპიონატში თამაში რას გვიქვიაო, უთქვამთ „დათვების“ შეფებს და თვალი ევროპისკენ გაჰქცევიათ.

ერთი სიტყვით, „დათვები“ ევროპის საკლუბო ჩემპიონატში ანუ „ჰაინეკენის თასზე“ აპირებენ ასპარეზობას. ეს თასი ამსტერდამის ტრადიციულ შვიდკაცა რაგბის ტურნირში არ აგერიოთ. ეს ის შეჯიბრია, რომელშიც ევროპული რაგბის საკლუბო გრანდები თამაშობენ და რაგბის ერთგვარი ჩემპიონთა ლიგაა. „ჰაინეკენის თასზე“ ექვს ერში შემავალი ქვეყნების ბობოლები ცდიან ძალას, შარშან კი ორი ჩვენებურის — ლევან ცაბაძის და პალიკო ჯიმშელაძის „კასტრმაც“ იასპარეზა. ასე რომ, ქართველებისთვის ეს ტურნირი მთლად უცხო არ არის, მაგრამ ამ დიდ ტურნირში ჩვენებური კლუბის გამოჩენას სულ სხვა ინტერესი ექნება.

„ჰაინეკენის თასზე“ „დათვების“ მონაწილეობა თითქმის გადაწყვეტილია. შეჯიბრისთვის ზღვისპირელებს დაახლოებით ორასი ათასი დოლარი სჭირდებათ, ეს თანხა კი, გუნდის უფროსობის თქმით, მათთვის ხელმისაწვდომია. მეორე საკითხიც მოგვარებულია. საქმე კეთილმოწყობილ სტადიონს ეხება. ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე რეკონსტრუქცია მიმდინარეობს და მალე იგი თავის სახეს დაიბრუნებს. ქობულეთის „შუქურას“ კოპწია სტადიონის კარსაც არავინ დაუკეტავს მორაგბეებს. ჯერი ახლა „ჰაინეკენის თასის“ ორგანიზატორებსა და საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ზაზა ქასაშვილზეა. იგი ტურნირის უფროსობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს „დათვების“ ამ შეჯიბრში დაშვების თაობაზე.

ახლა ბათუმურ კლუბში მიმდინარე ცვლილებებზეც ვთქვათ.

ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებისთანავე საფრანგეთში კარიერის გაგრძელება გადაწყვიტეს „დათვების“ ლიდერებმა — კახა მაჩიტიძემ, დავით აშვეთიამ, გოგა გურეშიძემ, გოგა ხელაძემ და ირაკლი სვანიძემ. ახლახან კი მათ მინდია ღლონტი და ირაკლი ნინიძეც შეუერთდნენ. ეს ორივე ამპლუით მორკინალია. „დათვები 2“-ის ნახევარმცველ სოსო ცუცქირიძესაც საფრანგეთში განუზრახავს წასვლა. ეს რაც შეეხება წამსვლელებს, შევსებას კი „დათვები“ თავიანთი ფარმკლუბიდან მიიღებენ. სამომავლოდ ბათუმელები სულაც ოთხი გუნდით აპირებენ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობას. ვერაფერს იტყვი, დიდი გეგმებია.

**ბაჩო სვანიძე**



დათვები ევროპელებთან დაჭიდებას აპირებენ

ბადრი ქობულაძის ფოტო



# ვლადიმირ კრამნიკი: თავს კაცობრიობის წარგზავნილად არ მივიჩნევ

**კომპანია** „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის“ ეგიდით ვლადიმირ კრამნიკმა შარშან გარი კასპაროვი დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. შემდეგ მისი სახელის ირგვლივ მრავალი ხმაურობდა, მათ შორის კასპაროვიც. ამბობდნენ, კრამნიკმა დროზე უნდა გამოძებნოს მომავალი მეტოქე, თორემ ნელ-ნელა მის ტიტულს ჩალის ფასი დაედებაო. ნახევარი წლის მანძილზე კრამნიკი ჩემპიონობით ტკბებოდა, დორტმუნდის სუპერტურნირის პარალელურად კი გაირკვა, რომ სწორედ ჩემპიონის ძალისხმევით ახალი შესარჩევი ციკლის პროექტი შემუშავდა, რაზეც ივლისში გაუწყეთ, ახლა კი მეორე ამბავიც: შემოდგომაზე ბაჰრეინში შედგება ეპიკური მატჩი უძლიერეს ჰომო საპიენსსა და საჭადრაკო კომპიუტერს შორის. იბრძოლებენ კრამნიკი და „დიპ ფრიცის“ 7.0 ვერსია, რომელიც გერმანელი პროგრამისტების პირმშოა და სახელოვანი „დიპ ბლუს“ მემკვიდრე. კასპაროვის კომპიუტერთან დამარცხებიდან 4 წელი გავიდა და თემა „ადამიანი კომპიუტერის წინააღმდეგ“ უფრო აქტუალური გახდა. მოკლედ, მთელ ამ ამბებზე კრამნიკის აზრები, ვგონებთ, საინტერესო უნდა იყოს. ინტერვიუს კრამნიკთან უძღვება ინტერნეტში „კასპაროვის კლუბის“ უფროსი დმიტრი ბილუნოვი.

**— დავიწყოთ განცხადებით „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის“ ახალი ციკლის შესახებ. თქვენ რა როლი შეასრულეთ ამ საქმეში?**

— ეს ასე მოხდა: დორტმუნდის ტურნირის ორგანიზატორები ერთხელ დამიკავშირდნენ და შესარჩევი ტურნირის ფინალური სტადიის გამართვა ისურვეს. მე ისინი „ბრაიანგეიმზზე“ გავიყვანე და მხარეებს საერთო ენა ვაპოვნინე. ახლა უკვე საქმის კურსში არა ვარ, ისინი თვითონ მუშაობენ.

**— ერთი შეხედვით, შემოთავაზებული სისტემა უნდობლობას იწვევს. ორგანიზატორებთან ამაზეც ისაუბრებდით.**

— ახლა სისტემას მართლაც მიზანმიმართულად აკრიტიკებენ და მას ფიდეს „ნოკაუტ-სისტემას“ ადარებენ, მაგრამ ამ ორ ფორმულას საერთო არაფერი აქვს და მათი შედარება უბრალოდ უაზრობაა. გასათვალისწინებელია სხვადასხვა გარემოებები. გარემოებები კი ის გახლავთ, რომ ძალიან მძლავრი სპონსორები დორტმუნდიდან მზად არიან ტურნირის ჩასატარებლად. ყველაფერი უნდა მოეწყოს არა უბრალოდ, არამედ ნამდვილად კარგად, კარგი ფინანსური პირობებით. იმ ხალხს მრავალი წელია, ვიცნობ და ვიცი, რომ საქმეს გააკეთებენ — სათამაშო პირობების, ატმოსფეროს, ბოლოს და ბოლოს, სასტუმროების თვალსაზრისით. ერთადერთი შეზღუდვა ვადებია. მათ არ შეუძლიათ ტურნირი 2 კვირაზე მეტხანს გაწელონ. ეს მაქსიმალური ზღვარია.



ვლადიმირ კრამნიკი კომპიუტერთან საბრძოლველად ემზადება

**— როგორ ფიქრობთ, შემოთავაზებული სისტემა ბოლომდე ობიექტურია?**

— სავსებით ნორმალური მაინც. საჭადრაკო სამყარო არ იმყოფება იმ სიტუაციაში, რომ თავისუფლად ვაკეთოთ რაღაც იდეალური სისტემები და წყნარად ჩავატაროთ ტურნირები. სისტემასთან დაკავშირებით ერთი შენიშვნა მაქვს — ნახევარფინალში ორი კი არა, 4 პარტია უნდა გათამაშდეს, მაგრამ მაშინ ფინალში გასულს ჯამში ზედიზედ 14 პარტიის თამაში მოუწევს და უკიდურესად დაიქანცება.

**— რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ შესარჩევ ტურნირში რეიტინ-ლისტის პირველი ათეულის ყველა უძლიერესი მოჭადრაკე ითამაშებს?**

— რატომაც არა? ეს ყველაფერი კონკრეტულ გარემოებებს ეფუძნება. შეიძლება ერთი-ორმა კაცმა არ ითამაშოს, მაგალითად, ფიდეს ჩემპიონატის გამარჯვებულმა, თუ ჩემპიონატი საერთოდ შედგა, მაგრამ ზოგად მასაზრებათა გამო ძნელად, რომ ვინმემ უარი თქვას: შერჩევა პატიოსანია, გამოვლენ უძლიერესები, ადგილი დიდებული და მრავალი საპრიზო თანხები. მხოლოდ მონაწილეობისთვის მოჭადრაკე 30 ათას მარკას მიიღებს, პრეტენდენტი, რამდენადაც ვიცი — 100 ათას დოლარს. რა პრობლემა უნდა იყოს?

**— საბერძნეთში გამოსვლისას გარი კასპაროვმა თქვა, რომ დღის წესრიგში დგას მატჩ-რევანში და რაც შეეხება შესარჩევ ტურნირს დორტმუნდში, იგი არასერიოზულიაო.**

— პირიქით ვფიქრობ: სწორედ მატჩ-რევანშია არასერიოზული. ჩემი პოზიცია მარტივია, კასპაროვთან მატჩის დამთავრებისთანავე ვთქვი, რომ შესარჩევი ციკლის ორგანიზება მინდა. ზუსტად ამას ვაკეთებ ახლა — ყოველ შემთხვევაში, ჯერ ყველაფერი ნორმალურად მიდის.

**— და არ უფრთხით იმას, რომ ვთქვათ, კასპაროვის, ანანდის, შიროვის არყოფნით მთელი სისტემა თავიდანვე კომპრომენტირებული იქნება?**

— არა მგონია, რომ სისტემა ვინმე ერთის მონაწილეობაზე იყოს დამოკიდებული. სისტემა უფრო მაღლა უნდა იდგეს, თუ ჩვენ მას დავკარგავთ, ქაოსი გამოვა. ფიშერიც წავიდა თავის დროზე საზონათაშორისო ტურნირიდან, მაგრამ საშინელი არაფერი მომხდარა, მის გარეშე ითამაშეს. მოგვიანებითაც იგივე განმეორდა — მან უარი თქვა ტიტულზე და იგი სხვას დარჩა.

საერთოდ ამ საკითხს მშვიდად ვუყურებ. გამიხარდება, ტურნირზე კასპაროვი და ანანდი რომ ვიხილო (სხვათა შორის, მათი მონაწილეობის შანსები საკმაოდ მაღალი მგონია), მაგრამ თუ არ ითამაშეს, ეს დარტყმა უფრო მათ ერგებათ, ვიდრე შერჩევის სისტემას.

**— როგორია ფიდე-ს პოზიცია, იქიდან ვინმე დაგიკავშირდათ?**

— არავინ, მე მგონი, ფიდეს რეაქცია არც ჰქონია.

**— დავუშვათ, მოხდა პრეტენდენტის შერჩევა, გაიმართა ფინალი. თვლით თუ არა საჭიროდ ამ ყველაფრის ორგანიზაციულ ჩარჩოში მოქცევას? თუ ჯობს, მსოფლიოს ჩემპიონატები რომელიმე ძლიერი სპონსორის ეგიდით იმართებოდეს?**

— არ ვიცი, ძნელი სათქმელია, ჩვენ მხოლოდ გზის დასაწყისში ვართ. ერთმა ციკლმა მაინც წარმატებით უნდა ჩაიაროს.

**— ახალ ციკლზე იქნებ მეტ ინტერესსაც იწვევს მატჩი ბაჰრეინში თქვენი მონაწილეობით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კომპიუტერთან მატჩს მეტისმეტად მშვიდად უყურებთ და სათანადოდ არ აფასებთ...**

— არც ისე მშვიდად. თეორიულად, ალბათ, ჰო, მაგრამ პრაქტიკულად დამოკიდებულება შევიცვალე. სახიფათო მეტოქე მელის და სერიოზულ მზადებას ვიწყებ. ლონდონში პრესკონფერენციამ მართლა გამაკვირვა. კომპიუტერთან მატჩი ძალიან დიდ ინტერესს იწვევს, ჟურნალისტები მრავლად იყვნენ, პრესკონფერენციის დღეს დილის 7-დან ღამის 12 საათამდე ინტერვიუებს ვარიგებდი პრესაში, რადიოში, ტელევიზიით...

**— თქვენს შანსებზე რას იტყვით?**

— ვერაფერს, რადგან არაფერი ვიცი, მეტოქის სახელის გარდა. ესაა პროგრამა „დიპ ფრიც 7.0“, მაგრამ აზრზე არ ვარ, რა მოჭადრაკეა.

**— განა მისი პარტიების შესწავლის საშუალება არა გაქვთ?**

— ეს პარტიები პროგრამამ სხვა კომპიუტერზე ითამაშა და ცხადია, პროგრამის ძალა კომპიუტერის სიმძლავრეზეცაა დამოკიდებული. როცა საუბარია სპეციალურ მანქანაზე, რომელსაც მატჩისთვის სპეციალური დაკვეთით ამზადებენ, უკვე სხვა თამაში გამოდის. მე ისიც არ ვიცი, კომპიუტერი „სიმენსის“ იქნება, „კომპაკ“-ის თუ სხვა ვინმესი — ყველაფერი გასაიდუმლოებულია.

**— ანუ ალექსანდრ დრეევის ამასწინანდელი გამარჯვება „დიპ ფრიცზე“ თქვენი მომზადებისთვის ბევრს არ ნიშნავს...**

— ვფიქრობ, რომ არა. პრესკონფერენციაზე „დიპ ფრიცის“ წარმომადგენლებმა თქვეს, რომ ამთავრებენ მუშაობას პროგრამის კარდინალურად ახალ ვერსიაზე, რასაც თითქმის წელი მოანდომეს. და კიდევ ერთხელ — ბევრი რამ კომპიუტერზეა დამოკიდებული. მძლავრი კომპიუტერი ძალიან ღრმად ითვლის ტაქტიკას, ამიტომ რაც დაფაზე სტრატეგიულ შეცდომად ჩანს, სინამდვილეში შეიძლება მოულოდნელ ტაქტიკურ დასაბუთებას შეიცავდეს. ყოველ შემთხვევაში, თავდაჯერებული არ ვარ, ვიცი, რომ ბრძოლა მელის.

**— რა იცით ადგილზე, სადაც თამაში მოგიწევთ?**

— ლონდონში ბაჰრეინის სპორტის მინისტრს ველაპარაკე, თვითონ ქვეყანაში არასოდეს ვყოფილვარ, იქ „დიპ ფრიცის“ ხალხი გაფრინდა და აღტაცებულები დაბრუნდნენ. ერთადერთი პრობლემა შეიძლება კლიმატი იყოს. გავიგე, რომ იქ ნესტი და აუტანელი სიცხეა. სულ ნომერში ჯდომა გამოსავალი არ არის, ფსიქოლოგიურად მოვდუნდები და თან კონდიცირებული ჰაერის სუნთქვაც ვერ შემმატებს მხნეობას.

**— სარეკლამო კამპანიას, რომელიც ორგანიზატორებმა წამოიწყეს, ის აზრი უდევს საფუძვლად, რომ ესაა ადამიანის რევანში კომპიუტერზე. თქვენ როგორ ეკიდებით ამ ამბავს?**

— რევანშისტული განწყობა ნამდვილად არ მაქვს, რადგან, რაც არ უნდა იყოს, მაშინ კომპიუტერთან მე კი არა, კასპაროვმა წააგო. რა თქმა უნდა, თითქმის ყველა ადამიანს სურს, რომ მოვიგო და ჩემთვისაც მატჩი ერთგვარი გამოწვევაა, იგი ხომ ისტორიაში შევა...

**— მაგრამ კაცობრიობის წარგზავნილად თავს არ თვლით...**

— მე არ ვარ მზად ასეთი ხმამაღალი სიტყვებისთვის. იქნებ ვინმე ფიქრობს კიდეც, რომ კაცობრიობის ინტერესებს ვიცავ, მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, პირადად ჩემთვის ეს მხოლოდ პროფესიონალური ამბავია.

**— დავუბრუნდეთ ადამიანურ ამბებს. რას იტყვით, კიდევ რამდენ ხანს დარჩება კასპაროვი რეიტინგ-ლისტის თავში?**

— პირველ ყოვლისა, მან თავად უნდა გადაწყვიტოს, უნდა ეს თუ არა. მიუძღვნა მთელი ცხოვრება ჭადრაკს... არ ვიცი... კასპაროვს ბევრი სხვა ინტერესიც აქვს. თუ მოინდომა, იგი შეძლებს, იყოს დღეგრძელი დაფასთან. ანანდიც შეძლებს, მეც...

**— და თქვენ უკვე იცით, გინდათ ეს თუ არა?**

— არა, ჯერ ადრეა. 50-ის რომ გავხდები, მერე ვნახოთ.



# ცნობილი კაცი

პოპულარობა ტვირთად უფრო მაშინ იქცევა, როცა ათობით ავტოგრაფის კონვეიერის პრინციპით დარიგება გიწევს. 2001 წლის საგოლფე „ბრიტიშ ოუფენის" ჩემპიონ დევიდ დიუვალს სახეზე არ აწერია, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, საუკეთესო განწყობაზე ვერ უნდა იყოს.

# სურვილი

„მინდა იანკი ვიყო!" — აცხადებს მავანი ნიუიორკელი ბიჭუნა და გახლავთ კიდეც იანკი, რადგან ეს სახელი ზოგადია ამერიკის ჩრდილო-შტატებისთვის, მაგრამ ბიჭუნას მეტი უნდა: ბეისბოლის მინდორზე დგომა და თამაში ნიუიორკელი „იანკების" შემადგენლობაში, რომელთაც იმ დღეს ტამპელებს მოუგეს.




REUTERS ნიუ იორკიდან

# წესიერად!

ბრიტანელ ფანებსა და ბავშვებს ის საერთო აქვთ, რომ მუდმივი კონტროლი უნდათ, რამე რომ არ გააფუჭონ. ფოტოზე აღბეჭდილ პოლიციელს სწორედ ეს საქმე უკისრია, იგი ფანებს მოუწოდებს, არაფერი აურიონ, თორემ...



REUTERS ლონდონიდან

# მოტოკროსი

ჩინებული სახეობაა მოტოკროსი, რომელიც ადამიანისგან ითხოვს რკინის კუნთებს, მყარ ნერვებსაც და საერთოდ, მრავალ თვისებას. ბელგიაში მიმდინარე ქვეყნის ღია პირველობაზე მრავალი მრბოლი გამოდის. მარჯვნივ მაღალი მოწინავე სტეფან ევერტსი გახლავთ, ხოლო მარცხნივ ხედავთ 500 კუბურსანტიმეტრიან მოტოციკლებში მსოფლიოს ჩემპიონს, ჟოელ სმეტსს. სხვათა შორის, სმეტსმა ფოტოზე ასახული გარბენიც მოიგო.





REUTERS სიენიდან

# სტარტზე

იტალიურ სიენაში ტრადიციული დოღი მიდის. სიტყვა „ტრადიციული" გულისხმობს ამ შეჯიბრის საუკუნოვან ისტორიას 1224 წლიდან. ეს ჯიშიანი ბედაურები წამის შემდეგ სიენას მთავარ მოედანზე გაქანდებიან.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge